

საქართველოს საკატოლიკო მთანა
ახალგამრთობის სულიერი და ინტელექტუალური
განვითარების ცენტრი

კულტურული

№1 ნოემბერი, 2008

მთავარი რედაქტორი:

ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი)

სარედაქციო ჯგუფი:

დარეჯან (დალი)	ხაჩიძე	(რედაქტორი)
გიორგი ლიპარიშვილი		(აღმასრულებელი რედაქტორი)
მაია ჭინჭარაული		(პასუხისმგებელი მდივანი)
თორნიკე კვინიკაძე		
ნათია გოგუაძე		
დავით გორგილაძე		
ნინო ჭინჭარაული		
სოფიო ჭავჭანიძე		
ლაშა კიკვილაშვილი		
თამარ არზიანი		
ოქროპირ ჯიქური		
მიხეილ ბარნოვი		
მარიამ კუბლაშვილი		
მარიამ გელაშვილი		
ნინო დაუშვილი		
ზვიად როსტიაშვილი		(ფოტოგრაფი)
სოფიო ჭავჭანიძე		(კორექტორი)
ლელა ბოჭორიშვილი		(კომპიუტერული უზრუნველყოფა)



სარჩევი

ომი თვითმხილველთა თვალით

ფენილები -----	5
გორი - კარვების ქალაქი... -----	8
მეომრები -----	10
მღვდელმთავარი -----	13
მოძღვარი -----	16
ემიგრანტები - ცოცხალი ჯაჭვი საქართველოსთვის -----	18
ეკოლოგიური უბედურების ზონა -----	21
რა სასჯელს ითვალისწინებს ეკოციდი და ვინ აგებს პასუხს ქართული ტყეების გადაწვისთვის -----	27

ლიტერატურული მუნიციპალიტეტები

რა არის ლვის ხატი აფამიანში? -----	30
წმიდა სამების საიდუმლოების გააზრებისათვის-----	31

ოჯახი და საზოგადოება

ძველი ალთქმის ოჯახი-----	37
--------------------------	----

მოსწავლეთა კონფერენცია

რწმენა ჩვენს ცხოვრებაში -----	39
-------------------------------	----

მადია-მონიტორი

რა ხდება მედიასივრცეში -----	41
მაუწყებელთა ქცევის ყოდექსის პროექტი ვერა და ვერ გახდა საჯარო განხილვის საგანი -----	42

ახალგაზრდული ცხოვრება

აზარტომანია -----	45
ჩვენ სამატლობელი სიტყვა გამოვლის-----	47

ტრადიციები

საქორწინო წეს-ჩვეულებები საქართველოს კუთხეებში -----	49
--	----

ისტორია


მთიულეთში აღმოჩენილი ისტორიული სიძველე-----	50
---	----

მგზავრის ცარილები

მთა ჩემებურად... -----	52
------------------------	----

არავითება

გოდერძი ჩოხელი -----	55
----------------------	----



ჩვენ არ ვგეგმავდით უურნალ „ახალგაზრდობის“ პირ-ველი ნომრის დაწყებას ომის თემატიკით, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ასეთი რეალობის წინაშე დაგვაყენა.

იმედია, ახლო მომავალში მშვიდობა დაგვიბრუნდება და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ხოლო უურნალის ყველაზე აქტუალური თემები ერის განვითარებას მიეძლვნება.

უურნალის მეშვეობით გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ზნეობრივ და სულიერ ღირებულებებზე, ახალგაზრდობისათვის საინტერესო თემებზე. არც პრობლემებზე საუბარს მოვერიდებით.

ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია თქვენი აზრი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შენიშვნები და წინადადებები შემდეგ მისამართზე:

ელიას მთა, სამების საკათედრო ტაძარი, საქართველოს საპატრიკეოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ტელ: 898-16-94-30; 898-27-27-43

ელ-ფოსტა: axalgazrdoba@gmail.com

የወጪ ተወስኗል፡በድንጋጌነት ተወስኗል



აგვისტოს პირველ რიცხვებში, რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამაჩაბლოს მოსახლეობის მტკიცებით, რუსეთის მხრიდან საპრძოლო მზადება და ჯარების შემოყვანა ცხინვალის ტერიტორიაზე, ბევრად ადრე, ჯერ კიდევ 30 ივლისს მოხდა. ამას მოჰყვა ცხინვალის და გორის სოფლების დაბომბვა და შევიდობიანი მოსახლეობის შევიწროება, ძარცვა და დევნა. იმ დღებში უამრავი ადამიანი დაიღუპა. ოკუპანტები თითქმის მთელ საქართველოს მოედნენ და ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნეს. უამრავი ადამიანი დარჩა უსახლეკაროდ — ლია კის ჭაშმა. ბევრმა მშობელი, შვილი ან ნათესავი დაკარგა.

დღეს ისინი საქართველოს სხვადასხვა სკოლებს, ბალებსა და დაწესებულებებს აფარებენ თავს, სახლში დაბრუნების იმედით.

თბილისში, ვესტუმრე კერძო ბაგა-ბაღ „ჯევილს“, სადაც 98 დევნილია ამჟამად შესახლებული, მათ შორის უამრავი ბავშვია. თითოეულ მათგანს თითქმის ერთი ისტორია და ტკივილი აერთიანებს — ომი.

ჩემი რესპონდენტიც — ქალბატონი ცირა მეცხვარიშვილი ამ ბალში ცხოვრობს დროებით, ორ შვილთან და ქმართან ერთად. იგი გორის რაიონის სოფელ მერეთიდან არის დებნილი.

— შეინიშნებოდა თუ არა თქვენს სო-
ფილში არყულობა, ომის დაწყებამდე?

— არეულობა ჩვენს სოფელში არ შეინიშნებოდა, მაგრამ იქითა ხეობის სოფლებიდან ყოველდღე სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა.

— როგორ ფიქრობთ ოსური სოფ-
ლებიდან ისროდნენ?

= Յունագուտ, Իռմ ուսուրո Տոբ-

ლებიდან ისროდნენ. პირველ ლამეს როცა
სროლა შეწყდა, გვეგონა რომ ყველაფერი
დამთავრდა, მაგრამ მეორე ლამეს სრო-
ლა კვლავ განახლდა. ეს ხმა, ჩვენი სოფ-
ლის ბოლოდან მოდიოდა. როგორც ჩანს
სოფელ კარბის თავზე, ჩვენების პოზი-
ცია იყო. მათ საპასუხო ცეცხლი გახ-
სნეს. ჩვენს ზემოთ არის კიდევ ერთი
ქართული სოფელი ქსუისი, რომელიც
მთლიანად გადამწვარია.

— როდის დაიწყო ომი?

— ზუსტად არ მახსოვს დაახლოებით ექვსში, რადგან შვიდ აგვისტოს წამოვედი სოფლიდან გაუსაძლისი სროლების გამო. ამიტომ ვფიქრობ ომი 6 აგვისტოს დაიწყო. პავშვებს ეშინოდათ, ორი შვილი მყავს: ათი წლის ანა და თორმეტი წლის ეკა. მახსოვს როცა სროლა დაიწყო, ღამე იყო, ვიწევით. ძალიან შეგვეშინდა, განსაკუთრებით ჩემს უმცროს გოგონას. ცუდად გამიხდა, სულ კანკალებდა და სასწრფოდ დამიშვიდებელი მივუცი. გავიყვანე უკანა ოთახში, სადაც ყრუ კედლები მაქვს. მაგრამ დიდხანს იქაც ვერ გავტერდით. შემდეგ სარდაფს შევაფარეთ თავი, რაღაც დროის მანძილზე იქ ვიყავით. ამ დროს უფროს გოგონას ეძინა, არაფერი გაუგია.

— საკვები მაინც თუ ჰქონდა ხალხს?

— ჩვენ სოფელში შეძლებულ ოჯახებს ჰქონდათ საკვების მარაგი. რაც შეეხება გაჭირვებულ მოსახლეობას, მათ მართლაც გაუჭირდათ, რადგან დღიური გამომუშავებით ირჩენდნენ თავს. ძირითადად სოფელში ყველას ჰყავს ღორი, ძროხა, ქათამი. ასე რომ ერთკვირიანი მარაგი ყველა ოჯახს ჰქონდა.

— ომის დროს ყველა გაქცევას ცდილობდა, თავშესაფარს ეძებდა?

— ყველა ცდილობდა თავის გადარჩინას. ჩემი მეუღლის მანქანით, შვილებთან ერთად სოფლიდან რომ წამოვედი, რამდენიმე ადამიანიც წამოვიყვანეთ.

— თქვენ თბილისში წამოხვედით თჯახთან ერთად?

— მეუღლემ თბილისში შემომთავაზა წამოყვანა, მაგრამ მე არ დავთანხმდი და ბავშვებთან ერთად 7 აგვისტოს გორში ჩავედი. ჩვენი სოფელი ძირითადად ქალებმა და ბავშვებმა დატოვეს. საფრთხე იყო რუსის ჯარის შემოსვლის. კაცები კი სოფელში დარჩენენ. ჩემი დედამთილი და მამამთილი დღემდე მერეთში არიან და სახლს უვლიან. დაბომბვის შედეგად გადამწვარია მოსაზღვრე ქართული სოფლები: დივტერი, კოშკები.

— რუსები თქვენ სოფლებსაც ბომბავდნენ?

— გადმოცემით ვიცი, რომ რუსის თვითმფრინავები დაფრინავდნენ და ჯარიც

აპირებდა სოფლის დაკავებას. ამ დროს ჩემი მეუღლე იქ იყო. მეორე დღეს გორიც დაიბომბა, სადაც მე და ჩემი შვილები ვიყავით.

— გორის დაბომბვის დღეს შვილებთან ერთად, სად აფარებდით თავს?

— ჩემი მულიც დევნილია, ცხინვალიდან, და საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. სწორედ მასთან ვაფარებდი თავს ბავშვებთან ერთად. ეს ძველი ქარხნის შენობა იყო, სადაც უამრავი დევნილი ცხოვრობდა. ამ დროს მეუღლეს ვერ ვუკავშირდებოდი და ძალიან ვნერვიულობდი.

— მერე როდის ნახეთ მეუღლე?

— 8 აგვისტოს ჩამოვიდა და გვნახა.

— მაინც რას ყვებოდა თქვენი მეუღლე რუსის ჯარზე?

— რუსის ჯარი მეუღლეს არ უნახავს, რადგან ისინი სოფელ მერეთში არ იდგნენ. მე მყავს ნათესავი გორის რაიონში, დედაჩემის ბიძა, რომელიც რუსის შემოსვლის დროს დაიღუპა. მისი მეუღლე მიყვებოდა: „საშინელ ფორმებსა და ნიღბებში გადაცმული ჯარისკაცები მოდიოდნენ და გვეკითხებოდნენ — სად არიან ბავშვები და ქალები“. არ ვიცი რა მიზანი ამოძრავებდათ, მაგრამ ძირითადად ქალები აინტერესებდათ.

— რამეს არ ითხოვდნენ?

— მიტოვებულ სახლებს რომ ხედავდნენ, შედიოდნენ და ყველაფერი გაჰქონდათ. თუ კი ვინმე მოსახლეს ნახავდნენ, საჭმლის გაკეთებას და დასალევს თხოვდნენ. ძირითადად მოხუცები არ ტოვებდნენ თავიათ სახლვარს, ამიტომ მათ უხდებოდათ რუსების ბრძა-





ნებების დაკმაყოფილება. ბოლოს იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი და დევნილობაში წამოსულიყვნენ.

— გეხმარებოდათ ვინმე?

— უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოდან იგზავნებოდა ხალხისთვის პროდუქტი. ასევე მათი დახმარებით ხდებოდა მოხუცების და მიცვალებულების გადაყვანა გორის ტერიტორიიდან. ჩვენთან ბალში ცხოვრობს ოთხმოცდასამი წლის მარიამ ჯუბაშვილი. რომელიც ცხინვალის რაიონის სოფელ ხეითიდან არის. გაუსაძლისი პირობების გამო, მოხუცი იძულებული გახდა ფეხით გადმოსულიყო და თავი გადაერჩინა. ოთხი დღე ტყუ-ტყუ იარა, დიცამდე რომ მოაღწია, იქ საპატრიარქოს მანქანას შეუმჩნევია და თბილისში ჩამოუყვანია. ვიცი რომ დეიდაჩემი და მისი დედამთილი ახლაც თავს აფარებენ ნიქოზის კლესისას. ისინი მეუფე ისაიამ შეიიფარა.

— იყავით თუ არა ომის შემდეგ, თქვენს სოფელში?

— 7 სექტემბერს ვიყავი წასული მეუღლესთან ერთად. ამ დღეს დიდი დღესასწაულია, წმინდა გიორგის ხსენების დღე, რომელსაც მთელი სოფელი აღნიშნავს. წესად გვაქვს ჯერ სალოცავში ასვლა, ხოლო შემდეგ სახ-

ლში სუფრის გაშლა. რუსებმა თავისუფლად გაგვატარეს კარალეთში, სადაც ბლოკპოსტი ჰქონდათ მავთულებლართებით შემოსაზღვრული. ჯარი არ იდგა, უბრალოდ რამდენიმე სამხედროს ეკავა ეს ბლოკპოსტი. სანამ ჩემ სოფელს მიუუახლოვდებოდი, გზაში ვხედავდი გადამწვარ სოფლებს; კარალეთს, ყირნვისს, ტყვიავს. საშინელი სანახავი იყო დანგრეული სახლები, დაბომბვის შედეგად გაჩენილი ორმოები.

— თუ დაიწყო დევნილების დაბრუნება?

— დაბრუნდა ის ადამიანები რომლებიც გორის ზემო სოფლებიდან იყვნენ, რადგან იქ რუსის ჯარი არ იდგა. ჩვენ სოფლებში კი ძირითად მოხალისეები შედიან, რომელთაც გარანტია არ აქვთ ცოცხლები თუ გადარჩებიან.

— აյ როდის ჩამოხვედით და სად შეაფარეთ თავი?

— ბავშვებთან ერთად თბილისში 9 აგვისტოს ჩამოვედი. თავიდან მე და ჩემი მეუღლე ბაზალეთის კოტეჯში ვცხოვრობდით. შემდეგ, რადგან ბავშვები და დედა ამ კერძო ბალში იყვნენ, საცხოვრებლად აյ გადმოვედით.


— თითქოს ამბობენ, რომ დევნილებს ბალის და სკოლის ხელმძღვანელები გახვლას თხოვენ, მართალია?

— ბალი „ჯვეჯილი“ საქშენებლის კუთხილებაა, აյ ნახევარი სკოლაა ნახევარი ბალი. რადგან სწავლა იწყება, იძულებული გავხდით მეორე სართული დაგვეთმო და რამდენიმე ოჯახს ერთ ოთახში გვეცხოვრა. დიდ მადლობას ვუხდით დახმარებისთვის: მოსახლეობას, საქმშენებლის დირქეჭიროს ბატონ გურამ მამალაძეს, რომელმაც შემოგვწირა თანხა, ქალბატონ ნანას — ბალის გამგეს და სხვა კერძო ორგანიზაციებს; ასევე საქართველოს საპატრიარქოს, რომელიც დღემდე ზრუნავს დევნილებზე; გამგეობას, რომელსაც მოაქვს პური, მაკარონი. ერთადერთი საწილების პრობლემა გვაქვს.

— დაბოლოს რას ისურვებდით ყველაზე მეტად?

— სიწყნარე მინდა და მშვიდობა. ჩემი შვილები მინდა ცხოვრობდნენ ისეთ ქვეყანაში, სადაც არაფრის შიში არ ექნებათ.

გორი. ჩართვა გილ ებადები...



მძიმეა წერო ადამიანებზე, რომელთაც ომმა ძლიერი და წარუშლელი კვალი დაატყო.

ძნელია დაივიწყო, მესიერებიდან ამოშალო, თუ როგორ გდევნიან და გიბბომბავენ საკუთარ ქვეყანას, სოფელს, სახლს და გეუბნებიან რომ შენი არ არის ეს ქვეყანა, რომ შენ არაფერი გვეუთნის; უნდა წახვიდე გადაიხვენო და საერთოდ გაქრე ამ ქვეყნიდან. არ გაძლევენ ამოსუნთქვის საშუალებას, გამუდმებით გძარცვავენ, შეურაცხებულფენ და სულს გინგრევენ.

„ტი კტო, ეტა ნაშა როდინა“ უნდათ დაგაჩიქონ, გაგთელონ და წაგართვან ყველაზე მთავარი ქართული ენა, ღვთივეურთხეული ენა; აგიკრძალონ ქართულად ლაპარაკი და გიბრძანონ რომ რუსულად ასეტყველდე; გაგითელონ სარწმუნოება, წაგართვან შვილი, ცოლი, ძმა, ნათესავი და ბოლოს შენი ქვეყანა, წინაპრების სისხლით მოტანილი, საკუთარ სამშობლოდ გამოაცხადონ.

რთულია იღვიძებდე ღია ცისქვეშ და აცნობიერებდე, რომ სახლი ალარ გაქვს, წაგართვეს. დევნილი გაგვხადეს საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ მიწაზე.

აგვისტოში დაწყებულმა ომმა, ძალზედ მძიმე შედეგი მოუტანა საქართველოს. უამრავი ადამიანი უსახლ-კაროდ დარჩა. განსაკუთრებით გორის სოფლებიდან დევნილი მოსახლეობა. დღეს ისინი „კარვების ქალაქ-ში“ ცხოვრობენ — სტალინის პარკში. ესეც ხომ სიმბოლურია — დიდი ბელადის ძეგლი თავზე დაგურებს და ყოველ დილით გაღვიძებისას მას შესცეკრი. ეს კიდევ ერთხელ გახსენებს, იმ დაუნგრეველ საბჭოთა რეჟიმს, რითაც დღესაც მოქმედებს რუსეთის ხელისუფლება. მათთან ხომ დიდი ხანია დრო გაჩერდა. მაგრამ ქართველი, რის ქართველია თუ ომს, კარავს, შიმშილს, სიცივეს ვერ გაუძლო. საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულმა იმუნიტეტმა დღემდე მოაღწია.

თუ ვინმე ამ პარკში მოხვდება, აუცილებლად დაინახავს მათ სახეებზე ომის კვალს, დიდ ტკივილს და მაინც — მომავლის იმედს.

მე ერთი დღე გავატარე „კარვების ქალაქში“, სადაც დღეს ათას ხუთასამდე ადამიანი ცხოვრობს. პარკში შესვლისთანავე ჩემი ყურალება მიიყრო ბავშვებმა. ისინი „ომობანას“ თამშობდნენ. ერთმნეთს ქვებს ესროდნენ, უცებ ერთმა ბავშმა, მეორეს უთხრა, რომ ის ქართველი იყო და არა რუსი, რომ ისინი ერთნი არიან და არა მტრები.

პარკში მიმავალი ვხედავდი ლურჯ და თეთრ კარვებს, მათში მოფუსფუსე ადამიანებს. თითქოს აյ ყველაფერი კარგად არის, არაფერი უჭირთ, მშვიდად ცხოვრობენ. ვხედავდი ბევრ ფსიქოლოგს, აქა-იქ გადაადგილდებოდნენ „წითელი ჯვრის“ თანამშრომლები.


მაგრამ სამწუხაროდ რეალობა სხვაგვარია. უამრავმა ადამიანმა მომიყვა იმ მძიმე პირობების შესახებ, რაც მათ აქ მოსვლის დღიდან დახვდათ. მათი მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, როცა გაეროდან დახმარების სახით ლეიბები და საწოლები მიიღეს. თუმცა ყველას არ შეხვდა ეს დაზმარება. მაგალითად ერთ კარავში მცხოვრებ ორ ოჯახს, ერთი ტაშტი და ერთი ვედრო გამოუყვეს. ჭურჭელსაც არ აძლევენ, ამიტომ იძულებულები არიან, არეულობის დროს რისი წამოღებაც მოასწრეს ერთმანეთს ათხოვონ.

„წითელი ჯვარის“ უცხოელი მომსახურე პერსონალი, ამზადებს საჭმელს და ყოველდღიურად დღეში ორჯერ მცირე რაოდენობით აწვდის აქ მცხოვრებ ხალხს. თუმცა ხშირად მშობლები ვერ იკვებებიან და თავიანთ წილს შვილს უთმობენ.

ასევე დევნილები ყვებიან ლეიბებზეც, რომლებიც სავსე იყო ნახერხით და ძველი შურუფებით. რაც შეეხება ჩასაცმელს, ბევრს დღესაც ის ტანისამოსი აცვია, რითაც წამოვიდა არეულობის დროს. არ აქვთ დაბანის შესაძლებლობა, ამიტომ ხშირად კარავში ამჯობინებენ თავის მოწესრიგებას. ამ ყველაფერს ემატება საშინელი მტვერი, კარავში დღისით სიცხე, ღამე — სიცივე.

ყოველდღიურად, დღეში ორჯერ ისრაელიდან ჩამოსული ფსიქოლოგები ატარებენ, ფსიქოლოგიურ „ტრეინინგს“. მათ სთხოვნ დახატონ, რაც ყველაზე მეტად აწესებთ. უმრავლესობა ხატავს: ტანკს, რუსის ჯარისკაცს, არყის ბოთლს და, რა თქმა უნდა, ყველაზე სანატრელ სახლს.

ასევე, მინდა აღვნიშნო რომ აქ მცხოვრები ბავშვები, სწავლის დაწყების მიუხედავად, ვერ მიდიან სკოლებში. რადგან მათი სოფლები კვლავ რუსებს უკავიათ.



ამ მდგომარეობის მყოფნი, ცდილობენ, იმედი ჰქონდეთ ხვალინდელი დღის. სწორედ ეს აძლიერებთ. არ კარგავენ შემართებას და ბრძოლის უნარს. ერთი სული აქვთ როდის გათენდება ის დღე, როცა დაპრუნდებიან თავიანთ სოფლებში, შეუდგებიან ფუსფუსს, რომელიც ძალიან მოაკლდათ.

6 ოქტომბერი 2008 წ.

P.S. კარვების ქალაქი საბედნიეროდ დაიშალა. ეგრეთნოდებული ბუფერული ზონა რუსის ჯარმა დატოვა. დევნილთა ნაწილს მიეცა სახლებში დაბრუნების საშუალება. იმედია, ახლო მომავალში, ყველა დევნილი საკუთარ სახლებს დაუბრუნდება.

ეროვნული —

აგვისტოს ბრძოლებში, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დიდი წინააღმდეგობა გაუნია რუსეთის არმიას. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვაზიანის მეოთხე ბრიგადის როლი. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ კონფლიქტის ზონაში თავიანთი პოზიციები, დახმარებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, თანამებრძოლთ და თან წინააღმდეგობა გაენიათ აგრესორებისთვის. მასალის მომზადებაში დახმარება გავინია თავდაცვის სამინისტრომ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.



თენგიზ დეოსაძე
(კაპრალი)

7 აგვისტოს განგაში გამოცხადდა. ამ დროს შვებულებაში ვიყავი წასული და მომინია უკან დაპრუნება. ზუსტად არ ვიცოდი, რატომ გამოცხადდა განგაში. ჩამოვდი, ჩვენი შეკრეპის ადგილი ქვემო ტკიცა იყო, სადაც უნდა შეკრებილიყო ჩვენი ბატალიონი და შემდეგ განაწილებულიყო სხვადასხვა მიმართულებით. სოფლები დაქირავებულ კაზაკებს ეკავათ.

შემდეგ, უკვე რუსის ჯარი შემოვიდა და დაიკავა ცხინვალის ტერიტორია. ისინი ხალხს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, ძარცვავდნენ და არბევდნენ. როდესაც ცხინვალის ტერიტორია დავიკავეთ, აქ ჩვენი ბატალიონი ათეულებად იყო განაწილებული. ყველას თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა. ხდებოდა საპარო დაბომბვა რუსების მხრიდან და საპასუხო ცეცხლსაც ღებულობდნენ ქართული ჯარიდან. მასოვს, გვიანი სალამო იყო, როცა გორი და მიმდე-

ბარე სოფლები დაიბომბა. დაბომბვის დროს, ჩვენი სამხედრო მანქანები და ჯავშან-ტექნიკუა აფეთქდა. მე ახლოს ვიყავი, დაახლოებით ორა-სი-სამასი მეტრის მოშორებით. როდესაც დაბომბვა ხდებოდა, ერთ-ერთ მომენტში ჩვენი მე-4 ბრიგადის 43-ე ბატალიონის ალფა ასეული ალფაში მოექცა. დასახმარებლად ჩვენი ასეული შევიდა. ალფაში რუსის ჯარს ჰყავდა მოქცეული და თან ტერიტორია იბომბებოდა. მაგრამ ალფა გავარღვიეთ, ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. დიდი წინააღმდეგობა გავუნიეთ და ალფა ასეული გავათავისუფლეთ. ასეულიდან არავინ დაშავებულა. ჩემმა ოჯახმა არ იცოდა, რომ თავიდანვე ცხინვალის ტერიტორიაზე ვიყავი. მათ მანამდე ვატუშებდი, სანამ ჩვენი ჯარი უკან გამოვიდა და ბაზაზე დავპრუნდი. მაშინ გაიგეს სინამდვილე.



თორინი ლაზაძე
(კაპრალი)

ჩვენ ვიყავით ორთვიან შვებულებაში წასულები. 7 აგ-

ვისტოს გამოგვიძახეს დაახლოებით დღის 3 საათზე. მე პირადად გორში ვიყავი წასული. სხვა ბიჭებიც დასასვენებლად იყვნენ წასულები. განგაშზე ყველა წამოვიდა, ვისაც როგორ შეეძლო. ცდილობდნენ დანიშნულ დროზე ჩამოსულიყვნენ. ჩამოსვლიდან 2 საათში მთლიანი ბრიგადა გავიდა ცხინვალის მიმართულებით. ჩვენ არ გველოდნენ, მაგრამ დანიშნულ დროზე ჩამოვედით. თავიდან ქვემო ტკოცაში ვიყავით გაჩერებული, შემდეგ სხვაგან გადავედით, პოზიციები შევიცვალეთ. ამ დროს ქართული სოფლები ცეცხლის აღში იყო გახვეული. მძიმე ტექნიკიდან რუსებს ცეცხლი ჰქონდათ გახსნილი. რომ გაიგეს ჩვენი ქვეითი ჯარის შემოსვლა, ცეცხლი გაგვიხსნეს. მერე საპასუხო ცეცხლი ჩვენც გავუხსენით. ვგრძნობდით უპირატესობას.

მთლიანად არა, მაგრამ რაღაც ნაწილი ცხინვალის ტერიტორიისა, ცოტა ხანს გვქონდა დაკავებული. მაგრამ როცა შემოვიდა რუსების დამატებითი ჯარი, უკან დავიხიეთ, რადგან ძალა აღარ გვყოფნიდა და ნიქოზში გავმაგრდით. ჩვენ საბრძოლო განწყობით ვიყავით შესულები. როცა ქართველი ხარ, ქართულ მიწაზე დგახარ, როცა საკუთარ ტერიტორიას გართმევნ, ამას ნამდვილად მშვიდად ვერ შეხედავ. ჯარისკაცები ვამხნევებდით ერთმანეთს შეძახილით „წინ“. მაინც და მაინც წინ, რადგან უკან დახევის შანსი არ იყო. თუნდაც თითოეული ჩვენგანი დავცემულიყავით ბრძოლის ველზე. რუსების ჯარების შემოსვლას მოჰყვა საპატიო დაბომბვაც. სწორედ ამ დროს დაგვიბომბეს ჩვენი მანქანები. რთულია ასეთ მძიმე დროს ყურადღება მიაქციო დაჭრილს, მიცვალებულს და თან შენ თავსაც მიხედო, მაგრამ ჩვენ ამ ყველაფერს ვახერხებდით. ლოცვით ყველა გულში ლოცულობდა, მეც მათ შორის „უფალო იქსო ქრისტე, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი“. მე თვითონ გორში ვცხოვრობ, სოფელ მეჯვრისხევში. ჩემი ოჯახი თავიდანვე გავაფრთხილე, რომ სოფელი დაეტოვებინათ. თუმცა, თვითონ არ იცოდნენ, რომ ცხინვალში ვიყავი. შემდეგ ისინი დეიდასთან იყვნენ რუსთავში. ჩემი სოფელი დაიბომბა, მაგრამ ისე არ დაზარალდა, როგორც სხვა სოფლები. ამ დროს იქ ბებია იყო, რომელზეც გამუდმებით ვფიქრობდი. რუსებმა რომ გორი დაიკავეს, ჩვენ ბაზაზე დავპრუნდით. ძალიან განვიცდი, რომ დაიბომბა ცხინვალი, გორი, მძიმე დღეში ჩავარდა ჩვენი ხალხი, დაიწვა ქართული სოფლები.



შოთა
ანგარუნაშვილი
(კაპრალი)

ბატალიონის მორიგემ გამოგვიძახა, ღამის პირველ საათზე. ავდექით, ავიღეთ ტყვია-წამალი, მანქანები დავტვირთეთ და წავედით. ჩავედით დიცში. ხოლო შემდეგ იქიდან ოსური სოფლების გავლით მივუახლოვდით ცხინვალს. 8 აგვისტოს ანდარში შევედით. ჯერ რუსების დამატებითი ჯარი არ იყო შემოსული, მხოლოდ ოსები გადაადგილდებოდნენ და შორიდან გვესროდენ. საპასუხოდ ჩვენც ვესროდით.

ქალაქში გადაადგილების დროს ერთ სახლში შევედი, სადაც ქალი და ბავშვი დამხვდა. მან მკითხა, დაგვპომბავნო? მე დახმარება შევთავაზე, მინდოდა მშვიდ ადგილზე გადამეყვანა, მაგრამ მას სხვა მხარეს მივყავდი. უნდოდა მოვეტყულებინე და მძევალი გავმხდარიყვანი.

გვეგონა გამარჯვება ჩვენს მხარეს იყო, რადგან ცხინვალი და მიმდებარე სოფლები ჩვენ გვეკავა. მაგრამ შემდეგ, რუსული ტანკები და „ბეტერები“ შემოვიდნენ. ამას მოჰყვა საპატიო დაბომბვა და ჯარების შემოყვანა, ამიტომ იძულებულები ვიყავით ნიქოზში გავმაგრებულიყავით და უკან დაგვეხია.

მინდა გავიხსენო, სოფელი ფხონისი. სადაც მეგობარი დამეღუბა. ძნელია, როცა ერთად იბრძვი, ბრძოლის ველზე და უცებ შენ თვალწინ დაიღუპება. ძალიან მძიმეა და ძალიან მიჭირს ამის გახსენება. ასეთი ფაქტიც იყო, ტანკთან ვიყავი ახლოს, ჩემგან მოშორებით ექვსი ჭურვი აფეთქდა. ამ დროს კანტუზია მივიღე და გავითიშე. ჯარისკაცებს გადმოუყვანივარ სამედიცინო პუნქტში. ცოტა ხანში გონის მოვედი, წამლები დავლიე და კვლავ ჩემი პოზიციის დასაკავებლად დავპრუნდი.

მე გორის რაიონიდან ვარ. ოჯახი ომის დროს თბილისს აფარებდა თავს, მათ არ იცოდნენ, რომ საომრად ვიყავი წასული. ჩვენს ბაზაზე 11 აგვისტოს დავპრუნდით, მიმდებარე სოფლები რუსებს ეკავათ და იქ ჩვენ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა.

— ელექტრონული საკრისი —



შობლის პარაკულისი. დედა ღვთისმშობელმა დაიფარა ჩვენი ქვეყანა და დიდი უბედურებისგან გვიხსნა.

სამთავისისა და გორის ეპარქიაში შექმნილი მძიმე საომარი ვითარების მიუხედავად, მეუფე ანდრიას არ დაუტოვებია თავისი ეპარქია. იქ მცხოვრებ მოსახლეობას ლოცვითა და მადლიანი სიტყვით იმედს მატებდა.

19 სექტემბერს საშუალება მომეცა ომგადატანილ გორში ჩავსულიყავი. ჩემდა გასაკვირად ქალაქი ცხოვრების ძველ კალაპოტს დაბრუნებოდა. მხოლოდ ალაგალაგ იმზირებოდნენ მძიმე აჩდილები.

საოცარია ესაუბრო ადამიანს, რომელმაც უმძიმესი დღეები გამოიარა, საკუთარ თავზე გამოსცადა მძიმე საშინელება. მეუფე ანდრიას მონათხოვობში მკითხველი კიდევ ერთხელ დაინახავს იმ უბედურებას, რაც დაიწყო ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგვისტოს თვეში და დღემდე გრძელდება.

ომის მძიმე დღეებში, როცა ციდან რუსული ჭურვები ცვიოდა, მრავალი სასულიერო პირი იყო ჩასული გორსა და ცხინვალში. ისინი მედგრად ედგნენ გვერდით, როგორც ქართულ საჯარისო ნაწილებს, ასევე იქ მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას. მათთან ერთად იზიარებდნენ იმ დიდ ტკივილს, რაც ჩვენს ქვეყანას დაატყვადა თავს და ამხნევებდნენ ხალხს. მძიმე პერიოდში საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გამუდმებით აღველინებოდა წირვა-ლოცვა და ღვთისმ-

მთავარავისაოცაოსი ადრესი: უწმიდესის ჩამობრძანება დიდი ნუგეში და გამხნევება იყო ყველა ჩვენგანისათვის

— დაგვლოცეთ მეუფეო! თქვენმა ეპარქიაში რთული დღეები გადაიტანა, როდის დაიწყო ეს ყოველივე?

— მოგესალმებით. მივესალმები თქვენს უბრნალს, თქვენს მკითხველს.

რთული დღეები ჩვენი ეპარქიისათვის, ქალაქისთვის, მძიმე დაწყებამდე ბევრად უფრო ადრე დაიწყო. მოგვიდოდა ხმა, რომ იბომბებოდა ქართული სოფლები, ქართველ სამშვიდობოთა საგუშაგოები, რომ იყვნენ დაჭრილები და დაღუპულები. ეს დაახლოებით ხდებოდა აგვისტოს პირველ დღეებში. 7 აგვისტოს თითქოს ჯერ არ იყო მძიმე დაწყებული, მაგრამ ჩვენს თვალწინ დაი-

ბომბა ქალაქი. ნელ-ნელა იზრდებოდა დაძაბულობა.

როდესაც დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, ჩვენ უშუალოდ გახხდით თანამონაწილენი ამ მოვლენებისა. გვემოდა აფექტების ხმა, ვედავდით საცეცხლე წერტილებს და, რაც მთავარია, დაჭრილებს, რომლებიც გამოჰყავდათ წინა ხაზიდან. უკვე 8 აგვისტოდან დაიწყო ქალაქის რეგულარული დაბომბვა, რომელიც მიმდინარეობდა ყოველდღიურად, ვიდრე ჩვენმა საპოლიციო და საჯარისო ფორმირებებმა არ დატოვეს ქალაქი, გამოვიდნენ ბრძოლის ხაზიდან და ვიდრე შემოვიდა რუსეთის რეგულარული არმია.

— დიდი წინააღმდეგობის განევა უხდებოდათ ჩვენს საჯარისო ნაწილებს?

— კი, მანამდე სულ ბრძოლები იყო. საბრძოლო მოქმედებები რამოდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დღეში რამდენჯერმე იპომბებოდა არა მარტო სამხედრო ობიექტები, არამედ შშვიდობიანი მოსახლეობაც, არიან დაჭრილები და გარდაცვლილები, დანგრეულია და დამწვარია სახლები.

— როგორც ვიცი, თავდაპირველად დაიბომბა ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია. ამ დაბომბვის შედეგად დაზიანდა მეუფე ისაის რეზიდენცია და ტაძარი...

— რვა რიცხვში, უკვე მეუფე ისაის ჩავაითხეთ, გვაინტერესებდა როგორ იყო მეუფე. როცა ჩავედით, ძველი საეპისკოპოსო სასახლე უკვე დაზიანებული დაგხხვდა. მას ჭურვი ჰქონდა მოხვედრილი. შემდეგ, რომელი რიცხვი იყო, ზუსტად არ მახსოვს, დაიბომბა მეუფის რეზიდენცია და მიმდებარებული ტერიტორია. ამან გამოიწვია, ხანძარი რის შედეგადაც დაიწვა საეპისკოპოსო სახლი. სასწაულია, რომ ადამიანები გადარჩენ.

— სად იყვნენ ამ დროს სასულიერო პირები?

— მეუფე ისაია, სასულიერო პირები და მორჩილები რეზიდენციაში იყვნენ.

— როგორია დამბომბვის შედეგად დაზიანებული ტაძრის მდგომარეობა? როგორც ვიცი ძალიან ძველი ტაძარი იყო?

— დიახ, ნიქოზის ტაძარი ძველია და რაც შეეხება ტაძრის მდგომარეობას, გარეგნულად მას რაიმე დაზიანება არ ეტყობა. უფრო მეტს ალბად მეუფე ისაია გეტყვით.

— იმ დროს, როცა ქალაქში არეულობა და ომი იყო გაჩაღებული, ხალხი ტაძარს აფარებდა თავს?

— როგორც გითხარით, ქალაქი გამუდმებით იბომბებოდა, რამაც გამოიწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის. დაჭრილებთან ყოველდღიურად აღსრულებოდა მსახურება, ეზიარებოდა მრევლი, სასულიერო პირები შვიდგზის ზეთისცხებას ატარებდნენ. პოსპიტალში აზიარებდნენ, როგორც ჯარისკაცებს, ისე იქ მიყვანილ დაჭრილ მოქალაქეებს. მინდა ვთქვა, რომ გარკვეული ქაოსი და არეულობა ქალაქში დათესა რეზერვისტების შემოყვანამ, რადგან

რეზერვისტების აღმოჩნდნენ მეთაურების გარეშე. მათ არც ხელმძღვანელი ჰყავდათ, არც საბრძოლო ვითარებაში მოქმედების გამოცდილება ჰქონდათ, არ იცოდნენ რა კეთებინათ. მათმა არაორგანიზებულობამ, ზოგ შემთხვევაში შიშმა, რომელიც მათგან წამოვიდა, გარკვეული პანიკა წარმოშვა ქალაქში.

— ტოვებდა თუ არა მოსახლეობა ქალაქს ომის დროს?

— რა თქმა უნდა, ქალაქი უპირველეს ყოვლისა ბავშვებმა, ქალებმა, ხოლო შემდგომ კი ახალგაზრდებმა დატოვეს. თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ქალაქში ფუნქციონირებდა მხოლოდ ეპარქიასთან არსებული საცხობი და უპოვართა სასადილო. კეთდებოდა საჭმელი, ცხვებოდა პური და შემდგომ უფასოდ რიგდებოდა მოსახლეობაში. ვხედავდით, როგორი იყო მოთხოვნილება საკვებზე, პურზე და ამითაც შეგვეძლო განგვესაზღვრა, თუ რამდენი მოსახლე იყო ქალაქში.

— დაახლოებით რამდენი მოსახლე იყო ქალაქში დარჩენილი?

— დაახლოებით ათი ათასამდე. დარჩენილთა შორის ძირითადად მამაკაცები და მოხუცები იყვნენ. თუ ქუჩაში გამოსვლა სახითათო იყო, მაშინ უფრო მეტ დროს ისინი თავიანთ სახლებსა და ეზოებში ატარებდნენ.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ძირითადად ულესია ებმარებოდა ხალხს, კიდევ რა სახის დახმარება იყო ეს?

— ეკლესიის მხრიდან მოსახლეობის დახმარება ამ მძიმე დღეების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. ერთ-ერთი პირველი დახმარება მისმა უწმინდესობამ გაგვიწია. პატრიარქმა გამოაგზავნა სასულიერო პირები. 9-10 აგვისტოს ჩვენთან იყვნენ მცხეთა-თბილისის, რუსი-ურბნისისა და რუსთავის ეპარქიებიდან. ყველა სასულიერო პირი ცდილობდა, თავის მხრივ რაღაც გაეკეთებინა. სულ მცირე წვლილი მაინც შეეტანა, რომ ნაკლები ტკივილი განგვეცადა. ჩვენთან იყვნენ რამდენიმე მონასტრის მამები. ჩატარდა ქალაქის შემოვლა ნაკურთხი წყლის სხურებით. ჩვენი საჯარისო ნაწილების გასვლის შემდეგ, სრულიად დაიცალა ქალაქი, შენყდა სროლა და ჩამოწვა სიჩუმე, რასაც 11 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში მოყვაბანდიტური ჯგუფების შემოსვლა.

— მოთარეშეები ძირითადად რუსები იყვნენ?

— ძნელია მათ ეროვნულ შემადგენლობაზე საუბარი. გამოკვეთილად არ ეტყობოდათ, რომ რუსები იყვნენ. ზოგი მათგანი გატეხილი ქართულით საუბრობდა. მათი თარეში მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა. მეორე დღეს რუსული არმიის საჯარისო ნაწილები შემოვიდნენ.

— მისი უწმინდესობის ჩამოპრძანება ძალიან მნიშვნელოვანი იყო...

— დიახ, მისი უწმინდესობა 14 აგვისტოს ჩამოპრძანდა, რაც ძალიან დიდი ნუგეში და გამხნევება იყო ყველა ჩვენთაგანისთვის.

— გორის ტერიტორიაზე უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ადვილად შემოუშვეს?

— რამდენადაც მე ვიცი, იყო წინასწარი შეთანხმება, რომელშიც რუსეთის საპატრიარქო მონანილეობდა. ამ შეთანხმების საფუძველზე მოხდა მისი უწმინდესობის ჩამოპრძანება ჯერ გორში, შემდეგ ნიქოზში. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მიცვალებულთა გადმოსვენების, ტყვეთა გაცვლის და მოსახლეობის გადმოყვანის პროცესი. თავად უწმინდესმა გადაასვენა ექვსი მიცვალებული. ეს მოხდა იმ დღეს, როცა პატრიარქი გორში ჩამოპრძანდა. შემდგომ ამ პროცესში ჩვენი სასულიერო პირები ჩაერთვნენ.

— ამბობდნენ, თითქოს თქვენ მძევლად აგიყვანეს, რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი სინამდვილეს?

— ტყვედ ნამდვილად არა, რატომლაც ჭორი დაირსა, მაგრამ ფაქტია, რეზიდენციაში გასაძარცვად შემოვიდნენ. ტყვედ რომ ავეყვანეთ ვინმე, ამის ალბათობაც იყო. ამ მოთარეშე ჯგუფმა, წაიყვანა ქვათახევის მამათა, წმინდა სამების ლავრის მამათა მონასტრების და ჩვენი ავტომანქანები. მინდა ვთქვა, ეს იყვნენ ადამიანები, რომელთათვისაც ზეობრივი კატეგორიები საერთოდ უცნობია.

— ხშირად მოდიოდნენ თუ არა ქართველი ჯარისკაცები ტაძარში?

— ჯარისკაცები ხშირად მოდიოდნენ ტაძარში, ლოცვა-კურთხევას იღებდნენ. მინდა აღვნიშნო შეგნება და საოცარი თავდადება საზოგადოების ყველა ფენის: ექიმების, მედ-

დების, რომელთაც გამოჰყავდათ ჯარისკაცები ბრძოლის ველიდან, მეხანძრებების, პოლიციებისა და მშვიდობისანი მოსახლეობის. ასევე, მინდა ვთქვა ხელისუფლების თაობაზე. ისინი მაქსიმალურად სწრაფად შეეცადნენ სახელისუფლო რგოლების ფუნქციონირების აღდგენას, რათა მოსახლეობა არ დარჩენოლიყო უბატრონოდ, მოცული შიშითა და პანიკით.

— ხდებოდა თუ არა საერო და საულიერო პირების შეხვედრები?

— ჩვენთან ყოველდღე მოქმედებდა ასეთი შტაბი, იგი იკრიბებოდა ყველაზე საჭირო ბოროტო საკითხებზე მსჯელობისათვის დილით და საღამოს. აქ იყვნენ როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სასულიერო პირები. სასულიერი პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ შესულიყვნენ ისეთ ადგილებში სადაც დღესაც შეზღუდულია თავისუფალი მოძრაობა.

— დღეს რა მდგომარეობაა გორში და მიმდებარე სოფლებში?

— დღეს ღვთის წყალობით სიმშვიდეა ქალაქში. მთლიანად აღსდგა ქალაქის ინფრასტრუქტურა, მაგრამ არის ძალიან ბევრი დევნილი ადამიანი და სოფლებშიც მდგომარეობა რთულია. სოფლებში ვერ შედის ჩვენი პოლიცია და ამიტომაც ტერიტორიები დაუცველია. ყაჩაღური ფაქტები დღესაც არის სამწუხაონდ. რუსი სამხედროები, რომელიც საგუშაგოზე დგანან საფრთხეს არ წარმოადგენენ მოსახლეობისთვის. მაგრამ საგუშაგოებიდან მოშორებით არიან დაჯგუფებები რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობიან ხალხს.

— საქართველოში შემოსული უცხოური სხვადასხვა ორგანიზაციები თუ ეხმარებიან ომით დაზარალებულებს?

— თავიდან, ასეთ ორგანიზაციებს უჭირდათ თავისუფლად გადაადგილება სოფლებში. მაგალითად — „წითელ ჯვარს“. მგონი, ახლა იწყებენ ისინი უფრო ინტენსიურ მუშაობას სოფლებში. ამ დღეებში ძალიან ბევრი ადამიანი იყო ჩამოსული ჩვენს მხარდასაჭერად. იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ელჩები, რამდენჯერმე იყო ვატიკა-

ნის ელჩი, მთავარეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი. ყველამ თავის თვალით ნახა თუ რა ხდებოდა გორში.

— ეს ომი ალბათ ერთგვარი განსაცდელი იყო, რომელიც უფალმა მოგვივლინა. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება მომავალში საქართველო?

— რა თქმა უნდა, ეს განსაცდელი ღვთისაგან იყო მოვლენილი. ჩვენ უნდა მივხვდეთ რომ ჩვენი მფარველი და ჩვენი პატრონი არის ღმერთი. რომ საქართველო ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას ღვთის წინაშე იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპარებმა. ეს არის ჩვენი მიწა-წყლის ყოველი გოჯი, რომელიც მორწყულია წინაპრის სისხლით, ოფლით, ცრემლით, გაჯერებულია მისი ლოცვით. ჩვენ ეს მემკვიდრეობა უნდა ვიტვირთოთ, გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ და ასე დავუტოვოთ ჩვენს შთამომავლებს. დღეს ზოგიერთები ცდილობენ საქართველოს ასწავლონ შემწყნარებლობა. საუკუნეების მანძილზე საქართველოში ქართველებთან ერთად გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ: არა-

ბები, სპარსები, სომხები, აზერბაიჯანელები ებრაელები და კიდევ სხვა ეროვნებისა თუ რჯულის წარმომადგენლები. არასოდეს არ ყოფილა მათ მიმართ დევნა. საქართველოში არავის ახსოვს ბართლომეს ღამე, ებრაელთა დარბევა, გეტოები. ველოსიპედს თავიდან კი არ უნდა ვიგონებდეთ, არამედ გავყვეთ იმას, რაც არის ჩვენში რაც ჩვენს ბუნებაშია, რაც ჩვენს ცნობიერებაშია. რაც კარგია, რა თქმა უნდა, ცუდზე არ არის ლაპარაკი. დღეს სულ სხვანაირია პასუხისმგებლობა ხალხში, ვიდრე ეს იყო სამაჩაბლოს პირველი კონფლიქტის დროს, ვიდრე ეს იყო აფხაზეთის ომის დროს. სხვა არის ეს პასუხისმგებლობა და ჩვენი დიდი იმედია — ჩვენი ახალგაზრდა თაობა.

— დაგვლოცეთ მეუფეო, დალოცეთ ჩვენი უურნალი.

— ღმერთმა დაგლოცოთ, ღვთის მადლი და წყალობა შეგენიოთ, თქვენ და სრულიად საქართველოს.

2 ოქტომბერი 2008

ცაგერი



ადამიანისთვის ყველაზე ლამაზი ხომ ღვთისგან მინიჭებული სიცოცხლეა. მაგრამ, ხშირად, ჩვენს ცხოვრებაში დგება წამი, როცა საკუთარი სიცოცხლე არაფრად გიღილს. ეს მაშინ როცა ძალიან განუხებს, შენი სამშობლოს და ხალხის ბედი. როცა გინდა მკითხველისთვის საინტერესო მასალა მოამზადო. სწორად გადმოცე ის სიტუაცია, რაც ჩვენს თავს ხდება, რაც ხალხისთვის უცნობი და საინტერესოა. სექტემბრის დასაწყისში, ახალგორი და მიმდებარე სოფლები კვლავ რუსებმა დაიკავეს. ამას მოჰყვა საჯარისო ნაწილების და მძიმე ტექნიკის შემოყვანა. შექმნეს ბლოკ-პოსტები და

ააფრიალეს რუსული დროშა. ბოლო ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში სამხედროების რაოდენობა 2000-ით გაიზარდა, 2000-სი ჯარისკაცია, ასევე ჯავის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული, ხოლო ახალგორის რაიონში 40-ერთეული მძიმე ტეკნიკაა ცხინვალიდან შემოყვანილი. სრულ მასალას ახალგორიდან მეორე ნომერში იხილავთ, მანამდე კი მოგიყვებით, თუ როგორ ჩავედი ახალგორში და როგორ გადავურჩი რუსის და ოსის განაჩენს. მასალა ახალგორზე რომ მომემზადებინა, ერთი კვირით ადრე დავიწყე მზადება. აქ თბილისში რამდენჯერმე დავხვდი ახალგორის მიკროავტობუსს გამოვკითხე მძღოლი და მგზავრები. მგზავრებისგან შევიტყვე, რომ რუსები, ახალგორის ტერიტორიაზე შესვლისას, ყველას პირადობის მოწმობას თხოვდნენ, რეგისტრაციის გავლის შემდეგ კი ჩანთებს ამონმებდნენ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლებოდა შესვლა.

მართალი გითხრათ, თავიდან მარტო ვაპირებდი წასვლას, რადგან, შენი ახირების გამო, ძნელია საფრთხეში ჩაგდო შეთვის ძვირფასი ადამიანები. მაგრამ როცა კარგი მეგობარი გიდგას გვერდით, მაშინ ყველაზე ძლიერი და ბედნიერი ხარ. მიუხედავად დიდი საფრთხისა, ის მარც მოდის შენთან ერთად, არ გცილდება გვერდიდან და ცდილობს გაგამნევოს. როცა ინტერვიუს იწერ რესპონდენტთან დაძაბულ ადგილზე, მეგობარი ცდილობს სიტყუაცია აკონტროლოს, რომ საფრთხე არ შეგექმნას. მე თუ მკითხავ, ეს არის ნამდვილი მეგობრობა. როცა მეგობარი ჭირსა და ლხინში გვერდიდან არ გცილდება. ამ ლამაზ ადამიანს სოფო ჰქვია.

პარასკევს, 31 ოქტომბერს, ახალგორის მიმართულებით გავემგზავრეთ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ამ ტერიტორიას, მით უფრო ცუდად ვგრძნობდით თავს. ჯერ ქართული პოლიცია შეგვხვდა, მძღოლის შემონმების შემდეგ,

დავიძარით რუსული ბლოკ-პოსტისკენ. ყველაზე მეტად ის მაშინებდა, რომ შეიძლება შემონმებისას, ჩემი ფოტო აპარატი და ხმის ჩამწერი ეპოვნად. ამ ფიქრებში, ნანატრი სამი რუსის ჯარისკაცი და რუსული დროშა დავინახე, რამაც ძალიან შემაშფოთა. დიდი ბრაზი გამიჩნდა. ეს ტელე-ეკრანიდან ნანას არ გავდა, ძალიან მტკიცნეულია როცა საკუთარი თვალით ხედავ, რომ საკუთარი ქვეყნის ნაწილს სხვა იკავებს, არაფერს გეკითხება

და მხოლოდ მოჩვენებით მხიარულებით გესალმება. მერე პირადობის მოწმობას გთხოვს და გატარებს, თუმცა შეიძლება არც გაგატაროს, მოკლედ მათ ხელშია შენი ბედიც და სიცოცხლეც. მე გაგვიმართლა და ახალგორში შეუმონმებლად მოვხვდით. პირველად ღვთიშობლის მიძინების ტაძარში შევედი, სანთლები დავანთე და უფალს შევთხოვე სოფო ყველა უბედურებისგან დაეფარა. ტაძარი ცარიელი დამხვდა, მხოლოდ მესანთლე იყო., ლოცვას კითხულობდა. ტაძრიდან რომ გამოვდი უფრო მშვიდი და ძლიერი ვიყავი.

ჩუმად სურათების გადაღება დავიწყე, ისე, ვინმე რომ არ შეემჩნია. თუმცა რთულია არ შეგამჩნიონ, როცა ყველა ფეხის ნაბიჯზე ოსური და რუსული მანქანები გადაადგილდება. ამონმებენ ყველას და ყველაფერს. უკვირდათ ვინც დაგვინახავდა, ასე თავისუფლად რომ დავდიოდით ერთი ქუჩიდან მეორეზე. როცა ხალხი თავს არიდებს გარეთ გამოსვლას. საოცარი სიჩქმეა ჩამონილილი, აქა-იქ უფროსი თაობის წარმომადგენლები საუბრობენ და თან უცნაურად გიმზერენ. ყველა ცდილობს ნამდვილი განწყობა დამალოს, თითქოს ახალგორში არაფერი ხდება, არაფერი უჭირთ, არაფერია მათვის ეს სიტუაცია. კითხვაზე, ხდება თუ არა რუსების და ოსების მხრიდან თქვენი შევიწროება? დღეს ახალგორში სიმშვიდეა? უმრავლესობა შიშის ტონით პასუხობს რომ სიმშვიდეა, არავინ ანუხებებთ და მშვიდად ცხოვრობენ. მაგრამ ეს ხომ სიმართლე არ არის, როცა შენ თვითონ გრძნობ მოსალოდნელ საფრთხეს, როცა თითქმის მოსახლეობის უმრავლესობა თავის სახლს კეტავს და თბილისისკენ მოდის. ეს სიმშვიდეა? და თუ არ მოდის, ან საშუალება არა აქვს, ან სახლს არ ტოვებს. ასე უფრო მოხუცები იქცევიან. რაც შეეხება რესპონდენტის შერჩევას, ასეთ ადგილზე ძალიან რთულია. აქ ხომ ვერავის ენდობი, ერთი შეცდომა და რუსის ან ოსის ხელში ვარდები. კიდევ ერთი, რესპონდენტის ჩანერა არ უნდა მოხდეს ქუჩაში, ბალში ან სულაც სკოლის ეზოში. თუკი წინ, ბალის გვერდით, მთავარი რუსული შტაბის შენობაა, და თუ უფროსი მოდის, შენ კი მის თვალზინ რესპონდენტთან ინტერვიუს იწერ. სწორედ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რადგან სკოლის ეზოდან მხოლოდ ბალი ჩანდა, მოთამაშე ბავშვებით. რას ვიფიქრებდი, რომ იქვე რუსული შტაბი იყო. რუსის მანქანის დანახვაზე, შევწყვიტე ინტერვიუ და ხმის ჩამნერი დავმალე. მოკლედ, ასე გადავურჩი



რუსულ-ოსურ განაჩენს.

ქველი საწყობი, სხვადასხვა ნივთებით სავსე და კვლავ გაძარულ კედელზე რუსული კვალი სტალინის სურათის სახით. სწორედ ასეთ საოცარ გარემოში ჩავწერე მეორე რესპოდენტთან ინტერვიუ. ერთი უნდა აღვნიშნო ორივე შემთხვევაში გამიმართლა, კარგი ადამიანები შემხვდნენ და თან ისეთები, რომლებიც არ მაღავდნენ ნამდვილ განწყობას, თავისუფლად ყვებოდნენ იმ მდგომარეობაზე, რაც ახალგორში სექტემბრის დასაწყისიდან დაიწყო. მართლა, სულ დამავიწყდა, მალე შეიძლება ახალგორს სახელი შეუკვალონ და ქამაბყო „ბელადის“ — ლენინის სახელი უწოდონ. ამასთან ერთად ოსური მხარე ცდილობს, მოსახლეობაში გავლენა მოიპოვოს. ამ ყველაფერს ცრუ დაპირებებით ახერხებს. ახალგორის სკოლაში პედაგოგს და ბავშვებს გავესაუბრე. თუმცა თავიდანვე მივხვდი, რომ ჩემდამი ცუდად იყვნენ განწყობილი, ამიტომ ჩემი პროფესია დავმალე. საუბრისას გავარკვიე, რომ ბავშვები ახალ უცხოენას სწავლობენ ოსურის სახით. ამასთან მათ გამოუყეს სპეციალური მიკროვტობუსის, რომელიც ბავშვებს და პედაგოგს ემსახურება გაკვეთილების დამთავრებისას. რა თქმა უნდა, ეს „ხელშეწყობა“, ოსური მხარისგან მოდის, უკან კი დიდი რუსეთი დგას. ნათლად დავინახე დიდი საფრთხე რაც ჩვენს წინაშე დგას, რაც ჩვენს ქვეყანას და ხალხს ემუქრება.

მინდა აუცილებლად მოგიყვეთ ნამდვილი რუსი სალდატის შესახებ. მოპოვებული მასალით ხელდამშვენებული მიკროვტობუსში ჩავჯეტი და კვლავ რუსებისკენ გავემართე. მიჭირდა ასეთი ლამაზი ადგილის დატოვება, რომელიც შეიძლება ველარასდროს ნახო. ვისაც არ უნახავს ახალგორი, ყველას ვეტყვი, რომ ძალიან ლამაზია, თავისი ბუნებით განსაკუთრებით შემოდგომაზე. ვფიქრობდი, ალბათ, როგორც თავისუფლად შემოვედი, ისე თავისუფლად გავიდოდი. მაგრამ ამ ფიქრში კვლავ ორი რუსი დავინახე, მივხვდი რომ ბლოკ—პოსტს მივუახლოვდი. ერთი ჯარისკაცი მაგიდასთან იჯდა და წერდა, მეორე ჩვენს მიკროვტობუსთან მოვიდა, კარები გააღო და მხიარულად მოგვესალმა. მერე კი ცოტა მკაცრი ტონით გადმოსვლა და რეგისტრაციის გავლა მოგვთხოვა. გაღებული კარებიდან ვუყურებდი, ახალგაზრდა, საშუალო ტანის, გაურკვეველი კანის ფერის მქონე, ცივი ლურჯი თვალებით მომზირალ

სალდატს. რომელიც თავისი გამომეტყველებით არ მაღავდა თავის შეხედულებას ქართველების მიმართ. ეს თვალები არას-დროს დამავიწყდება, მათში ჩანდა შეუბრალებლობა და სისასტიკე. ვიგრძენი რომ მათ გული არ აქვთ და მხოლოდ ინსტიქტებით მოქმედებენ. რომ, მიუხედავად ტკბილი მოსალმებისა, მაინც არ დაგინდობს. რეგისტრაცია მაგიდასთან მჯდარ რუსთან გავიარე, მისი სახე არ მახსოვს. ამ დროს ჩვენთვის კარგად ცნობილი სალდატი, ჩვენს ჩანთებს ამონებდა. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი. თვალწინ მედგა ჩემი მეგობარი, რომელსაც შეიძლებოდა ჩემს გამო საფრთხე შექმნოდა. მაგრამ საბედნიეროდ, ღვთის წყალობით, ჩემი ჩანთა არ შეამოშმად დამშვიდობით დავპრუნდი თბილისში.

და ბოლოს, ფიქრობს კი ჩვეულებრივი რიგითი ადამიანი, თუ რა ხდება დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ უჭირს ხალხს იქ ცხოვრება, რას განიცდიან და ეგზებიან ყოველდღე, თუმცა, ამას მანამ ვერ გაიგებ და გაითავისებ., სანამ საკუთარი თვალით არ ნახავ. როცა ხედავ, რომ შეიძლება დღეს ან ხვალ აქ აღარ იცხოვრო, ან სულაც მეორედ გახდე დევნილი. მოგიწევს დატოვო სახლ-კარი, შენი შრომით მოპოვებული და აქამდე მოტანილი. როცა გარეთ გამუდმებით დადის რუსის და ოსის მანქანები, როცა ქუჩაში გამოსვლისას, ყველა ეჭვით გიყურებს. როცა თავისუფლად ვერ ამბობ, რომ ქართველი ხარ და სიტყვა გეთქმის. როცა გაძალებენ თავიანთ მხარეს გადახვიდე და ადამიანობა დაკარგო.

მაგრამ მე მიხარია, რომ ახალგორში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც არაფერი აშინებთ, არც მეორედ დევნილობის და არც ტყვიის. ისინი ცდილობენ არ დატოვონ თავიანთი ტერიტორია, დაიცვან საქართველო, გამოხატონ თავიანთი თავისუფლი აზრი. დაიცვან და შეინარჩუნონ ქართველობა და ტრადიციები.

P.S ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა ჩემს ქვეყანაში მშვიდობა დაისადგურებს. შემეძლება თავისუფლად ჩასვლა აფხაზეთ-სა და ცხინვალში. მაგრამ ჯერ შორსაა ამაზე ფიქრი, როცა რაც გაბადია იმასაც კარგავ. დროა გამოფხილებისა და საქმის კეთების.. რათა საქართველომ ძალა მოიკრიბოს, აღორძინდეს და გაერთიანდეს.

31 სექტემბერი 2008წ
მასალები მოამზადა
ნათია გოგუაძე

ወጪዎችናወጪ



କୋଣାର୍କ ମହାଦେବ ମନ୍ଦିର ପାତାଳଗାଁରୁ
କରୁଣାକାରୀ ଶ୍ଵରୁଷାଲୀଙ୍କ ପାତାଳଗାଁରୁ

საქართველოზე რუსეთის სამხედრო აგრძელის წინააღმდეგ 1 სექტემბერს, ბრიუსელში ევროპის ლიდერთა სამითი გაიმართა.

სამიტის პარალელურად, საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩვენი ქვეყნის მხარდამჭერი აქცია „ცოცხალი ჯაჭვი“ მოეწყო. იგი ქართული საზოგადოების ინიციატივითა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია - ის ლოცვა-კურთხევით გაიმართა. მისი მთავარი მოწოდება იყო - „საქართველო ჩვენია!“ როცა მისმა უწმინდესობამ ქართველ ერს გაძლიერებული ლოცვისაკენ მოუწოდდა, ბელგიაში მცხოვრებმა ქართველებმაც გააძლიერეს ლოცვა და დიდი თანადგომით გამოიხმაურენ „ცოცხალი ჯაჭვის“ იდეას. აქციაში, ქართველების გარდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ჩაერთვნენ.

ბელგიის დედაქალაქში ევროპის ლიდერთა შეხვედრისას „კონკალი ჯაჭვი“ შეიკრა.

ბრიუსელში მოწყობილი აქციის შესახებ,
პელგიის დედაქალაქში საქართველოს მარ-
თლმადიდებელი კულტინის, ნმ. თამარ მი-

ଓଡ଼ିଆ ଲେଖଣି

ფის სახელობის ტაძრის წინამდლ-
ვარს იღუმენ დოსითეს (ბოგვერაძე)
დავუკავშირდით. გთავაზობთ მისი
საუბრის ტექსტს:

პირველი სექტემბრისათვის მზა-
დება ცოტა ადრე დავინუეთ. დავუკავ-
შირდით გერმანიის, ჰოლანდიის, სა-
ფრანგეთის ქართულ სათვისტო-
მოებს. ბრიუსელში ევროკავშირის
შენობასთან, შუმანის მოედანზე, 2
საათისთვის შევიკრიბეთ. არ დაგ-
ვითვლია, მაგრამ, როგორც თქვეს,
აქციაში დაახლოებით 800-1000 ად-
ამიანი მონაწილეობდა. ქართველებს
ადგილობრივი მეგობარი ბელგიელე-
ბი, ჩეჩენები და ინგუშებიც შე-

„ცოცხალ ჯაჭვს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო გზაცვილი ევროპისთვის დემოკრატიის მხარდასაჭ-ერად. გვსურდა გვეჩვენებინა, რომ ქარ-თველები სულიერად მტკიცენი ვართ; რომ შინ და გარეთ ერთად ვართ; რომ ბარ-ბაროსული მოქმედებით რუსეთმა სა-შინელებები დაგვატება თავს: მსხვერპლი, უსაბლვარობა, ქვრივ-ობლობა და ცეცხ-ლი. რომ ევროპისთვის საშიშია არა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია თავისთავად, არამედ რუსული აგრესიის სასიათი და თავისებურებანი.

ქადვი საქართველოსთვის

კულტურის მიმართ აგრესია, არ არის მარტო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესია.

აქციაზე ისმოდა შეძახილები „საქართველო!“ „თავისუფლება საქართველოს!“ რომ საქართველო ძლიერი ერია და მიუხედავად ყველაფრისა, მას ნათელი მომავალი აქვს. ეს იყო გამოხმაურება პატრიარქის მოწოდებაზე: გავერთიანებულიყავით და ლოცვა აღგვევლინა, სულიერი ერთობა გამოვეხატა, ყველაფერთან ერთად. მანიფესტაცია ერთიანობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული.

აქცია ბრიუსელის ქართული სათვისტო-მოსა და ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია „სოს ჯორჯიას“ ორგანიზებით მოეწყო. ჩვენ, ჰოლანდიის ქართულ სათვისტომოსთან ერთად, ლია წერილი გადავეცით ევროკავშირის წარმომადგენლებს, სადაც გამოხატული იყო იქ შეკრებილთა ემოცია და თანადგომისკენ მოწოდება. წერილში აისახა მანიფესტაციაზე გახმაურებული მოწოდებები, ხაზი გაესვა რუსეთისაგან საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას; რომ ოკუპაცია გასცდა კონფლიქტური ტერიტორიების საზღვრებს; რომ რუსეთის აგრესია დიდი ხანია მწიფდებოდა და რომ დასავლეთმა არ შეიძლება ქმედითი ლონისძიებები არ გაატაროს.

მიტინგზე დიდი თანადგომა იყო ინგუშების მხრიდან. მათ საზღვარგარეთის მედიას მისცეს ინტერვიუ ინგუშეთში არსებულ მდგომარეობაზე, რომ ინგუშეთიც იბრძვის და იყო გამოსვლები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. რამ-

დენიმე ჩეჩენი მეგობრის მხრიდან გამოიხატა გულისწყვეტა, რომ თავის დროზე შეცდომა იქნა დაშვებული და არ შედგა კავკასიის ერთიანობა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

მანიფესტაცია ფართოდ გაშუქდა, რადგან სამიტზე მრავლად იყო უცხოეთის მედიის წარმომადგენელი. განსაკუთრებული დაინტერესება იყო ბრიტანული, ფრანგული და ადგილობრივი უურნალისტების მხრიდან. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ იმით, რომ ქართველები ასეთი მოტივირებულები და ერთსულოვანნი ვიყავით. ბევრმა მათგანმა პირადი თანაგრძნობაც გამოხატა.

ალბათ, უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც, დილით გავიგეთ, რომ, იმავე ადგილზე, რუსეთის წარმომადგენლებმაც მოინდომეს მიტინგის ჩატარება. თუმცა, როგორც თვითმხილებმა ნახეს, სულ შვიდიოდე კაცი შეიკრიბა, რამდენიმე უხეირო ლოზუნგით. მანიფესტაციამ დაგეგმილზე მეტი ხანი, 5 საათამდე გასტანა. საბოლოოდ იგი თავისუ-



ფლების ტრიუმფალურ თაღთან დასრულდა დიდი ცოცხალი ჯაჭვით. იმ დღეებში (ორი კვირის მანძილზე) ხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა მასშტაბის სულ 16 აქცია მოეწყო. აქციის შემდეგ გერმანიიდან (გერმანიის სათვისტომოს დიუსელდორფის ანთიმოზ ივერიელის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ისე წინამძღვრობდა) და პოლანდიიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად, ბრიუსელის თამარ მეფის სახელობის ეკლესიაში სამშვიდობო პარაკლისი გადავიხადეთ. გადაწყდა, რომ ორგანიზაცია „სოს უორჯი“ და ქართული სათვისტომ ბელგიაში ჰუმანიტარულ დახმარებას შეაგროვებდა ომის დროს დაზარალებულთათვის, რაც გავაკეთეთ კიდეც.

რუსეთის აგრესის დროს საქართველოში ვიყავი. ბუნებრივია, ჩვენი სამრევლოც ცუდ დღეში აღმოჩდა. ბევრ მათგანს ახლო ნათესავები სწორედ კონფლიქტის ზონაში ჰყავდა დატოვებული. ბევრიც შვებულებით საქართველოში იყო ჩამოსული ოჯახთან ერთად და უშუალოდ შეესწრო დაბომბვასა და აგრესიას. იყვნენ ისეთებიც, მხოლოდ შვილები რომ გამოაგზავნეს ბებია-ბაბუასთან და უშუალოდ სამხედრო მოქმედებების მიმდებარე რაიონებში აღმოჩნდნენ. ეს ყოველივე, როგორც ყველასთვის, ჩვენთვისაც დიდი სტრესი იყო. ბელგიაში მრევლს ვთხოვე ყოველ საღამოს შეკრებილიყვნენ ეკლესიაში და ღვთისმშობლის დაუჯდომელი წაეკითხათ. ელოცათ ღვთისმშობელთან ახლობლებისა და ჩვენი ქვეყნის მფარველობისთვის.

დაბომბვების დროს, უწმინდესის კურთხევით, სამღვდელოების ერთმა ნაწილმა დიდი რაოდენობით პური და საკვები პროდუქტები ჩავიტანეთ გორში. შევხვდით მეუფე ანდრიას, შევხვდით იქ დარჩენილ მოსახლეობას, ვიყავით ჰოსპიტალში და



გადავეცით მისი უწმინდესობის მიერ გაგზავნილი სურსათ-სანოვაგე. იმ დროს დაიბომბა და მიწასთან გაასწორეს ნიქოზის საეპარქიო რეზიდენცია, მონასტერი. ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტმა, ისაიამ ნიქოზიდან გამოაცილა მონასტრის წევრები და თვითონ ნიქოზში დარჩა. სანამ ეკლესია იქნება არ მივატოვებო. შემდეგი ორი კვირა არაფრით იყო უკეთესი, ყოველი დღე რუსეთის არმიის სამარცხვინო ფურცელს ინიშნავდა.

ბელგიაში 21 აგვისტოს დავბრუნდი.

განსაცდელმა დაგვანახა, რომ ერთიანობა და სულიერი სიმტკიცე ჩვენი მომავლის ქვაკუთხედია. ქართველებმა მსოფლიოს აჩვენეს, რომ აქვთ ერთობა და სულიერი ძალა ერის მთლიანობისა და თავისუფლებისთვის, რომ ქართველი მზადაა თავი გაწიროს თავისი სამშობლოსათვის და ამით მოწამეობის საზომის მიეახლოს.

საუბრის ბოლოს მამა დოსითემ ერთიანობა, მშვიდობა და ღვთის მფარველობა გვისურვა.

ესაუბრა
გიორგი ლიანიშვილი

ფოტოები ბრიუსელიდან მოგვაწოდა
იღუმენმა დოსითემ (ბოგვერაძე)

ეპიდემიური უგიენეტიკის ზონა

როცა საქართველოს უმრავლეს რეგიონში ჭურვების წვიმა შეწყდა, ბორჯომის ხეობაზე მაშინ დაიწყო შეტევა. რუსეთის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი აალებადი ჭურვების შედეგად 15 აგვისტოს, ბორჯომის ხეობაში ერთდროულად ცეცხლის 6 კერა გაჩნდა.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ხელისუფლება ორი დღის განმავლობაში ხანძრის ლოკალიზებას საკუთარი ძალებით ცდილობდა, თუმცა მიუვალი ადგილებისა და ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, ვითარება ყოველდღე უფრო რთულდებოდა. სოფელ წალვერის მცხოვრების დარეჯან ბარბაქაძის თქმით, ცეცხლის გაჩნიდან პირველივე დღეს მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. „ხალხი გამგეობიდან ამოვიდა და გაგვაფრთხილა, ცეცხლი შეიძლება საცხოვრებელ სახლებს მალე მოუახლოვდეს და ბინები დატოვეთო. ომიანობის პერიოდში ვის მოსთხოვ დახმარებას, ყველას უჭირს. დავტოვეთ ბინები და გამოვედით. ბინებს იმდენად არ ვჩივი, რამდენადაც იმას, რომ ცეცხლმა ჩემი საყვარელი ბუნება შეიწირა“.

გართულებული მდგომარეობის გამო,

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით ცოცხალი ძალის მობილიზება მესამე დღიდან დაიწყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სახანძრო ბრიგადები და გარემოს დამცველები, 500-მდე მოხალისესთან ერთად 24 სთიან რეჟიმში ებრძოდნენ სტიქიას. ამ დღესვე მოძიებული იქნა წყლის რეზერვუარები.

18 აგვისტოს ცეცხლი სოფლების — დაბისა და წალვერის მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებს მიუახლოვდა. სოფელ დაბის მცხოვრები მარინა თედიაშვილი იმ დროს ასე იხსენებს: „გადმოსულმა ცეცხლმა მთელი ღობები დაწვა, როცა დამწვარი ღობების შეკეთებას ვცდილობდით, სოფლიდან განწირული ყვირილი მოისმა, ხალხო, გვიშველეთ ცეცხლი გვიყიდიათ. ცეცხლი წალვერიდან ყვიბისში, მერე კი დაბაშიც გადმოვიდა. პანიკაში ვართ, პატარა ბავშვის პატრონები პირველივე დღეს წავიდნენ აქედან, ზოგი წალენიდან გადავიდა, ზოგიც ხულოდან... ხალხის უმრავლესობა გახიზნულია, აյ მხოლოდ კაცები და მოხუცები დავრჩით. ცეცხლი ბალებთან უკვე მოსულია, მოპირდაპირე



მხარეს კი სახლებსაც მოუახლოვდა“.



ადგილობრივი მოსახლეობა სპეციალისტებთან და მოხალისეებთან ერთად თავის გადარჩენას ყველა ხერხით ცდილობდა. დილით ვითარება შეს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ხანძარსანინაღმდეგო სამმართველოს უფროსის მოადგილე ზურაბ თალაკვაძემ ასე შეაფასა: „წუხანდელთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია. მართალია დღის 2 საათისთვის ამინდი ნორმალურია, მაგრამ ტემპერატურა ახლა მაღლა იწევს და საღამოს 5 სთ-ის მერე დასავლეთის ქარიცძლიერდება, რაც საშიშროებას გვიქმნის. მთავარი პრობლემა ჯერ-ჯერობით გადავჭრით, ცეცხლი საცხოვრებელ სახლებს აღარ უახლოვდება“.

ბორჯომის ხეობაში გართულებული მდგომარეობის გამო, გარემოს დაცვის სამინისტრომ საპატიო და სახმელეთო დერეფნის გახსნა მოითხოვა. უსაფრთხოების გარანტიების მიღების შემთხვევაში თურქული მხარე საქართველოს ავიაციით დახმარებას დაპირდა. თურქულ მხარესთან ერთად ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეობის სურვილი უკრაინულმა და აზერბაიჯანულმა მხარემაც გამოთქვა. რეს ოკუპანტებთან მოლაპარაკება სამი დღის გამავლობაში გაგრძელდა. საქართველოში საპატიო დერეფნის გახსნის ნებართვა კრემლმა მხოლოდ მეოთხე დღეს და ისიც მარტო ნატოს წევრი ქვენისთვის გასცა. ნებართვის მიღების შემდეგ თურქულმა თვითმფრინავმა შემოფრენა დილიდანვე დაიწყო. ადიგენის სახანძრო სამსახურის

უფროსმა დავით ბუაძემ ტყეში შექმნილ მდგომარეობას უკვე საგანგაშო უწოდა: „გვეხმარება თურქეთის ორი თვითმფრინავი, მუშაობენ სახანძრო მანქანები, მობილიზებულია მოსახლეობა, ვმუშაობთ ფიზიკურად და ცეცხლის ლიკვიდირებას ვცდილობთ. დიდი ნუგეში იქნება რომ გაწვიმდეს. თურქ პილოტებს გრაფიკს ვერ ვუდგენთ, ისინი თავადილებენ მონაცემებს. მთავარი იმედი მაინც წვიმა და ჩვენი მუშახელია“.

18 აგვისტო კიდევ ერთი სიახლით იყო მნიშვნელოვანი. ბორჯომის ხეობაში ვითარება ყველაზე მეტად მაშინ დაიძაბა, როდესაც რუსები ტანკებითა და სამხედო მანქანებით ქალაქის შესასვლელს მეორედ მიუახლოვდნენ. მათ გზა საპატრულო პოლიციამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაუკეტა. სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიქემ მოსახლეობას სიმშვიდისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა: „არაა დექვატურები და მთვრალები არიან, მოსინჯეს შეძლებდნენ თუ არა ბორჯომში შემოსვლას. მინდა ყველას ვთხოვთ, რომ იყვნენ მშვიდად, არ წამოეგონ პროვოკაციას. მათი დღეები ამ ქვეყანაში დათვლილია, უნდა გავიდნენ აუცილებლად. პირველად წუხელ ღამე შეეცადნენ შემოსვლას, ერთი ტანკი ამოვიდა და დაზვერა სიტუაცია. ახლა კი 2 „ბე-ემ-პე“, 2 ტანკი, 2 „პიკაპის“ ჯიპი და 2 უაზის ტიპის ავტომანქანა მოადგა ბორჯომის შემოსასვლელს. საჭაოდ აგრძელები არიან და ცალსახად პროვოკაციაზე მოდიან“.

ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლება რეს ოკუპანტებს ბორჯომში ესაუბრე-





ბოდა, ცეცხლის 2 ახალი კერა წაღვერის მოპირდაპირე მხარეს სოფელ ქვაბისხევთან და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაჩნდა, რის შედეგადაც მარტო ბორჯომი-ხარაგაულის ტყეპარკში 20 ჰა ტყის მასივი განადგურდა. ეს კერძიც 15 აგვისტოს ჩამოგდებული ჭურვების შედეგად გაჩნდა, იმ განსხვავებით, რომ აგრესორებმა მათი ამოქმედება 18 აგვისტოს გადაწყვიტეს. ძალოვანების მტკიცებით ჩამოყრილი აალებადი ჭურვების გააქტიურება 154 საათის განმავლობაშია შესაძლებელი. გარემოს დაცვის მინისტრის ირაკლი ლვალაძის განცხადებით კერძი იქაც მიუვალ ადგილებზე გაჩნდა: „ორი ახალი კერა გაჩნდა, სამ ჰექტარამდე უკვე იწვის, მიუვალ ადგილზე, მაგრამ ახლა ნაკრძალის თანამშრომლებთან ერთად ვცდილობთ, რომ ადგილამდე მივაღწიოთ და თავიდან ავიცილოთ ცეცხლის გავრცელება. დღესვე თურქულმა თვითმფრინავებმა წაღვერში შემოფრენა დაიწყეს. 4 შემოფრენა განახორციელეს. ისინი ზუსტ, წერტილვან დასხმებს ახორციელებენ. უკრაინელები კი ტექნიკურ საკითხებს აგვარებენ.“

ფერიცვალების დღესასწაულზე წაღვერის ტყეში მხოლოდ ნახევარი საათის განმავლობაში წვიმდა. გარემოს დამცველებმა და მეხანძრებმა ხანძრის ლოკალიზების შესახებ პირველი განცხადება 22 აგვისტოს გააკეთეს. სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარელაშა ჭკადუა იმედოვნებდა, რომ ორ დღეში სპეციალისტები ბორჯომში დამწვარი ტყის აღრიცხვას დაიწყებდნენ.

„ლოკალიზების შემდეგ ჩვენ

ველოდებით სპეციალისტებს და რამდენიმე დღეში გვეცოდინება ზუსტი პასუხი, რაც ამ ხანძრის შედეგად ეკოსისტემამ მიიღო. ამ ეტაპზე დაასლოებით 300 ჰა-ზე მეტი ტყის მასივია დამწვარი. დაზიანებული ხეების გარკვეული ნაწილი ენდემური ჯიშისაა, დაზიანებულია წითელ წიგნში შეტანილი სახეობებიც“.

23 აგვისტოს დამწვარი ხეობა სამცხე-ჯავახეთის გარემოსდაცვით სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოინახულეს. „შეძრნუნებული ვართ ყოველივე იმით, რაც ვნახეთ. რომელი ენდემური სახეობების დაცვა-კონსერვაციაზეა საუბარი, როცა მთელი ეკოსისტემა უკვე განადგურებულია“, - განაცხადა ორგანიზაცია „ანურის“ თავმჯდომარემ, ასევე ბორჯომ-ხარაგაულისა და პან-პარკების პარტნიორმა ნანა ნათენაძემ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ნანა ზუბაშვილმა აღნიშნა, რომ: „მსოფლიოსთვის ბორჯომის ხეობა და ეროვნული პარკი უმნიშვნელოვანესი და ბიომრავალფეროვნებით მდიდარია. მდგომარეობა ძალიან ცუდია. ჩვენს მთავრობასთან ერთად შევეცდებით საერთოშორისო ორგანიზაციების ჩართვას.“

სიხარული ნაადრევი გამოდგა. 23 და 24 აგვისტოს დასავლეთის მხრიდან ამოვარდნილმა ქარმა ხანძარი ისევ გააძლიერა. სოფელ წაღვერის მკვიდრი რომან ლომიძე ვითარებას ასე აღნერდა:

„სახლებიდან 100 მეტრის დაშორებით ცეცხლია გაძლიერებული. სახანძრო თავ-

დაცვით ზოლს ვაკეთებთ, რომ მოსახლეობას არ მიწვდეს. მომენტში ჩაქრება, მომენტში, სადაც ამოვარდება, არავინ იცის. მეათე დღეა უკვე... დღეს მოვიდა ჩვენამდე, მანამდე კი სოფელ დაბას გადაუარა. დაბა სულ თავზე გადამწვარია, თითქმის ნახევარ ბორჯომს მიწვდა“.

ამონალების საწყობი, „ემ-ტე-ეს-ის“ დასახლება, წალვერის თავი, არჯევანის ტყე, ნასოფლარის თავი, ტბები, წვერი, მშრალი და რუსოს ლელები ეს ბორჯომის ხეობის ის ტერიტორიებია, რომლებიც მთელი ამ დროის განმავლობაში ყველაზე რთულ კურებად ითვლებოდა. გარემოს დაცვის მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ ვითარებას მძიმე, მაგრამ კონტროლს დაქვემდებარებული უწოდა. აქვე პირველად აღნიშნა, რომ საქართველოს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრებოდა.

თურქეული ავიაცია ქართულ მხარეს ხუთი დღის განმავლობაში ეხმარებოდა. ალმოდებულ რეგიონს მაღალ უკრაინული ტექნიკა გადაეცა, რომელშიც 2 სახანძრო

მანქანა, წყლის მილები და მოპილური სადგურები შედის. საქართველოდან რუსული ჯარის პირველი ნაკადის გას ვლის შემდეგ ქართულმა მხარემ საკუთარი ავიაციის გამოყენებაც შეძლო. ცეცხლს 27 აგვისტოდან უკვე სამი ქართული ვერტმფრენი აქრობდა. თითო ფრენაზე სამივე ვერტმფრენი ლია კერებს ყოველ ნახევარ საათში 8 ტონა წყალს ასხამდა.


წალვერის ტყეში „ბრითიშ-პეტროლიუმის“ 2 ტრაქტორის მნიშვნელობაზე ყველა საუბრობდა. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სახანძრო სამსახურის უფროსი ავთო ათონიანი გამგებელის სატელეფონო ზარის შემდეგ წალვერის ტყისკენ ორი მანქანითა და 12 კაციანი ბრიგადით ჩამოვიდა: „უკვე მე-10 დღეა აქ ვართ, ხანძრის ლია კერები დღეს თითქმის აღარ არის, კვამლი ამოდის რამდენიმე ადგილას. იმედია, საქმეს ორ დღეში მოვრჩებით. ყველაზე მეტად ტრაქტორი დაგვეხმარა. ის მიწას ჭრიდა და მანქანები ადვილად მიდიოდნენ კერებამდე .

ორი დღის შემდეგ კი არ-სებულ ტექნიკას „საქართველოს ბანკის“ მიერ ნაჩუქარი 4 კვადროციკლი დაემატა, რომელიც ძირითადად მიუვალი ადგილებისთვის არის განცუთნილი. ხანძარს გარემოსდამცველებთან და მეხანძრებთან ერთად მოსამართლები და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებიც აქრობდნენ.

მარიამობის დღესასწაულზე წალვერის ტყეში ხანძრის ლოკალიზების შესახებ განცხადება კიდევ ერთხელ გაკეთდა, თუმცა საბოლოოდ ცეცხლის ლიკვიდაცია 25-ე

დღეს მოხერხდა. ვითარება მთელი ამ დროის განმავლობაში სამჯერ გართულდა. ჰაერის მაღალმა ტემპერატურამ, დასავლეთის ძლიერმა ქარმა, მიუვალ ადგილებზე გაჩენილმა კერებმა და ქვეყნაში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ ბორჯომის ხეობის სოფლებს - წალვერს, ტიმოთესუბანს, ყვიბისსა და დაბას საფრთხე არაერთხელ შეუქმნა. გარემოს დაცვის მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ კიდევ ერთი შეუსრულებელი შეთანხმების შესახებ განაცხადა: „საზღვრებთან მოხდა ცეცხლის შეჩერება და ნაკრძალის ტერიტორიაზე მხოლოდ 20 ჰექტარი ტყის მასივი განადგურდა, თუმცა რაც დაინვა ესეც დიდი ღირებულების იყო. ვაპირებდით, რომ ეს ტერიტორია მომავალში ეროვნული პარკისთვის გადაგვეცა. კრიმინალისტები დაიწყებენ ტერიტორიის დათვალიერებას, რომ მოხდეს ნივთმტკიცებების შეგროვება. ჩვენ უამრავი მოწმის ჩვენება გვაქვს, რომ ეს არის რუსული ვერტმფრენები, რომლებმაც ამ ტერიტორიაზე გადაიფრინეს. განადგურდა მრავალწლოვანი ხეები, მცენარეთა საფარი, ცხოველთა სამყარო“.

გადატვირთული მუშაობის გამო ტექნიკა ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და მათი შეკეთება მძლოლებს საველე პირობებში უხდებოდათ. ხანძრის გაჩენიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ სპეციალისტებმა უკვე ტორფის წვის შესახებ დაიწყეს საუბარი. საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის თანამშრომელი დავით გელაშვილი აცხადებდა, რომ ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ მიწის ზემოდან ხდებოდა:



„ყველაზე საშიში ტორფის წვაა, ფესვებს ცეცხლი თითქმის ერთ მეტრის სიღრმეზე უკიდია“.

სანძრის გაჩენიდან მეოცე დღეს ბორჯომის ხეობაში ქარი ისევ გაძლიერდა და 7 ახალი კერაც გაჩნდა. ვითარების გართულებისთანავე ხეობას გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე გოჩა მამაცაშვილი ეწვია. მას ადგილზე არსებული ტექნიკის 30% მწყობრიდან გამოსული დახვდა. ძლიერი ქარის გამოვერ მუშაობდა ერთადერთი ვერტმფრენი. დანარჩენი ორი სანძრის ლოკალიზებას ატენის ხეობაში ცდილობდა.

სანძარს უკვე სტრატეგიული ობიექტების დაცვის თანამშრომლები, თავდაცვის სამინისტროს ქუთაისის მესამე ბრიგადა და შინაგანი ჯარიც აქრობდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდა შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის წარმომადგენლობა მინისტრის მოადგილის შალვა ჯანაშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოს პროკურატურაში ეკოციდის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. წინასწარი მონაცემებით, ზარალი მილიარდ ლარს აღემატება. შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსის მოადგილე ზურაბ თალაკვაძის თქმით: „სატყეოს თანამშრომლებთან ერთად იქნება ყოველსაათიანი კონტროლი, შემდეგ დაიწყება დაკვირვების ერთკვირიანი პროცესი, რომელსაც ადგილობრივი გამოიყენება“ — აღნიშნა ირაკლი ლვალაძე.

სპეციალისტები იმასაც შიშობენ, რომ წინვოვანი

ტყე შეიძლება მაღლე ფოთლოვანმა შეცვალოს, რადგან იგი უფრო სწრაფად იზრდება. ხანძარმა საფრთხე შეუქმნა ისეთი უნიკალური ჯიშის ხეს, როგორიც უთხოვარია. ძლიერი ცეცხლის გამო ტყიდან ცხოველთა მიგრაცია დაიწყო.

5 სექტემბერს ნახანძრალ ტერიტორიას მინისტრი ირაკლი ლვალაძის ხელმძღვანელობით ექსპერტებით, მეცნიერებითა და არასამათვრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია ეწვია. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით ეს ტერიტორია ეკოლოგიური უბედურების ზონად გამოცხადდა. ორმოცი კაცისგან შემდგარი სამთავრობო კომისია ერთი თვის ვადაში კომპლექსურად შეისწავლის მიყენებულ ზარალს არა მარტო ბორჯომის ხეობაში, არამედ ფოთში, სვანეთში, ატენის ხეობასა და სკრაში და შესაბამის დასკვნასაც წარადგენს.

„იმის გამო, რომ ტყის მასივი განადგურდა ყველაფერს სერიოზული საფრთხე შექმნა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის წარეცხვა, ნიადაგის წარეცხვამ მეწყერული პროცესები, ეს უკანასკნელი გამოიწვევს წყლების დაბინძურებას, დაბინძურება კი ეკომიგრანტებს და ათას უბედურებას“ — აღნიშნა ირაკლი ლვალაძე.

ნაღვერის ტყეში შექმნილ მდგომარეობას სპეციალისტებმა ერთხმად უწოდეს საგანგებო. თითოეული ცალკალკუ კი ცდილობდა იმ სავალალო მდგომარეობის განმარტებას, რაც ქართულ ეკოსისტემას მიადგა. ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი



გიორგი ბახტაძე ამბობს, რომ მთავარი ფლორის გაცოცლება: „რომელ ცხოველზეა აქ საუბარი, პირველ რიგში უნდა აღდგეს მცენარეული საფარი. რადგან ცხოველები პირველ რიგში ფლორას უკავშირდებიან. რამდენიმე წელინადში აქ წავა ბუნებრივი აღდგენითი პროცესები, წარმოიქმნება ბუჩქები და რაც მთავარია, ნიადაგმი წარმოიქმნება პირველი უხერხემლო ცხოველები, რომლებიც ქმნიან იმის საფუძველს, რომ მომავალში აქ აღსდგეს ეკოსისტემა. ამას დაახლოებით 20 წელი მაინც დასჭირდება, პირვანდელი სახით თუ არა, გარკვეული აღდგენა, რომ მაინც მოხერხდეს. უნიკალური ტყის მასივების გარდა აქ არის უნიკალური ფაუნაც. რომელთა უმეტესობა როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო წითელ ნუსხაშია შეტანილი“.

**წყალთა მეურნეობის ინ-
სტიტუტის დირექტორი,
პროფესორი გივი გავარდ-
აშვილი ირწმუნება, რომ
დამწვარ ტყეში ცოცხალი
ორგანიზმები აღარ არსე-
ბობს: „საჭიროა ნიადაგის
გამოკვლევა და ცოცხალი
ორგანიზმების ხელოვნურად
შემოტანა, რომელიც საშუ-
ალებას მოგვცემს დაგსახოთ
სხვადასხვა ღონისძიებები.
პირველი კი წყლისმიერი
ეროზის საწინააღმდეგო სა-
შუალებებია, რის შემდეგაც
ჩვენ შეგვეძლება აღვადგინოთ
როგორც წყლის, ასევე მცე-
ნარეული საფარი“.**

კომისიის ერთ-ერთი წევ-
რის ბიოლოგიის მეცნიერე-
ბათა დოქტორის ქრისტო
კახნიაშვილის ინფორმაციით
დამუშავების პროცესშია
რამდენიმე პროექტი, რო-
მელიც განადგურებული ტყის
მასივების განახლებას
ითვალისწინებს. „ბორჯომის
ტყე ერთ-ერთი უნიკალურია
მსოფლიოში, რომელიც ბორ-
ჯომის წყლების ხარისხსა და
მარაგებს აპირობებს. მისი გა-
ნადგურება დროთა განმავ-
ლობაში აუცილებლად უარყ-
ოფით გავლენას გამოიწვევს.
ეს არის საშინელი ბარ-
ბაროსობა, რომელიც ათეუ-
ლი წლები გაყვება საქართვე-
ლოს. პირველი ამოცანაა ტყის
გასუფთავება. ვინც მასალად
ან შეშად მოიხმარს, მან გან-
მინდოს გარკვეული საფასურ-
ის გადახდის შემდეგ. მერე
შეიქმნას სპეციალური ფონ-
დი, რომელიც აღდგენას მოხ-
მარდება, ამაში მსოფლიოც
ჩაერთვება“.

ნიადაგმცოდნე თენგიზ
ურუშაძე იმ სავალალო შედე-
გებზე საუბრობს, რაც მო-
მავალში შეიძლება განვი-
თარდეს. „სანდარი არის სხ-
ვადასხვა სახის, მაღლნარი,

როცა მიდის ეკოსისტემის წვა
და დაბლნარი, როცა უკვე
ტორფის განადგურება ხდე-
ბა. მთის ტყეების ფუნქციაში
შედის ისიც, რომ მათ აქვთ
წყალმარეგულირებელი ფუნ-
ქციაც. ნალექის მოსვლის შემ-
დეგ, თუ ნორმალური ტყეა,
ის ხელს უწყობს ნიადაგში
ჩაუნვას, რის შემდეგაც დად-
აბლებულ ადგილებში ვიღებთ
წყაროებს, ბორჯომის ხეობაში
მინერალურსაც. თუ ნიადაგ-
მა დაკარგა ეს თვისებები, წყ-
ალი აღარ ჩაიუნვება, წამოვა
ზედაპირზე, ეს არის უკვე
ზედაპირული ჩამონადენი. ეს
ნიადაგს წალევას და სასარგე-
ბლო წყალზე ხომ ლაპარაკ-
იც ზედმეტია. წალევა შეი-
ძლება ძალიან სწრაფად
მოხდეს, ფერდობები გაშიშვ-
ლდება და ტყესაც გაუჭირდ-
ება აღდგენა. სადაც აუცილე-
ბლად გასანმენდია, უნდა გაი-
მინდოს, რომ არ იქცეს გად-
ამწვარი ტყე დაავადებების,
მაგრებლების კერად“.

ხანძარი 25 დღის განმავ-
ლობაში გრძელდებოდა და
1 000 ჰა ზე მეტი ტყის მა-
სივი გაანადგურა. გარემოს
დაცვის სამინისტროს მონაცე-
მებით, სანდრის შედეგად
მცენარეულმა საფარმა დაკარ-
გა კოლოგიური ფუნქცია და
მატერიალური ღირებულება.
ფაქტიურად განადგურებუ-
ლია კავკასიისათვის ენდე-
მური უთხოვრის, ნაძვის, სო-
ჭის, ფიჭვის, ნიფლის, მუხის,
რცხილისა და სხვა სახეობე-
ბისგან წარმოქმნილი ტყის მა-
სივები. მოისპო ნიადაგის
ნაყოფიერი ფენა, რომლის
აღდგენას საუკუნეები სჭირდ-
ება. წარმოიქმნა განსაკუთრე-
ბით ხელშემწყობი პირობე-
ბი ბუნების სტიქიური მოვ-
ლენების - ღვარცოფების,
წყალმოვარდნების, ზვავების

გააქტიურებისთვის.

მნიშვნელოვანი ზიანი გან-
იცადა ფაუნამაც. ხანძრის გავრცელების ტერიტორიაზე
ბინადრობდა ცხოველთა
მრავალი სახეობა, მათ შორის საქართველოსა და ბუნების
დაცვის მსოფლიო კავშირის
წითელ წუსხაში, გადაშენებ-
ის საფრთხის ქვეშ მყოფის
სტატუსით შეტანილი მურა
დათვი, ფოცხვერი, ირემი,
თეთრკუდა არწივი, კავკასი-
ური სალამანდრა და სხვა...

გადამწვარი ბორჯომის ხეობა 23 სექტემბერს აშშ-ს
ელჩიმა საქართველოში ჯონ
ტეფტმაც მოინახულა და გა-
ნაცხადა, რომ შეეცდება ყვე-
ლა გარემოსდაცვითი საერ-
თაშორისო ორგანიზაციის
ყურადღება ბორჯომის ხე-
ობისკენ მიმართოს.

ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი საერთა-
შორისო კრიტერიუმების შე-
საბამისად შექმნილი პირვე-
ლი დაცული ტერიტორიაა
კავკასიაში, რის გამოც მას
საკონსერვაციო ღირებულებ-
ის გარდა ბუნების დაცვითი
სამოდელო მნიშვნელობაც
გააჩინა. ამას მისადმი გაცემუ-
ლი პან-პარკების სერთი-
ფიკატი ადასტურებს.

ბორჯომი-ხარაგაულისა
და კოლხეთის ეროვნულ
პარკებში, ასევე ატენის ხე-
ობაში რუსული აგრესიის
ყველა მტკიცებულებას გარე-
მოს დაცვის სამინისტრო ბუ-
ქარესტის კონვენციის სამდი-
ვნოს გაუგზავნის. უკაინა-
ში ოქტომბერში დაგეგმილ
გარემოს დაცვის მინისტრი-
ალზე ქართული მხარე რუსე-
თის წინააღმდეგ სანქციებ-
ის შემოღებას მოითხოვს.

ეპიდემიური იველაშვილი



ჩა სასაცელ ითვალისწინებს ეკოლოგიური ლა ვინ ამჟამ პასუხეს ქართული ფყვავის გაღანცენტვის

რუსული ეკოლოგიზმის შედეგად განადგურებული ბორჯომ-ხარაგაულის ტყის ნაწილი შესაძლოა რუსული ინტერვენციის მუზიუმად გამოცხადდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ იდეით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ირაკლი ღვალაძე დაინტერესდა... მაინც, რას ერჩოდნენ რუსი ოკუპანტები საქართველოს ბუნებას, რა სასჯელს ითვალისწინებს ეკოციდი და საერთაშორისო ორგანიზაციები დააყენებენ თუ არა მედვედევ-პუტინის, როგორც „ბუნების მტრების“ პასუხისმგებლობის საკითხს? გთავაზობთ გარემოს დაცვის მინისტრის, ირაკლი ღვალაძის ინტერვიუს.

— ბატონი ირაკლი, თქვენი ვარაუდით, რუსმა აგრესორებმა იერიში მაინც დამაინც წალვერსა და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკზე რატომ მიიტანეს?

— მათი ლოგიკის გაგება რთულია, თუმცა, როცა გორთან რუსები იდგნენ, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთადერთი დამაკავშირებელი გზა სწორედ წალვერზე გადიოდა. ერთი ვერსიით, შესაძლოა, ამ გზის პარალიზება და ხალხში პანიკის დათვალისწინება უნდოდათ. ალბათ, ტყის განადგურებაც უნდოდათ, რადგან ტყის საფარის

მრავალი დანიშნულება აქვს. ისე, იმ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების პირობებში, რაც ჩვენ გვაქსა, არსებობდა საშიშროება, რომ მთელი ხეობა დამწვარიყო.

— მაშასდამე, მათ პქონდათ ინფორმაცია, რომ ხანძრის ლიკვიდაცია გაგვიჭირდებოდა?

— რუსები ხანძრის ლიკვიდაციაში ხელს ყველანაირად გვიშლიდნენ, ანუ შემთხვევის ადგილას სახანძრო მანქანები შემოვლითი გზით უნდა ჩამოსულიყვნენ და სამისოდ 8-9

საათი იყო საჭირო, ვეტრმ-ფრენების გამოყენების საშუალება მეზობელ ქვეყნებსაც არ მისცეს.

— რას ნიშნავს, „არ მისცეს“? ჩამოგდებით იმურებოდნენ?

— დიახ... თავიდან ვცდილობდით, ეს საკითხი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაბმარებით დაგვერუგულირებინა, მაგრამ სამხედროებმა პირდაპირ თქვეს, ვეტრმფრენებს ჩამოვაგდებთო. რუსებმა საქართველოს საპარაზო სივრცეში შემოსვლის ნება არც უკრაინულ ვეტრმფრენებს დართეს... რაც შეეხება თურქულ ვეტრმფრენებს, საქართველოს ტერიტორიაზე დიდხანს რომ არ გაჩერებულიყვნენ, წყალს თურქეთშივე იღებდნენ. სხვათა შორის, თურქულ ვეტრმფრენებს, როგორც ამბობენ, სანავიგაციო სისტემები გამორთული ჰქონდათ, რომ რუსებს არ დაეფიქტირებინათ.

— ეს იგი, თურქები რომ არა, ნალვერი და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი მთლიანად განადგურდებოდა?

— თურქებმა თავიდან მართლა გვიშველეს, მაგრამ იქ რთული რელიეფია და მათი შესაძლებლობებიც ამოინურა.

— ბატონი ირაკლი, იყო თუ არა ქართული მხარე მზად ეკოციდისთვის? ანუ ომი რომ დაინტერენცია, თუ გქონდათ ინფორმაცია, რომ რუსები ხანძრების გაჩენას გეგმავდნენ?

— ასეთი მოლოდინი არ არსებობდა, თუმცა მაგალითად, გორთან 12 ჰექტარზე ნაძვნარ-

ის ხელოვნური განაშენიანება მთლიანად განადგურეს და, როგორც თვითმხილველები ამბობენ, რუსები ყანებში პირდაპირ ცეცხლმოკიდებულ ბოთლებს ყრიდნენ.

— იმის ნივთმტკიცებებიც არსებობს, რომ წალენერსა და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში ხანძარი რუსმა ოკუპანტებმა მიზანმიმართულად გააჩინეს?

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, თვითმხილველები ადასტურებენ, რომ რუსული ვეტმფრენების გადაფრენისთანავე რამდენიმე ადგილს ხანძარი გაჩინდა.

— ამ ტერიტორიაზეც ცეცხლმოკიდებული ბოთლები ჩამოყარეს?

— არა. არსებობს ცეცხლგამჩენი ჭურვები, თან იმ დროს გვალვა იყო და წინვოვან ტყეში ცეცხლი სწრაფად ვრცელდება.

— ისე, კოციდის ფაქტები სხვა ქვეყნებში თუ არსებობს?

— საერთოდ, კოციდი სისხლის სამართლის კოდექსში შედარებით ახალი მუხლია. როგორც ვიცი, საქართველოში ამ მუხლით საქმე აქამდე აღმრული არ ყოფილა, თუმცა მსოფლიოში ასეთი ფაქტები, რა თქმაუნდა, არსებობს. სხვათა შორის, კოციდის გამოძიება რთულია.

— რატომ?

— საჭიროა ნივთმტკიცებები, რითაც ცეცხლის გამომწვევი ზუსტი მიზეზები დადგინდება.

— ქართულ მხარეს ზუსტი ნივთმტკიცებები არ აქვს?

— ამ ეტაპზე მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები გვაქვს, თუმცა ადგილზე ექსპერტები, კრიმინალისტები მუშაობენ და მასალებს აგროვებენ. გაკეთდება ქიმიური ანალიზი, რითაც დადგინდება, ხანძარი ხელოვნურად გაჩინდა თუ არა.

— ვთქვათ, ნივთმტკიცებების მოგროვება ვერ მოხერხდა, რა მოხდება?

— ნივთმტკიცებები ნაწილობრივ გვაქვს. მაგალითად, სოფელ საიშში ცეცხლგამჩენი ჭურვია ჩამოვარდნილი, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ ივაჟვაცა და ხანძარი ჩაქრო.

— საერთოდ, რუსულ ინტერვენციას რამდენი ჰქეტარი ტყე შეენირა?

— საქართველოს მასშტაბით, 1 100 ჰქეტარამდე დაიწვა, აქედან ათას ჰქეტარამდე ბორჯომის ხეობაში, 60 ჰქეტარი — ატენში...

— სხვათა შორის, ხმა დადის, ხელისუფლება დამწვარი ტყეების ფართობს ხელოვნურად ზრდისო. ბატონო მინისტრო, იქნებ, გაგვარკვიოთ, რუსული კოვიდის გაზიადება ქართულ მხარეს რისთვის სჭირდება?

— ვინც ამას ამბობს, წავიყვან და დავათვალიერებინებ. ისე, მეშინა, დამწვარი 1100 ჰქეტარზე მეტი არ იყოს...

— დამწვარ ტყეებს რა ეშველება?

— სახელმწიფო კომისია იმიტომა შექმნილი, რომ დაადგინოს, ამ დამწვარ ტერიტორიაზე რა უნდა გავაკეთოთ — ნარგავები დავრგათ თუ ასე დავტოვოთ და ხეები თავისით ამოვიდეს. ისე, ამბობენ, რომ იმ ტყეს ველარ მივიღებთ, რაც იყო. ყველაზე ცუდი კი მაინც ისაა, რომ ნიადაგის ე.წ. ნაყოფიერი ფენა დამწვარია და მის აღდგენას დალიან დიდი დრო სჭირდება.

— ტყეების დაწვით საქარ-

თველოს კოლოგიას რა ზარალი შეადგა?

— ნაღვერში მიკროკლიმატი შეიცვლება.

— რას გულისხმობტ?

— საერთოდ, აქ მშრალი ჰავა იყო, მაგრამ ხანძრის გამო მიკროკლიმატი შეიცვლება. გარდა ამისა, ხანძარმა შესაძლოა, ეროზია და მეწყერული პროცესები გამოიწვიოს, რის გამოც ამ ადგილებიდან შეიძლება, მოსახლეობის გასახლებაც გახდეს აუცილებელი. ხანძარი გავლენას მდინარეებზეც მოახდენს. ასევე, იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზეც, თუმცა ბორჯომის პარკის მიზნელოვანი ნაწილი გადარჩეა...

— ბატონო ირაკლი, რუსული კოციდის საქმეს საქართველოს გენპროკურატურა გამოიძიებს?

— ნივთმტკიცებების მოგროვების შემდეგ საქმეში საერთოშორისო ექსპერტები ჩაერთვებინ. არსებობს გარემოს დაცვის საერთოშორისო კონვენცია, რომლის წინაშეც ეს საკითხი იქნება დაყენებული და ამის შემდეგ გადაწყდება, თუ რა ფორმით მოხდება რუსეთთან დავა, ანუ ყველა სასამართლოს თავისი მიმართვის წესი აქვს და ამაზე ჩვენი იურისტები იმუშავებენ. საქმეში იუსტიციის სამინისტროც ჩაერთვება. ისე, ჩვენ ყველა საერთოშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციას წერილი და ფოტომასალები გავუგზავნეთ. რამდენიმე ორგანიზაციიდან და-





დასტურება მივიღეთ, რომ ამ საკითხს განიხილავნ.

სხვათა შორის, 27 სექტემბერს საქართველოში გაერო-ს გარემოს დაცვის მისიის ხელმძღვანელი ჩამოვიდა. ეს ვიზიტი ადრე დაიგეგმა და სოჭის ოლიმპიადისთვის აფხაზეთიდან ხელშის გატანაზე მონიტორინგს ითვალისწინებდა, თუმცა დამწვარი ტყეებიც დავათვალიერებინეთ. ბორჯომი და სკრა უკვე დაათვალიერეს მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებმა. მოკლედ, ყველა თავის დასკვნას დადებს...

— დასკვნებს კი დადებენ, მაგრამ ამით გადამწვარ ქართულ ტყეებს მაინც არაფერი ეშველება...

— მართალია, მაგრამ დაფიქსირდება, რომ ხანძარი რუსეთმა მიზანმიმართულად გააჩინა. ასევე, დადგინდება, თუ რა ზარალი მიადგა ამ ხანძრით ქვეყანას და ამის შემდეგ სასამართლოს მივმართავთ...

— ბატონი ირაკლი, ეკო-ციდი რა სასჯელს ითვალისწინებს?

— ქართული კანონმდებლობით, ეკო-ციდი განსაკუთრებით დამამიმებულ გარემოებში ჩადენილი დანაშაულია და უვადო პატიმრობას ითვალისწინებს, თუმცა ჯერ სახელმწიფო კომისიამ უნდა დადოს დასკვნა, ის, რაც რუსებმა გააკეთეს, არის თუ არა ეკოლოგიური კატასტრო-

ფა. ისე, ეს ტერიტორია უკვე გამოცხადებულია ეკოლოგიური უბედურების ზონად.

— ეკოციდში დამნაშავედ ქართული მხარე რუსეთის პრეზიდენტსა და პრემიერს, მედვედევსა და პუტინს გამოაცხადებს?

— თუ სრულფასოვანი გამოძიების ჩატარების საშუალება გვექნება, დამნაშავედ, შესაძლოა, ის სამხედრო პირი გამოცხადდეს, ვინც ტყეების დაპომბვის ბრძანება გასცა. საერთოდ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი მტკიცებულებები გვექნება.

— ბატონი ირაკლი, მომხდარის შესახებ თქვენს რუს კოლეგას ესაუბრეთ?

— წერილი გავუგზვანე, მაგრამ არ მიპასუხა... სხვათა შორის, ესპანეთში გამართულ ბუნების დაცვის მსოფლიო კონგრესზე მნიშვნელოვანი რეზოლუცია იქნა მიღებული, რომელიც რუსული აგრძელის შედეგად საქართველოში ბუნებრივი რესურსების განადგურებას ეხება.

მსოფლიო კონსერვაციის კონგრესი მოუწოდებს ყველა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციას, მხარი დაუჭიროს გარემოს აღდგენას დაზიანებულ დაცულ ტერიტორიაზე.

— კონგრესს რუსული მხარეც ესწრებოდა?

— დიახ. რუსულ მხარეს ძალიან გაუკვირდა ჩვენი ჩასვლა, იმიტომ რომ არ იყო ჩემი მონაწილეობა გათვალისწინებული. მაქსიმალურად ცდილობდნენ ხანძრებთან დაკავშირებით აგვისტოში განვითარებული რუსული აგრესია არ ხსნებულიყო, და ამსთან არც რაიმე რეზოლუცია მიეღო კონგრესს. ფინანსური დახმარება რა რაოდენობით იქნება, ეს იმის შემდეგ გაირკვევა რაც ცნობილი გახდება მსოფლიო ბანკის, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის და ეუთოს მისიის დასკვნები. ჩვენი მთავარი საზრუნვა არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერთოს განადგურებული ბუნებრივი რესურსების აღდგენაში.

— რუსული ინტერვენციის შემდეგ საქართველოს სამდლიანი სამუშაო ვიზიტით გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ევროპის რეგიონის დირექტორი კრისტოფ ბუვიე და ეუთოს გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორი ბერნარდ სნოა ეწვიონენ. რაზე ისაუბრეთ?

— მათ სურდათ, გაეგოთ, თუ რა ზიანი მიადგა ხანძრის შედეგად საქართველოს გარემოს, ჩატარდა წინასწარი სამუშაოები გარემოსდაცვითი ზიანის შესაფასებლად. საქართველოს ტყეები გაჩენილი ხანძრების შედეგებს, ასევე ფოთში კატარლების აფეთქებით ზღვის დაპინძურების ხარისხს კომპეტენტური გარემოსდაცვითი ექსპერტები მოიკვლევენ. სტუმრებს ის წინასწარი მონაცემები გავაცანით, რომლებიც ეკოლოგიური კატასტროფის თვალსაზრისით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რუსული ინტერვენციის შედეგად განხორციელდა. უცხოელ კოლეგებს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისთვის აფხაზეთის სანაპიროდან ინერტული მასალების უკანონო გატანის შესახებაც ვესაუბრეთ.

ვანო პავლიაშვილი
საინფორმაციო სააგენტო
„ფაქტის“ რედაქტორი



რა არის ღვთის ხატი ადამიანში?

ადამიანი, ისევე როგორც
ღმერთი — პიროვნული არსებაა
და არა ბრძა ბუნება.
ამაშია მისი ღვთაებრივი
ხატის ხასიათი.

ვ. ლოსკი

ღვთივსულიერი მწერალი ადამიანის შესაქმის შესახებ მოგვითხრობს: „და თქვა ღმერთმან: ვემნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ ჩვენისა და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“ (შესაქ. 1, 26-27).

ზოგიერთი ეკლესიის მამა, ზოგჯერ უწოდებს ადამიანს ღვთის ხატებას, მაგრამ ამასთანავე, აღნიშნავს, რომ ადამიანი — ეს არის „მკრთალი“ ხატება ღვთისა, ხოლო ღვთის უცვლელი და ზუსტი ხატება არის მხოლოდ ეს ღმერთი. მიჰყვება რა ალექსანდრიულ საღვთისმეტყველო ტრადიციას წმ. მამა გრიგოლ პალამა ღვთის ხატებას უპირველეს ყოვლისა ხედავს ადამიანის გონებაში, მისი ბუნების უმაღლეს ნაწილში „ხატება არსებობს არა სხეულში, არამედ გონებაში. ასევე ადამიანისათვის ბოძებულ უძვირფასეს ნიჭს წმ. გრიგოლ პალამა უწოდებს თავისუფალი ნებას, რომელსაც წმ. ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე დამასკელი და სხვა მამები ღვთის ხატების მნიშვნელოვან ნაწილად თვლიან. შესაქმის წიგნში მოთხრობილია რა ადამიანის შექმნა, უფალი ამბობს: „შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისებრ და მსგავსისაებრ“ (1, 26). სიტყვა „მსგავსება“ რომელიც გამოიყენება სეპტუაგინტაში, გამოიხატება რაღაც დინამიურით

ჯერ არ განხორციელებულით, ხოლო სიტყვა „ხატება“ აღნიშნავს უკვე რეალიზებულ მდგომარეობას. პირველ საფეხურს „მსგავსებისაკენ“ მიმავალ გზაზე.

ღვთის ხატი მხოლოდ სულში უნდა დავინახოთ და არა სხეულში. ღმერთი თავისი ბუნებით სრულიად უნივერს, ყოველგვარი სხეულისაგან თავისუფალი უსპეტაკესი სულია. ამიტომ განეკუთვნება ღვთის ხატის ცნება მარტოოდენ უნივერს სულს. ამ გაფრთხილების გახსნებას ბევრი ეკლესიის მამები თვლიან საჭიროდ. „ხატისაებრ“ და „მსგავსისაებრ“ აქ გამოყენებულია ორი მონათესავე სიტყვა, თუმცა მათში გამოხატულ აზრს ოდნავ განსხვავებული ელფერი დაკრავს. ერთი აღნიშნავს იდეალს, სრულყოფილების ნიმუშს, მეორე კი ამ იდეალის რეალიზაციას. მოცემული ნიმუშის ასლს წმ. გრიგოლ ნოსელი წერს: „პირველი (კატ იეკონა — ხატისაებრ) ჩვენ გვაქვს შექმნის შედეგად, ხოლო მეორეს კი (კატ ომოისინ — მსგავსისაებრ) ჩვენ აღვასრულებთ ნებაყოფლობით“. მაშასადამე, ღვთის ხატება წარმოადგენს ადამიანის ბუნების წარუშლელ და განუყოფელ მახასიათებელს, ხოლო ღმერთთან მსგავსება კი შეიძლება მოხდეს ადამიანის პირადი ძალისხმევით, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს განვითარების საქმაოდ მაღალ ხარისხს (მათ. 5, 48). „იყავით სრულნი როგორც სრულია

მამა თქვენი ზეციერი“. მაგრამ შეიძლება იგი
ადამიანს სრულად არ გააჩნდეს „თქვენს
გამო იგმობა ღმერთის სახელი“ (რომ. 2,
24). ღვთის ხატის ტარების დასტურია ად-
ამიანის სულის ისეთი მაღალი თვისებები,
როგორიცაა უკვდავება — პირველ რიგში,
თავისუფალი წერა, გონება, წმინდა უანგარო
სიყვარულის ნიჭი.

ა) დაუსაბამო ღმერთია ადამიანის სულს უკვდავება მიანიჭა, მაგრამ იგი უკვდავია არა ბუნებითად, არამედ საღვთო მადლით.

გ) ღმერთი ყოვლადბრძნია, ადამიანურ გონებასაც შეუძლია არ შემოიფარგლოს მხოლოდ მიწიერი ცხოველური მოთხოვნილებებით. საგანთა ხილული მხარის გაცნობით და სილრმისეულად ჩასწვდეს შეიმეცნოს და ახსნას მათი ფარული აზრი. ადამიანურ პუნქტასაც ძალუძს ამაღლდეს ღვთისაკენ. გონება ადამიანურ ნებას გააზრებულსა და ჭეშმარიტად თავისუფალს ხდის. ამრიგად ღვთის ხატი ადამიანში ღვთისკენ სწრაფვასა და მისდამი სიყვარულში ვლინდება. დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ სულის ყოველი კეთილშობილი თვისება და უნარი ღვ-

თის ხატის ასახვას წარმოადგენს.

განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან „ხატი ღვთისა“ და „მსგავსება“ ღვთისა? ეკლესიის წმიდა მამებისა და მასწავლებლების უმეტესობა პასუხობს, რომ განსხვავდება. ისინი ხატს ღვთისას თავად სულის ბუნებაში პოულობენ, მსგავსებას კი — ზეობრივ სრულყოფაში. ამრიგად, ღვთის ხატი ჩვენ უფლისგან გვეძლევა შექმნისთანავე, ხოლო მსგავსება ჩვენ თავად უნდა შევიძინოთ. ღმერთი ამის შესაძლებლობას გვაძლევს. გახდე „მსგავსი“ დამოკიდებულია შესნებაზე და სათანადო მოღვაწეობით შესაძლებელი ხდება ამის მიღწევა. ამიტომაც არის ნათქვამი საღვთო „ბჭობაზე“: „ვექმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსისაებრ“ ხოლო თავად შექმნაზე „ხატად ღმრთისად შექმნა იგი“ (შესაქ. 1, 28-27). გრიგოლ ნოსელის მსჯელობის თანახმად, ჩვენ საღმრთო „ბჭობით“ მოგვეცა შესაძლებლობა, მისი „მსგავსი“ გავხდეთ.

„დოგმატური ღვთისმეტყველება“

მასალა მოამზადეს
მარიამ გელაშვილმა
და ოთარ სხილაძე

ეპისკოპოსი სტეფანე

ნოვა სამართლის საზოგადოებრივი განზიგნულობის სამსახური

როდესაც ღმრთის შემეცნების საკითხებს ვეხებით, ძალზედ ფრთხილი უნდა ვიყოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმრთის უკიდეგანობასა და მარადიულობას ჩვენი მიწიერი, შეზღუდული გონება ვერასოდეს მიწვდება. ადამიანი შეზღუდულ სივრცესა და დროში ცხოვრობს, ამიტომ მისი აზროვნება სწორედ ამ შეზღუდულობით ხასიათდება. ჩვენს გარშემო ყოველივე მიწიერი სადღაც იწყება და სადღაც მთავრდება, ყველაფერს აქვს სიგრძე, სიგანე, სიმაღლე, ყველაფერი განლაგებულია სივრცის რაღაც ნაწილებში, ყველაფერი

ფარდობითია. ეს არის ადამიანური განზომილება, რომელსაც ახასიათებს ოთხი ფაქტორი — სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და დრო, ანუ სივრცობრივი კოორდინატთა სისტემა და დროის ფაქტორი.

მაგრამ, ვის შეუძლია გაზომოს უსასრულობა? ან ვის ძალუდს შემოფარგლოს მარადისობა? ვის შეუძლია გააყალბოს ჭეშმარიტება? ვინ მოახერხებს მოიცვას სიყვარული? ვინ ახსნის, რა არის სიხარული? ან — რა არის სინდისი?

ამ ცნებებთან შეხებისას ადამიანის გონება
იყარება, მას არ ძალუდს ამ საკითხების წვ-

დომა. სწორედ აქ ჩანს ღვთაებრივი მყოფობა. აქ ფარდობითობა არ არსებობს. აქ ყველაფერი აბსოლუტურია — ჭეშმარიტებაც, სიკეთეც, სიყვარულიც, სიდიადეც, სიპრძნეც, მართლმარცულებაც და, რაც მთავარია, რეალობაც. დიახ, ეს აბსოლუტური რეალობა.

ღმერთი არსად არაფრით არის შეზღუდული. იგი „ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მადლითა თვისითა“. მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. იგი ყოველთვის არის. მისი არსება არ შემოიფარგლება არც დროით, არც სივრცით, არც სხვა რაიმეთი.

როცა გონიერი ადამიანი გააცნობიერებს ყოველივე ამას, იგი ხვდება, რომ ღმრთის შემეცნება შეუძლებელია ადამიანური ლოგიკით, ადამიანური სიბრძნით. ღმრთის შემეცნება მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური მადლით, ღვთიური სიბრძნით არის შესაძლებელი. ღმერთი თვითონ გვიცხადებს თავის თავს, სწორედ იმ კუთხითა და იმ სიდიადით, რისი დატევაც ძალუს ჩვენს სულს.

ღვთიური საკითხის შემეცნებისათვის უფალმა გვიბოძა წმიდა წერილი და წმიდა გარდამოცემა, რომელთა ჭეშმარიტებასა და სიწმინდეს იცავს წმიდა ეკლესია. მას ხომ განაგებს და მართავს თვით უფალი იესო ქრისტე ჭეშმარიტების სულით, ანუ სულიწმიდით, რომელიც მამისაგან გამოვალს. სწორედ ეკლესის მეშვეობით შეუძლია ადამიანს შეიმეცნოს ჭეშმარიტი ღმერთი, რადგან ეკლესია არის ღვთიური სხეული, რომლის თავიც თვით იესო ქრისტეა, სხეულის ნაწილები კი ვართ ჩვენ, ყოველი წევრი მართალი და ჭეშმარიტი ეკლესისა.

წმიდა სამების საიდუმლოებაც ღმრთისაგან შეიმეცნა ადამიანმა. ამ საიდუმლოების ახსნა, მის სიღრმებში წვდომა შეუძლებელია ადამიანური გონებით. ღმერთმა გაგვიხსნა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არის წმიდა სამება — მამა ღმერთი, ქე ღმერთი და სულიწმიდა ღმერთი. იგი სამპიროვანია, მაგრამ ერთია, ერთარსია. სამივე პირს თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს, ისინი ერთმანეთში არ ირევა, მაგრამ ერთი არსებაა, თანაც ისე, რომ არც ნაწილებია ერთი მთლიანი ღმერთისა, არამედ სამივე პირი არის სრული ღმერთი — უკიდეგანო, ყოვლისშემძლე, ყოველგანმყოფი.

როგორ გავიგოთ ეს? როგორ მივუახლოვდეთ საიდუმლოებას?

ადამიანურ გონებას მხოლოდ მიწიერი

ანალოგიებით შეუძლია მსჯელობა, ამიტომ ჩვენც მივმართოთ ასეთ ანალოგიებს.

უფალი ბრძანებს, რომ შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. რაში გამოიხატება ეს ხატება და მსგავსება? რით განსხვავდება ადამიანი სხვა დანარჩენი, ღმრთისაგან შექმნილი სამყაროსგან. რაში გამოიხატება მასში ღმრთის ხატება? რა შეესაბამება მასში ღმრთის ხატებას?

ეს არის გონება, სიტყვა (აზრი), რომელიც გონებაში იბადება და სული.

სწორედ ამაში გამოიხატება ხატება ღმრთისა. დავაკვირდეთ მას და ანალოგიების მეშვეობით შევეცადოთ ოდნავ მაინც წამოვწიოთ საიდუმლოების ფარდა.

პირველი ანალოგია:

ერთის მხრივ, ადამიანური გონება — ერთის მხრივ, უკიდეგანო ღვთიური გონი, სიბრძნის საწყისი — მამა ღმერთი.

მეორე ანალოგია:

ერთის მხრივ, ადამიანური აზრი და სიტყვა, რაც ფაქტობრივად ერთი და იგივეა, რადგან სიტყვა არის გამოთქმული აზრი, რომელიც გონებაში იბადება — მეორეს მხრივ, სიტყვა ღმრთისა, ანუ ქე ღმერთი — იესო ქრისტე, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო“ (ინ. 1, 1).

მესამე ანალოგია:

ერთის მხრივ, ადამიანში ღმრთისაგან შთაბერილი სიცოცხლის სული — მეორეს მხრივ, სულიწმიდა ღმერთი, ცხოველსყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს.

ადამიანის გონებაში იბადება სიტყვა (აზრი), ხოლო ჩანაფიქრი ან ნათევამი ხორციელდება, მოდის მოქმედებაში სიცოცხლის სულით. ეს ყოველივე ერთიანია, მთლიანია.

შეიძლება, რომ ცოცხალ გონებაში ოდესმე არ დაიბადოს აზრი? ეს, რა თქმა უნდა შეუძლებელია, რადგან გონება, რომელშიც სიტყვა (აზრი) არ იბადება მკვდარია.

შესაძლებელია, რომ უკიდეგანო გონები, მამა ღმერთში, ოდესმე არ იბადებოდეს ქე ღმერთისა, ანუ სიტყვა ღმერთი, და რომ მამისაგან ოდესმე არ გამოდიოდეს სულიწმიდა ღმერთი და არ აცოცხლებდეს და არ ამოქმედებდეს ყველაფერს, მთელს სამყაროს?



შეიძლება ცოცხალი იყოს ადამიანი, ცხოველები, მცენარები, მთელი სამყარო, ღმერთი კი მკვდარი?

გონიერი ადამიანი იოლად გასცემს პასუხს ამ კითხვას, ხოლო „თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა — არა არს ღმერთი“ (ფლ. 52, 1).

შეიძლება ამ სამიდან ერთის არსებობა განცალკევებით? შეიძლება ადამიანში არსებობდეს გონიერი სიტყვისა და სულის გარეშე? შეიძლება იყოს სიტყვა გონიერისა და სულის გარეშე? შეიძლება იყოს სული გონიერისა და სიტყვის გარეშე? — არა, არა და არა.

ეს სამივე ერთიანია, თან არ ირევა ერთმანეთში. თუ ადამიანში შეიძლება სამი ერთი იყოს, რატომ არ შეიძლება, რომ ღმერთი სამშიროვნი იყოს და ამავე დროს ერთარსი?

სწორედ წმიდა სამების ანარეკული დევს ადამიანში ხატად ღმრთისა. მაგრამ დიდი განსხვავებაა წმიდა სამებასა და ადამიანში ჩადებულ სამებას შორის.

ღმერთი ერთია — ეს ეჭვგარეშეა. მოვუმოთ იოანე დამასკელის ღვთისმეტყველებას: „ღმერთი სრულყოფილი და უნაკლოა, როგორც სახიერებით, ასევე სიბრძნითა და ძლიერებით; იგი დაუსაბამოა, უსასრულო, მარადიული, შეუზღუდავი, და — მარტივად რომ ვთქვათ — ყოველმხრივ სრულყოფილია. თუკი დავუშვებთ მრავალი ღმერთის არსებობას, მაშინ აუცილებლად უნდა დავუშვათ მათ შორის განსხვავების არსებობაც. რადგან, თუ მათ შორის არავითარი განსხვავება არ იქნება, მაშინ ეს უკვე ერთი ღმერთი იქნება და არა მრავალი.

ხოლო, თუ ვალიარებთ მათ შორის განსხვავებას, მაშინ სრულყოფილებას რა ვუყოთ?! თუ სრულყოფილებას მოაკლდება რამ ან სახიერების, ან ძალისა თუ სიბრძნის, ან დროისა თუ ადგილის სახით, ასეთ შემთხვევაში ის ღმერთი არ იქნება. ასე, რომ ყოველმხრივი იგივეობა ყველაფერში, პირველ რიგში მიუთითებს ერთი ღმერთის არსებობაზე და არა — მრავალზე.

გარდა ამისა, მრავალი ღმერთი რომ მართლა არსებობდეს, მაშინ როგორლა იქნებიან ყოველნი გარეშემოუწერელნი? რამეთუ, თუ არსებობს ერთი გარეშემოუწერელი ღმერთი, მაშინ სხვა ღმერთისათვის ადგილი აღარ რჩება!

ან, მრავალმა ღმერთმა, როგორ უნდა განაგოს და წარმართოს მთელი სამყარო ისე, რომ იგი არ აირიოს და არ დაირღვეს, რადგან განმგებელთა შორის წინააღმდეგობა და ბრძოლა ხომ გარდუვალია?! განსხვავება ხომ წინააღმდეგობას წარმოშობს. ხოლო თუ ვინმე იტყვის, თითოეული ამ მრავალ ღმერთთაგან თავის კუთვნილ ნაწილს განაგებსო, მას ასე მივუგებთ: ვინ დაამყარა სამყაროში ეს წესრიგი და ვინ დაუნაწილა მათ ყოველივე. აღმოჩნდება, სწორედ ისაა ღმერთი ვისაც ამის ძალა შესწევს. ამრიგად, ღმერთი ერთია, და იგი არის სრულყოფილი, გარეშემოუწერელი, ყოვლისა შემოქმედი, მჟყრობელი და განმგებელი, ყოველგვარ სრულყოფილებაზე აღმატებული და ყოველთა უნინარეს არსებული!“

„ეს ერთი და ერთადერთი ღმერთი სიტყვის გარეშე როდი არსებობს. ხოლო თუკი მას აქვს სიტყვა, მაშინ ეს სიტყვა უნდა იყოს ჰიპოსტასის მქონე და არა ისეთი, რომელსაც დაუწყია თავისი არსებობა და უნდა დასრულდეს კიდეც. რამეთუ არ ყოფილა ისეთი დრო, როცა ღმერთი თავისი სიტყვის გარეშე არსებობდა, ჰიპოსტასი, ღმერთს ყოველთვის აქვს თავისი სიტყვა, რომელიც მისგან იშვება და ჩვენი (ადამიანთა) სიტყვის მხგავსი როდია, რომელსაც ჰიპოსტასი არ გააჩნია და ჰიპერში იღვრება, ღმრთის სიტყვას აქვს ჰიპოსტასი, ცოცხალი, სრულყოფილი და იგი ღმრთის გარეთ კი არ არის, არამედ მარადის მის წიაღშია. რამეთუ ღმრთის გარეთ სად უნდა იყოს სიტყვა, მისებანვე შობილი? ხოლო რადგანაც ჩვენი ბუნება წარმავალია და ადვილად ირღვევა, ამიტომ ჩვენს სიტყვას არ გააჩნია ჰიპოსტასი. ღმერთს კი, მარადის მყოფსა და სრულყო-

ფილს, სიტყვაც ასევე ჰიპოსტასური და სრულყოფილი აქვს, მარადის არსებული, ცხოველი და ყოველივე იმის მქონე, რაც შშობელს გააჩინა. ჩვენი სიტყვა, წარმოშობილი ჩვენი გონებისაგან, არ არის სრულიად იგივე, რაც გონებაა და არც სრულიად განსხვავებულია გონებისაგან, რამეთუ არის რა გონებისაგან ალმოცენებული ჩვენი სიტყვა — რაღაც სხვა რამაა ჩვენს გონებასთან შედარებით; მაგრამ რადგანაც ეს ჩვენი სიტყვა ჩვენს გონებას წარმოაჩინს, ამიტომ არც სრულიად განსხვავებულია მისგან და თუმცა ბუნების მიხედვით ერთია გონებისა, მაინც განსხვავდება მისგან თავისი მდგომარეობით. ასევე ღმრთის სიტყვაც, რაკი იგი თავისთავადია, ამიტომ განსხვავდება კიდეც იმისგან, ვისგანაც მიუღია ჰიპოსტასი. ხოლო, რადგან ღმრთის სიტყვა თავისთავად იმასვე წარმოაჩინს, რაც ღმრთისა, ამიტომ იგი ბუნებით იგივე ღმრთია, რამეთუ როგორც მამაში იხილვება ყოველმხრივი სრულყოფილება, ასევე მასში შობილ სიტყვაშიც ყოველმხრივი სრულყოფილება საჩინო“.²

„ჯერ-არს სიტყვას ღმრთისა სული ჰქონდეს, რამეთუ არც ჩვენი სიტყვაა სუნთქვის გარეშე. მაგრამ ჩვენი სუნთქვა განსხვავებულია ჩვენივე არსებისაგან — ეს მხოლოდ სხეულის შესუნთქვა და ამოსუნთქვაა სხეულის მიერ. სიტყვის წარმოთქმისას სუნთქვა ბერიად იქცევა, ანუ მას უნარი აქვს სიტყვის წარმოქმნისა. ღმრთის ბუნებაში კი, მარტივსა და არაშედგენილში, კეთილმოშიშად უნდა ვაღიაროთ ღვთაებრივი სულის არსებობა, იმიტომ რომ ღმრთის სიტყვა არ შეიძლება ჩვენს, ადამიანთა სიტყვაზე ნაკლოვანი იყოს. უკეთურება იქნება ვიფიქროთ, რომ ღმრთის სული არის რაღაც უცხო რამ, გარედან შემავალი ღმრთისი, როგორც ეს ადამიანშია, შედგენილ არსებაში, რომელიც გარედან შეისუნთქავს ჰაერს სიტყვის წარმოსათქმელად. და, მოვისმინეთ რა ღმრთის სიტყვის შესახებ, ჩვენ ჩავთვალეთ იგი არა ისეთად, რაც გადმოედინება ჰაერში და შემდეგ ქრება, არამედ თავისთავად არსებულად და თავისუფალი ნების მქონედ, შემოქმედად და ყოვლისშემძლედ, ამგვარადვე უნდა ვიფიქროთ, როცა შევიტყობთ, რომ სული ღმრთისა თან ახლავს მის სიტყვას და ავლენს ღმრთის სიტყვის მოქმედებას, და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღმრთის სული არის რაღაც სუნთქვის მაგ-

ვარი, რასაც არა აქვს საკუთარი რაობა, რამეთუ ამგვარად თუ ვიფიქრებთ, მაშინ არარაობამდე დავაკნინებთ საღმრთო ბუნების დიდებულებას და იმ სულზე, რომელიც ღმერთში ჰგიებს, ისეთივე შესედულება გვექნება, როგორიც ჩვენს სუნთქვაზე გვაქვს. არამედ ვაღიარებთ და თაყვანს ვსცემთ ღმრთის სულს, როგორც დამოუკიდებლად არსებულ ძალას, რომელიც თავისთავად იხილვება განსაკუთრებულ ჰიპოსტასად, რომელიც მამისაგან გამოვალს და ივანებს მის სიტყვაში და გამოავლენს მას. ამიტომ ღმრთის სული არ შეიძლება განვაცალკევოთ არც ღმრთისაგან, რომელშიც იგი არსებობს და არც ღმრთის სიტყვისაგან, რომელსაც იგი თან ახლავს. და ეს ძალა ღმრთის სულისა იმგვარად როდი ვლინდება, რომ წარმოიშვას და განქარდეს, არამედ, მსგავსად ღმრთის სიტყვისა, პიროვნულად, ჰიპოსტასურად არსებობს, ცოცხალია, აქვს თავისუფალი ნება, თავისი ნებით მოძრაობს, შემოქმედია, მარად კეთილი სურს, ყოველ მის სურვილს თან ახლავს ძალა, რომელსაც არა აქვს არც დასაბამი და არც დასასრული. რადგან მამას არასოდეს არ აკლდა სიტყვა, და არც სიტყვას — სული“.³

„გვნამს ერთი მამა — დასაბამი და მიზეზი ყოველივე არსებულისა, რომელიც არავის-გან შობილა და რომელსაც, ერთადერთს, არა აქვს მიზეზი თავისი არსებობისა და არც ვინმესგან შობილა, შემოქმედი ყველაფრისა, მაგრამ ბუნებით მამა ერთადერთისა — მხოლოდშობილი ძისა თვისისა, უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუსტისტესი, და გამომავლინებელი ყოვლადწმიდისა სულისა თვისისა.

და გვნამს ერთი ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი უფალი ჩვენი იესუსტისტე, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჰეშმარიტი — ღმრთისაგან ჰეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან (და რომლის მიერ) ყოველი შეიქმნა.

როცა ვამბობთ ძეზე — „შობილი მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“-ო, ამით განვაცხადებთ, რომ მისი შობა უუბმოა, ანუ დროის მიღმა, დაუსაბამოა. რამეთუ არაარსისაგან როდი მიენიჭა არსებობა (მსგავსად სხვა ყოველი ქმნილებისა) ძეს ღმრთისა, „რომელი-იგი არს ბრწყინვალებაი დიდებისა და ხატი ძლიერებისა“ მამისა (ეპრ. 1, 3), ცხოვ-

ელ სიბრძნესა და ძალას, ჰიპოსტა-
სის მქონე სიტყვას ღმრთისა, არ-
სისმიერს, სრულყოფილსა და
ცოცხალ ხატს უხილავი ღმრთი-
სა. ესეიგი არაფრისაგან კი არ
მიენიჭა მას არსებობა, არამედ იგი
მარადის არსებობდა მამასთან და
მაში, მამისაგან შობილი საუკუ-
ნოდ და დაუსაბამოდ. რამეთუ მა-
მას არასოდეს უარსებია ისე, რომ
მამასთან და მაში არ ყოფილიყო
ქ. ასე, რომ მარადის ერთად
იყვნენ ერთარსი მამა და მისგან
შობილი ქ. რამეთუ მამა ძის
გარეშე არ იწოდებოდა მამად.
ოდესმე უქოდ რომ არსებულიყო
იგი, მაშინ არც მამა იქნებოდა
და თუ მხოლოდ შემდგომში შეეძინა ქ, მა-
შინ მამადაც მხოლოდ შემდგომში შეიქმნე-
ბოდა, მანამდე არყოფილი მამად, და ამით
გამოდის, რომ ღმერთი ცვალებადობას
დაქვემდებარებოდა, ასეთი აზრი კი ყოველ-
გვარ მკრეხელობაზე უარესია, რადგან ღმ-
ერთზე ვერ ვიტყვით — შობის ბუნებრივი
ძალა არა აქვსო, ხოლო ძალა შობისა არის
უნარი საკუთარი თავისაგან შობისა, ანუ საკ-
უთარი არსისაგან ისეთი არსების შობისა,
რომელიც არსითა და ბუნებით მშობლის შე-
საბამისია.

ამგვარად, უკუთურება იქნებოდა იმის თქმა
ღმრთის ქეზე, რომ მისი შობა, თითქოს-და
დროში ალსრულდა და ამიტომ ძის არსებო-
ბაც მამის შემდგომ უნდა დაწყებულიყო,
რადგან ჩვენ ვალიარებთ ძის შობას მამისა-
გან, ანუ მისი არსისა და ბუნებისაგან. და თუ
ჩვენ არ დაცუშვებთ იმას, რომ ქ დასაბამით-
განვე არსებობდა მამისა თანა, რომლისაგანაც
უუამოდ იშვა, — მაშინ ჩვენ მოგვინევს ვალი-
აროთ მამის ჰიპოსტასის ცვალებადობა, რად-
გან ასეთი დაშვებით გამოდის, რომ მამა-
ღმერთი ოდესლაც არ ყოფილა მამა, ხოლო
შემდეგ შვა ქ და მამად იქცა. მართალია,
ყოველი ქმნილება შემდგომ წარმოიშვა, მა-
გრამ თვით ღმრთის არსისაგან კი არ ალ-
მოცნებულა, არამედ ღმრთის ნებითა და
ძალით ქმნილებას არაფრისაგან მიენიჭა არ-
სებობა, ამიტომ ღმრთის ბუნებაში ამით არავ-
ითარი ცვლილება არ მომხდარა. ხოლო შობა
ისაა, როცა მშობლის არსისა და ბუნებისა-
გან წარმოიშვება შობილი, მსგავსი მშობ-
ლისა თავისი არსით. შექმნა და შემოქმედება



რაიმესი კი ისაა, როცა ქმნადი რამ გარედან
იქმნება და არა შემოქმედის არსისაგან და
ამის გამო ქმნილება თავისი არსით სრული-
ადაც არ არის შემოქმედის მაგვარი”⁴.

„ამგვარადვე გვწამს ერთი სულინშიდა,
უფალი და ცხოველსყოფელი, მამისაგან გა-
მომავალი და ქეში დამკვიდრებული, მამისა
თანა და ძისა თანა თაყვანის-ცემული და გან-
დიდებული, მათი თანაარსი და თანადაუსა-
ბამო, სული ღმრთისაგან გამომავალი, სული
მართალი, სული ყოვლისა მპყრობელი, წყა-
რო ჭეშმარიტი სიბრძნისა, ცხოვრებისა და
სიწმიდისა, სული მაკურთხეველი, ჭეშმარი-
ტი ღმერთი, მამისა და ძის თანაარსი და
თანაწოდებული, არაქმნილი, სისავსე ყოვე-
ლივესი, შემოქმედი, ყოვლისმპყრობელი,
ყოვლისალმსრულებელი, ყოვლადძლიერი,
უკიდეგანო მპყრობელი ყოველი ქმნილებისა,
ნებისმიერი ბატონობის დაუქვემდებარებელი,
სული ღვთივშემოქმედი და არა ღვთივშემნი-
ლი, ყოვლის ალმავსებელი, თვით კი სრული
სისავსე, ყოვლისმომნიჭებელი, თავად კი არას
მიმღები, სული მაკურთხეველი, თავად კი
კურთხევის არმსაჭიროებელი, ნუგეშინისმცე-
მელი, ყოველთა ლოცვა-ვედრების შემწყნარე-
ბელი, ყოველივეთი მსგავსი მამისა და ძისა,
გარდა არაშობილობისა და შობილობისა;
მამისაგან გამომავალი, ძის მიერ გარდამო-
მავალი ყოველ ქმნილებაზე; სული შემოქმე-
დი თავით თვისით და ყველაფრის უნაკლოდ
ალმასრულებელი, სული განმანათლებელი და
მფარველი, საკუთარი ჰიპოსტასის მქონე,
განუყრელი და განუშოროებელი მამისაგან და
ძისაგან, ყველაფრის მქონე, რაც კი აქვს მა-

მას, გარდა არაშობილობისა მამისა და შობილობისა ძისა. რამეთუ მამა ღმერთს არა აქვს მიზეზი თავისი არსებობისა და არც არის ვინმესგან შობილი ან აღმოცენებული, არამედ თვით თავისი თავისგან აქვს არსებობა, და ყოველივე რაც აქვს, სხვისგან მიღებული არა აქვს. პირიქით იგი თვით არის დასაბამი და მიზეზი ყოველივესი, რისი მეშვეობითაც არსებობს ყოველი ქმნილება. ქვი მამისაგანაა შობილი, ხოლო სულინმიდაც მამისაგანაა, მაგრამ არა შობილი, არამედ გამომავალი. შობასა და გამომავლობას შორის რომ უეჭველი განსხვავება — ეს უკვე ვიცით. მაგრამ როგორია ეს განსხვავება და რაში მდგომარეობს იგი, ამას ჩვენი გონიერა ვერ მიწვდება. დანამდვილებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ძის შობაც მამისაგან და სულინმიდის გამოსვლაც მამისაგან ერთდროულად აღესრულება¹.

წმიდა სამება არის სრულიად უცოდველი, მიუწვდომელი, ყოველგანმყოფი, უკიდეგანო, ყოვლისშემოქმედი, ყოვლისშემძლე, ყოვლად ძლიერი და ა.შ. ადამიანური სამება კი არის ცოდვებით შებძალული ხატება ღმრთისა, რომელმაც დაკარგა ღმრთის მსგავსება, რომელიც მიანიჭა ღმერთმა ადამიანს შექმნისას, რადგან ადამიანი შეიქმნა მსგავსად ღმრთისა — უცოდველობის მქონედ, და აქედან გამომდინარე ყველა უპირატესობით, რომელთაგან უპირველესი — ბედნიერებაა. ადამიანი ბედნიერი იყო — უცოდველი და მსგავსი ღმრთისა. ღმრთის ხატება წმიდა იყო, მსგავსი ღმრთისა და მისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რაც განასხვავებს შემოქმედს ქმნილებისაგან, ყოველივე დანარჩენში კი იგი იყო ღმერთივით და ღმერთთან ერთად.

ცოდვით დაცემის შემდეგ კი ადამიანმა მსგავსება ღმრთისა დაკარგა, ხატება ღმრთისა ცოდვით დაისვარა, ადამიანი დაშორდა ღმერთს, დაკარგა ბედნიერება, გაუქცეულდა.

მაგრამ მამაზეციერმა არ მიგვატოვა დაღუპულნი და მოგვივლინა მაცხოვარი, ქვი თვისი მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უნინარეს ყოველთა საუკუნეთა, რომელმაც ხორცი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა. მან გვიჩვენა გზა ღმრთის მსგავსების დაბრუნებისა, ღმრთის ხატების განწმენდისა, გაგვიღო სამოთხის კარი, გვასწავლა

— სად ვპოვოთ დაკარგული ბედნიერება და საუკუნო სიცოცხლე და გარდამოგვივლინა სული წმიდა, სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს.

ცოდვებისაგან შებძალული ადამიანური გონიერი ბილწ აზრებს ბადებს და ბილწ სულს გამოსცემს, სული წმიდა კი, სული ჭეშმარიტებისა, ჯერ წმიდა ნათლისლებით, შემდეგ კი სხვა წმიდა საიდუმლოებებით, რომელიც აღესრულება ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის წიაღში, განწმენდს ჩვენს გონიერას, სიტყვებსა და, შესაბამისად, საქმებს. იმ ერთადერთი ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებით, რომელმაც შეურყვნელად შემოგვინახა სწავლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წმიდა მოციქულთა, წმიდა და ღმერთშემოსილ მამათა და დედათა უდიდესი ღვანლითა და მოწამეობრივი ცხოვრებით და, რაღა თქმა უნდა, უფლის ღვთაებრივი შეწევნითა და მადლით, რომელიც თავად არის თავი ეკლესიისა.

სამწუხაროდ, ადამიანი ბილწი აზრებით, სიტყვებითა და ქმედებებით, ხშირად კვლავ ბილწავს თავის გონიერას. თუმცა ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს — ჭეშმარიტების სული ძალით არ შემოგვეჭრება ჩვენს სულში, იგი საკუთარი ნებით უნდა მივიღოთ. მხოლოდ დიდი სურვილის, დიდი თავდადებისა და შრომის შედეგად განწმენდს სულინმიდა ჩვენს გონიერას, სიტყვასა და სულს, განწმენდს ხატებას ღმრთისა და შეამზადებს მას ჭეშმარიტ ღმერთთან, წმიდა სამებასთან ცათა სასუფეველში დასაბრუნებლად.

შევთხოვთ მამა ღმერთს, გაგვიხსნას გონება ღვთის სიბრძნის შესამეცნებლად, ქეს ღმრთისა, სიტყვა-ღმერთს — იესო ქრისტეს, რათა მოგვანიჭოს სიტყვანი ჭეშმარიტებისანი და სულინმიდა ღმერთს, სულს ჭეშმარიტებისა, რათა მოგვანიჭოს სიწმინდე და ჭეშმარიტების გზაზე გვატაროს. ამინ!

1 წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა//სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, , თბ., 1991, გვ. 166-167.

2 იქვე, გვ. 167-168.

3 იქვე, გვ. 168-170.

4 იქვე, გვ. 172-174.

5 იქვე, გვ. 180-181.



მორწმუნე ადამიანმა კარგად იცის, რომ ოჯახი — მცირე ეკლესია. მის თავს კაცი წარმოადგენს და ეალსაც თავისი, მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. ქრისტიანული ოჯახი, ოჯახის ყველაზე სრულყოფილი მოდელია, რის საფუძველსაც ღვთის კანონებით ცხოვრება განპირობებს. საუკუნეთა განმავლობაში ოჯახური ცხოვრება იცვლებოდა. ბევრი წესი გაქრა. ქრისტემ მამაკაცი და ქალი ღვთის წინაშე გაათანასწორა და ახალი წესები დაამკვიდრა დედამიწაზე. თუმცა ახალი აღთქმისეული ოჯახის ფუძე ძველი აღთქმიდან მოდის.

ძველი აღთქმის ოჯახი დღევანდელთან შედარებით მეტად მრავალფეროვანი იყო. მას შეადგენდა როგორც მშობლები და ბავშვები, ისე ბებია-ბაბუები, ბიძა-დეიდები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები და მოსამსახურები. ამხელა ოჯახის თავი მამა იყო, შემდეგ კი მემკვიდრეობით შვილზე გადადიოდა. ოჯახის წევრებს ერთმანეთთან თბილი დამოკიდებულება უნდა ჰქონდათ და თუ ამას არ ასრულებდნენ, ამით ღვთის ნებას არღვევდნენ და უფალთან შესარიგებლად მსხვერპლშენირვა ხდებოდა საჭირო. რელიგიას დიდი ადგილი ეკავა ბავშვის აღზრდაში. მშობლებს ყველა დღესასწაულზე დაჰყავდათ შვილები ადგილობრივ სალოცავებში, ასწავლიდნენ მათ საღვთო სჯულს. საღამოობით შინაურე-

ოჯახი და საზოგადოება

ბი ყვებოდნენ სხვადასხვა ისტორიებს წმინდა ნერილზე.

დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს მამა შვილს ეკითხებოდა: „—რატომ ვასრულებთ ჩვენ ამ მსახურებას?“ — ბავშვიც შეძლებისდაგვარად ყვებოდა ამ დღესასწაულის შესახებ. შემოდგომაზე აღინიშნებოდა განწმენდის დღე. მას მოყვებოდა კარვობის დღესასწაული. ამ დროს ყველანი ხის ტოტებისაგან მოწნულ კარვებში ატარებდნენ დროს წინაპრების მოსაგონებლად. მოგვიანებით ფურიმის დღესასწაულზე ბავშვები ასრულებდნენ როლებს ესთერის თავგადასავლიდან. ასე ეცნობოდნენ ისინი საკუთარ ისტორიას.

ძველი აღთქმის ეპოქაში სკოლები არ არსებობდა. ბავშვები ცოდნას შინ იღებდნენ. დედა ქალიშვილებს ოჯახობას, საჭმლის მომზადებას, ხელსაქმეს ასწავლიდა, მამა კი ვაჟებს სხვადასხვა ხელობაში წაფავდა. ყველა ისრაელიანს ჰქონდა მიწის ნაკვეთი, სადაც ბავშვები საგარეო საქმესაც ეცნობოდნენ. საალდგომოდ ყველაზე ღარიბი ოჯახიც კი 2 ბატკანს მაინც იყიდდა. ერთს კლავდინენ და შეჭამდნენ, მეორეს კი ბავშვე-



ბისთვის იტოვებდნენ. ოჯახურ ურთიერთობაში მამა იმხელა ძალაუფლებას ფლობდა, რომ თავისი ასულის მონად გაყიდვაც კი შეეძლო. ურჩი შვილები მას შეეძლო სიკვდილითაც კი დაესაჯა. ცოლთან ყოველ მიზეზ გარეშე გაყრაც შეეძლო და შვილებისთვის მეუღლის შერჩევაც.

ქალი მთლიანად ქრის ბატონობის ქვეშ იყო. ის ბევრ მძიმე სამუშაოს ასრულებდა და საზოგადოებაშიც დამცირებული მდგომარეობა ეკავა. თუმცა, ბავშვს დედისადმი მოწინებას უნერგავდნენ და ნაწილობრივ კანონიც იცავდა განქორწინებულ ქალს. მხოლოდ იესო ქრისტეს მოსვლამ შეცვალა ქალის დამთრგუნველი მდგომარეობა. „ვინაიდან ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“.

ჩვეულებრივ მეტვიდრე ოჯახში ვაჟიშვილი იყო, შემდგომ ქალიშვილი, ხოლო თუ საერთოდ არ ჰყავდა ოჯახს შვილები, საკუთრება გადადიოდა უახლოეს ნათესავზე მამრობითი ხაზით. საერთოდ ვაჟის ყოლა აუცილებელი იყო გვარის გასაგრძელებლად. თუ კაცი მოკვდებოდა უძროდ, ლევირატის წესის მიხედვით მის უახლოეს ნათესავს ქვრივი ცოლად უნდა წაეყვანა. მათი პირმშო გარდაცვლილის სახელს იღებდა და მის მიწას ეპატრონებოდა.



შესაქმის ისტორიის მიხედვით, შეუღლებული ქალი და კაცი მთელი ცხოვრება ერთმანეთს ეკუთვნიან, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ადამიანის ზნეობის მეუყობის გამო ცოლ-ქმრული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად სპეციალური წესების შემოღება გახდა საჭირო.

ქორწინება ხდებოდა ვაჟისთვის — 13, ქალისთვის კი 12 წლის ასაკში. სხვა ეროვნების და რელიგიის წარმომადგენელ კაცებთან ქორწინება იკრძალებოდა. ახალგაზრდებს მეტ-ნაკლებად მაინც შეეძლოთ მეუღლის არჩევა და მაინც სიყვარული უმეტესად ქორწინების შემდგომ

მოდიოდა. ქორწინება მოქალაქეობრივი აქტი იყო. ნიშნობაზე 2 მოწმის თანდასწრებით იდებოდა კონტრაქტი. საქმრო-საპატარძლო ბეჭდებს ან სამაჯურებს ცვლიდნენ. საქმრო ვალდებული იყო სასიმაროსთვის გამოსასყიდი ანუ „მოხარი“ გადაეხადა. საპატარძლოს მამა სამაგიეროდ შვილს მზითევს, მსახურებს და სხვა საკუთრებას ატანდა. საპატარძლოს მშობლების ან ქმრის სიკვდილის შემდგომ „მოხარი“ ქალს უნდა დაბრუნებოდა.

ქორწილის ცერემონია მაშინ შედგებოდა, როცა საქმროს ოჯახში ყველა აუცილებელი სამზადისი დასრულდებოდა. საღამოს საქმრო მეგობრებთან ერთად მიაკითხავდა პატარძალს, რომელ-საც მისი ნაჩუქარი საქორწინო სამოსი ეცვა. ზოგჯერ საქმრო საცოლეს მონეტებისაგან გაკეთებულ თავსაბურავს აღლებდა საჩუქრად. რიდეს ცერემონიულად ხსნიდნენ პატარძალს და საქმროს გადასცემდნენ, შემდგომ კი საქმროს ხელისმომკიდებებს და ახლო მეგობრებს საქმროს სახლში მიჰყავდათ, სადაც საქორწინო ნადიმი ელოდათ. სტუმრები ახალგაზრდებს გზაში ეგებებოდნენ და სახლამდე ლამპრებით აცილებდნენ. ახალ სახლში ახალშეუღლებულები, ახალ ცხოვრებას იწყებდნენ.

მოსეს სჯულის მიხედვით, გაყრის საკითხში ქალს არ გააჩნდა კაცის თანასწორი უფლება. ცოლი ვერ გაეყრებოდა ქმარს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მას ამაზე დაეყოლიებინა მამაკაცი. ქმარს კი შეეძლო მეუღლესთან განშორება, თუ მისთვის შეადგენდა შესაბამის საბუთს, რომლითაც ცოლს სრულ თავისუფლებას მიანიჭებდა.

ასეთი იყო ძველი აღთქმისეული ოჯახი, რომელიც თავისი ერის, ისტორიისა და ტრადიციების ანთებულ კერას წარმოადგენდა. ყველამ იცოდა ვაჟახში თავისი როლი და ადგილი, რაც ადამიანებს შორის ურთიერთობას აწესრიგებდა და ამიტომაც ცხოვრობდნენ ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახები თანხმობით.

6069 შინაგანი უძღვის



საქართველოს საპატიოარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში 23-24 ივნისს გაიმართა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია სახელწოდებით „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისისა და რეგიონების სკოლების მოსწავლეები. ამასთან დაკავშირებით, გვესაუბრება უიურის ერთ-ერთი წევრი ბატონი ირაკლი თოდუა — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი

ჩვენი ჩვენს ცენტრი

— ბატონი ირაკლი, როგორ შეაფასებთ ჩატარებულ კონფერენციას?

— კონფერენცია იყო ძალიან საინტერესო და ვფიქრობ, რომ ალბათ, ტრადიციად იქცევა. ძალიან მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი მოხსენებებით გამოიყიდნენ მოსწავლეები. ვფიქრობ, მომავალში კონფერენცია კიდევ უფრო მეტ მასშტაბს შეიძენს და მასში უფრო მეტი მოსწავლე ჩაერთვება. რაც შეეხება ჩატარებულს, მრთლაც ძალიან საინტერესო იყო. ძალიან კარგად იყო მოფიქრებული ფორმა. ერთის მხრივ, თითოეული მოსწავლე მოძღვრისა და მასწავლებლის დახმარებით გარკვეულ საკითხს ამჟავებდა, მეორეს მხრივ კი, ამ კონფერენციაზე დასწრება და სხვისი ნამუშევრების და ნაფიქრალის მოსმენა შეეძლო. ამასთან, ისეთი კომპეტენტური ადამიანების აზრი, როგორებიც უიურის წევრი იყვნენ (ჩემს თავს არ

ვგულისხმობ), მათთან დისკუსია და მეუფის კომენტარები, განმარტებები ძალიან საინტერესო იყო. შეიძლება ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეცნიერულად მიუდგება ასეთ საკითხებზე ფიქრს და ეს, რა თქმა უნდა, მეტად საგულისხმოა.

— რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისთვის ამგვარ თემებზე ყურადღების გამახვილება?

— ასეთ თემებზე მუშაობა, მეცნიერული კვლევა და შემეცნების უნარის განვითარება, ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ ერთია, როცა მეცნიერებაში მუშაობ და მეორეა, როცა ისეთი მიმართულებით იკვლევ, რომელიც შენს სულიერ განვითარებას წაადგება. ამიტომ მეუფესტებანესთან საუბრის დროსაც აღვნიშნე, რომ ეს მხარე ლაიტმოტივად დარჩება მომავალ კონფერენციებში.

ამასთან, მთავარი თემის შეინით სხვადასხვა ქვე-მები იქნება გახსნილი და უფრო დაკონკრეტულება ამოცანები მოსწავლეებისათვის.

— თქვენ, როგორც უიურის წევრმა, მონაწილეობა მიიღეთ თემების გასწორება-შეფასებაში. როგორი იყო ნაშრომები?

— ნაშრომები სხვადასხვავარი იყო, იყო ისეთები, რომლებშიც კარგად ჩანდა მოძღვრისა და პედაგოგის მუშაობა (და ეს მხოლოდ




დადებითია, პოზიტიურია). ამ კუთხით გამოვყოფი გურიის რეგიონს, სადაც ერთ მთლიანობაში ჰქონდათ ბავშვებს სხვადასხვა თემები მოქცეული. მათში კარგად ჩანდა პედაგოგის როლი. სოფლის სახელს შეგნებულად არ ვასახელებ. კარგი თემები იყო ასევე ლენტებისა და ცაგერის რეგიონიდან, სადაც იგრძნობოდა მოძღვრის მუშაობა. ერთ ყმაწვილს თბილისის ერთ-ერთი სკოლიდან, დამუშავებული ჰქონდა საკმაოდ რთული თემა, რომელმაც დისკუსია გამოიწვია. საერთოდ, შეიძლება თემა ვიღაცამ დაგაწერინოს, მაგრამ როცა მსჯელობა გამოდის უშუალოდ ამ თემის სიღრმიდან, თუ კარგად არ ხარ ჩახედული ამ საკითხში, ძალიან გაგიჭირდება. მან კი იმდენად დამაჯერებლად გასცა პასუხი სერიოზულ დოგმატურ საკითხებზე, ისე კარგად წარმოაჩინა თავისი ნააზრევი, განცდები, რომ მოწოდება დაიმსახურა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეს თემა არ იყო კონკრეტულად ამ კონფერენციისთვის მომზადებული, არამედ წლების განმავლობაში განვითარდა შრომაა, რაც მისასალმებელია.

— როგორ ფიქრობთ,
რამდენად მნიშვნელოვანია,
სახელმწიფომ ხელი შეუწყოს
ასეთი პროექტების განხორციელებას?

— ვფიქრობ, უაღრესად
მნიშვნელოვანია. სახელმ-
წიფო პარტიიორის სახით
უნდა იღებდეს ამაში მონაწ-
ილეობას. მთლიანად მან
რომ წაიყვანოს ეს საქმიანო-
ბა, არ მიმაჩინია მიზანშე-
წონილად. აქ იმდენად სათ-
უთი თემებია, რომ მარტო
მეცნიერული მიდგომა არ
კმარა. მაღალი რანგის სა-
სულიერო პირები უნდა იყ-
ვნენ ჩართული, რომ სწორი
მიმართულება იყოს და არ
დარჩეს პასუხგაუცემელი
კითხვები. ჩვენი სამინისტრო
ორგანიზებას უკეთებს ოლიმ-
პიადებს საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებში და შეიძლე-
ბა ერთ-ერთი მიმართულება
იყოს რწმენა. თუმცა ასაწონ-
დასაწონი საკითხია მაინც.
შეიძლება ცენტრმა გაუკეთოს
ორგანიზება და სახელმწიფო
იყოს პარტიიორი, ანესებდეს
ჯილდოებს. მომავალში ჩვენ
შევთანხმდებით მეუფესთან
ამის შესახებ.

— როგორ ფიქრობთ,
უნდა ექცეოდეს თუ არა
მართლმადიდებ-
ლობის სწავლებას
მეტი ყურადღება
სკოლაში?

— თუ მშობლის
სურვილია, მისმა
შვილმა მართლმა-
დიდებლობა ისწავ-
ლოს, სკოლას აქვს
ამის სწავლების თა-
ვისუფლება, მოთხ-
ოვნის საფუძველზე.
ამ შემთხვევაში საზ-
რუნავია კარგად
შეირჩეს პედაგოგი-



ଶୀ, ସାତାନାଦର୍ଶ ଗାନ୍ଧିନ୍ଦାକାଳୀଙ୍କ,
ରାଧଗାନ୍ଦାପ୍ର ଏହି କାହାର କାମିକା,
ରିତାପ୍ର ଶୈଦାଗରୁଗି ଯୁଗପ୍ରେଲାଭ-
ଲିଯୁରାଫ ଶେଖେରୀ ଦାଵିତିକୁ
ଶୁଣିଲୁ ଓ ତାଜ ଆରାଶିନ୍ଦରାଫ ଶେଖେରୀ,
ଶେଇଦଲ୍ଲେରୀ ମିଶତିକୁ ଦାମ-
ାନ୍ଦରୁପ୍ରେଲାଭ ଶୈଦାଗରୁଗି ମିନିଟିକାନ୍ଦି.

— თქვენი აზრით, უნდა
იყოს მოძღვარი სკოლაში?

— შეიძლება, თუ რა თქმა
უნდა, იქნება მოთხოვნა. ეს
მათ მხოლოდ წაადგებათ.
თუმცა, გასათვალისწინებელია,
ამით სხვა სარწმუნოების პავშ-
ვებს არ მიადგეს ზიანი.

— დაბოლოს, ბატონი
ირაკლი, რა ადგილი უკა-
ვია რწმენას თავად თქვენს
ცხოვრებაში?

— მნიშვნელოვანი... უფრო
სწორად, მთავარი ადგილი
უკავია. რწმენის გარეშე საქმეს
ვერ გააკეთებ, შეიძლება ყვე-
ლაფერს სრულფასოვნად ვერ
ვიცავდე, მაგრამ სინაული
სშირად მაქვს. რწმენა ისეთი
რამეა, რაც გაძლევს საშუ-
ალებას იცხოვრო მორალური
პრინციპებით, როგორც შენს
წინაპრეზეს უცხოვრიათ.

ესაუბრა
ბინო ჭირზარაული

ჩა ხდეთ გადიასივცხავი

2007 წლის სექტემბერში სოციოლოგიური კვლევის ჯგუფმა „მედია-მონიტორი“ ჩაატარა კვლევა. გამოკითხული იქნა 450 რესპონდენტი. გამოკითხულთა შორის იყვნენ დასაქმებული — 162, დაუსაქმებელი — 106, სტუდენტი — 114, მოსწავლე — 68.

გამოკითხვის მიზანი იყო გაგვერცვია საზოგადოების დამოკიდებულება მედია-სივრცეში არსებული მდგომარეობის მიმართ.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან სატელევიზიო გადაცემები მისაღებია 122-სთვის, ნაწილობრივ მისაღებია — 246-სთვის, მიუღებელია — 53-სთვის და პასუხის გაცემა გაუჭირდა — 29-ს (კ.5). პასუხი „ნაწილობრივ მისაღებია — 246“, უფრო იხრება პასუხისკენ „მიუღებელია“, რადგან სხვა კითხვაზე (კ. 23): „მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ტელე-რადიო პროგრამებში ცვლილებების შეტანა?“ — უმრავლესობა — 339 რესპონდენტი პასუხობს „დიაზ“, „ნაწილობრივ“ — 61 და „არა“ — მხოლოდ 35. აზრის გამოთქმა გაუჭირდა 15 რესპონდენტს.

კითხვაზე: „დღის რომელ პერიოდში უყურებთ უფრო ხშირად ტელევიზორს?“ გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობს, რომ ტელევიზორს უყურებენ 19 სთ-დან — 20 სთ-მდე — 151, 20 სთ — 24 სთ — 306, 24 სთ-ის შემდეგ — 115.

აქვე უნდა მოვიყვანოთ პასუხები კითხვაზე: „რომელი საათის შემდეგ მიგაჩნიათ საჭიროდ მხოლოდ ზრდასრულთათვის გადაცემების დაწყება?“ (კ. 24). 73 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ 21-სთ-დან, 79 — 22 სთ-დან, 99 — 23 სთ-დან და 155 — 24 სთ-დან, პასუხის გაცემა გაუჭირდა — 44-ს. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა მიიჩნევს, რაც შეიძლება გვიან მოხდეს მსგავსი გადაცემების ჩვენება. რადგან საღამოს ეთერს, ზრდასრულთან ერთად, მოზარდებიც უყურებენ. ამას ადასტურებს მშობელთა პასუხებიც სპეციალურად მათვის დასმულ შეკითხვაზე (კ. 25), (გამოიკითხა 154 მშობელი). კითხვა იყო შემდეგი: „დღის რომელ მონაცემთში უყურებენ თქვენი ბავშვი უყურებს — 19-20 სთ-მდე, 69 — 20-დან 24 სთ-მდე.



საინტერესოა გამოკითხულთა დამოკიდებულება ისეთი გადაცემებისადმი, სადაც საჭარბობს ძალადობა და სისხლიანი სცენები, გარყენილების ამსახველი კადრები, ბილწიტყვაობა, სექსუალური შინაარსის საუბრები, მათი შეფასებით, უმრავლესობისთვის მიუღებელია მსგავსი რამ. კერძოდ:

ძალადობისა და სისხლიანი სცენების ჩვენება (კ. 11): მისაღებია — 41; ნაწილობრივ მისაღებია — 114; მიუღებელია — 269; უჭირთ პასუხის გაცემა — 26.

გარყენილების ამსახველი სცენების ჩვენება (კ. 12): მისაღებია — 21; ნაწილობრივ მისაღებია — 61; მიუღებელია — 348; უჭირთ პასუხის გაცემა — 20.

გადაცემებში ბილწიტყვაობა (კ. 13): მისაღებია — 32; ნაწილობრივ მისაღებია — 61; მიუღებელია — 347; პასუხის გაცემა გაუჭირდა — 10.

სექსუალური შინაარსის საუბრები (კ. 14): მისაღებია — 48; ნაწილობრივ მისაღებია — 106; მიუღებელია — 272; პასუხის გაცემა გაუჭირდა — 24.

აქვე უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისათვის ასევე მიუღებელია რკვლებსა თუ ანონსებში ასახული ძალადობა და სექსუალური სცენები (კ. 17). კერძოდ: მისაღებია — 26; ნაწილობრივ მისაღებია — 61; მიუღებელია — 322-სთვის. პასუხის გაცემა გაუჭირდა 41.

ეს შედეგები მიუთითებს საზოგადოების მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებაზე მაცნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამებისადმი, რომლებიც არა მარტო მოზარდის განვითარებაზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას, არამედ ზრდასრულ ადამიანსაც აღაშფოთებს.

ასევე მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ისეთი ანიმაციური ფილების მიმართ, რომლებშიც აისახება აგრძესიული მოქმედებები, ურჩეულთა საზარელი სახეები, მაგიური რიტუალები, ვამპირები და ა.შ. (კ. 15). კერძოდ: მისაღებია — 42; ნაწილობრივ მისაღებია — 84 და მიუღებელია — 306-სთვის. არადა, დღეს ძირითადად ასეთ მულტფილმებს გვთავაზობენ ტელევიზიები.

ყურადღება გვინდა მივაქციოთ ასევე შეძეგ ფაქტს, კითხვაზე, რომელიც მხოლოდ მშობლებისთვის იყო განკუთვნილი — „რამ-

დენად ახერხებთ დაიცვათ ბავშვები მასმე-დიის მავნე ზეგავლენისაგან?“ მშობლები პასუხობენ: ვახერხებ — 41; ნაწილობრივ ვახერხებ — 88 და ვერ ვახერხებ — 23.

დღეს სატელევიზიო პროდუქცია ხელმისაწვდომია ყველასთვის, მას აქვს მოზარდის ფიზიკურ, გონიერივ და სულიერ განვითარებაზე ზეგავლენის დიდი შესაძლებლობა, ამიტომ მაუწყებელი განსაკუთრებულად ფრთხილი უნდა იყოს სატელევიზიო პროგრამების შედგენისას.

დაბოლოს, ყველამ უნდა დაიცვას კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომლის მე-V თავის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა თუ ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პროექტი ვერა და ვერ გახდა საჯარო განხილვის საგანი

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ არის ნორმატიული აქტი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა კუთხით უნდა დაარეგულიროს სამაუწყებლო სივრცე. მას ამზადებს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და შემუშავებულ საბოლოო ვარიანტს დასამტკიცებლად გადაგზავნის პარლამენტში.

ორი წელი სრულდება, რაც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა შემუშავებინა და საჯარო განხილვის შედეგად მიეღო (2006 წლის დეკემბრისთვის) „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, თუმცა ნორმალურ პირობებში მისი განხილვა დღემდე ვერ მოხერხდა. აღნიშნული კომისია, რატომ-დაც, თავიდანვე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებულ პროექტს დაეყრდნო და მხოლოდ თავებისა და მუხლების ნუმერაცია შეცვალა. კანონით, საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, ნებისმიერ დაინტერესებულ ჯგუფს აქვს უფლება აქტიურად ჩაერთოს მის განხილვასა და შემუშავებაში. მაგრამ კომისია, მიუხედავად ხელთ არსებული მრავალი საშუალებისა, არც კი შეეცადა ამ პროექტის შესახე-



ეცნობებინა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის და იგი მხოლოდ თავის ვებ-გვერდზე განათავსა.

ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კოალიციამ — მოძრაობა ზნეობრივი საქართველოსთვის (რომელიც აერთიანებს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებისა და სასწავლებლების თვითმმართველობებსა და სტუდენტებს, აგრეთვე ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და კლუბებს), დაინტერესების შედეგად, გაჭირვებით, მაგრამ მაინც,

მოიპოვა ამ პროექტის საწყისი ვარიანტი. როგორც აღვნიშნეთ იგი მთლიანად, სიტყვა სიტყვით ეფუძნებოდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ პროექტს.

დღემდე მისი სამი ვარიანტი იქნა განთავსებული ვებ-გვერდზე, რა თქმა უნდა, კვლავ „თავისუფლების ინსტიტუტის“ რედაქტირებით. მას თითქმის არავითარი პრინციპული ცვლილება არ განუცდია, თუ არ ჩავთვლით „თვითრეგულირების პრინციპის“ შემოტანას, რომელმაც კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა სამაუწყებლო სივრცეში.

სოციოლოგიური კვლევის ჯგუფმა „მე-დია-მონიტორი“ ორი კვლევა ჩაატარა. პირველად გამოიკითხა 1000-მდე ადამიანი მთელი საქართველოს მასშტაბით. მეორედ 500-მდე მ.შ: პედაგოგები, პროფესორები, სტუდენტები, და სხვა. მათგან მიღებული პასუხებისა და მოთხოვნების, აგრეთვე იმ ზნეობრივ-სულიერი და ეროვნულ-კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ოდითგან არსებობდა, მოძრაობამ შეიმუშავა პროექტის შენიშვნები და დამატებები. თუმცა მარეგულირებელი კომისიის მიერ არაფერი იქნა გათვალისწინებული.

გარდა ენობრივი გაუმართაობისა, პროექტში ხშირად გვხვდება ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკონსტიტუციური დებულებები. ეს პროექტი მთლიანად ორმაგ სტანდარტებზეა აგებული. ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პუნქტია: „დაუშვებელია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სასამართლოში, კომისიაში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში (გ. 12, 4), ანუ მომხმარებელი საერთოდ უფლებო (!) მდგომარეობაში იმყოფება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლითაც სასამართლოში უფლების დაცვა გარანტირებულია. როგორც ვნახეთ, ტელე-რადიო მაუწყებლობა აწყობილია მხოლოდ თვითრეგულირების პრინციპზე, რომელსაც მაუწყებლები თავად განახორციელებენ. თუმცა მედიის წარმომადგენლებმა კომისიაში განხილვებისას განაცხადეს, რომ მათვის ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს ყოველივე ეს. მაგალითად, თუ ადამიანი გადაწყვეტს უჩივლოს მაუწყებელს, მან საჩივარი უნდა შეიტანოს მაუწყებელში, რომელიც თავად განიხილავს მას, და ან დაისჯის, ან გაიმართლებს საკუთარ თავს. ერთ-ერთი მაუწყებლის წარმომადგენლობა განაცხადა, რომ ეს მეტად გაუგებარია მათვის, რადგან თუ იგი თავის თავში შექმნის სპეციალურ საბჭოს თუ კომისიას, მაშინ ხელფასიც მან უნდა გადაუხადოს, და ძნელად წარმოსადგენია, რომ მაუწყებელზე ფინანსურად დამოკიდე-

ბები. ეს პროექტი მთლიანად ორმაგ სტანდარტებზეა აგებული. ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური პუნქტია: „დაუშვებელია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სასამართლოში, კომისიაში, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში (გ. 12, 4), ანუ მომხმარებელი საერთოდ უფლებო (!) მდგომარეობაში იმყოფება. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლითაც სასამართლოში უფლების დაცვა გარანტირებულია. როგორც ვნახეთ, ტელე-რადიო მაუწყებლობა აწყობილია მხოლოდ თვითრეგულირების პრინციპზე, რომელსაც მაუწყებლები თავად განახორციელებენ. თუმცა მედიის წარმომადგენლებმა კომისიაში განხილვებისას განაცხადეს, რომ მათვის ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს ყოველივე ეს. მაგალითად, თუ ადამიანი გადაწყვეტს უჩივლოს მაუწყებელს, მან საჩივარი უნდა შეიტანოს მაუწყებელში, რომელიც თავად განიხილავს მას, და ან დაისჯის, ან გაიმართლებს საკუთარ თავს. ერთ-ერთი მაუწყებლის წარმომადგენლობა განაცხადა, რომ ეს მეტად გაუგებარია მათვის, რადგან თუ იგი თავის თავში შექმნის სპეციალურ საბჭოს თუ კომისიას, მაშინ ხელფასიც მან უნდა გადაუხადოს, და ძნელად წარმოსადგენია, რომ მაუწყებელზე ფინანსურად დამოკიდე-



ბულმა საბჭომ მას რაიმე სახის სანქცია დაკისროს, ხოლო თუ ხელფასს არ გადაუხდის, მაშინ როგორ მოახერხებს მოხალისეთა შეკრებას, შესაძლო მრავალი საჩივარის განსახილველად. ეს შენიშვნებიც არ იყო გათვალისწინებული და ეს პუნქტიც უცვლელი სახით დარჩა.

ჩვენმა კოალიციამ კომისიას შესთავაზა, ეს ყოველივე სამ საფეხურად დარეგულირდეს. პირველი საფეხური: ყველა მაუწყებელმა უნდა შეიქმნას თვითრეგულირების მექანიზმი და თუ თვითრეგულირების მექანიზმით ვერ გადაწყდა სადაო საკითხი, იგი უნდა გასაჩივრდეს მეორე საფეხურზე — საზოგადოებრივ საბჭოში. ეს უკანასკნელი უნდა დააფინანსოს სახელმწიფო და იგი ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე. ამ საბჭოს უნდა პქონდეს სამაუწყებლო პროდუქციის კლასიფიკაციისა და მონიტორინგის უფლება. ხოლო მესამე საფეხური სასამართლო უნდა იყოს. მას უნდა გადაეცეს ის საქმები, რომელთა დარეგულირებაც ვერ ხერხდება ვერც თვითრეგულირების ორგანოებისა და ვერც საზოგადოებრივი საბჭოს მეშვეობით. კომისიამ არც ეს წინადადება გაითვალისწინა.

აღნიშნულ პროექტში მრავლადაა სხვა იურიდიული გაუმართაობებიც. წარმოუდგენელია, ამდენი ბუნდოვანება, ორმაგი სტანდარტი და არეული პრინციპი იყოს თავმოყრილი ერთ იურიდიულ დოკუმენტში.

კოალიცია „მოძროაბა ზეობრივი საქართველოსთვის“ ცდილობს ყოველივე ამაზე საზოგადოების ყურადღების მიქცევას. იმართება პრეს-კონფერენციები, რომლებსაც ხშირ შემთხვევებში იგნორირებას უკეთებენ მაუწყებლები. ჩვენი პოზიცია თიქმის არ შექდება, იშვიათი, ცალკეული გამონაკლისების გარდა. განსაკუთრებით არ „იწუხებს თავს“ საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გაშუქებით „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, მიუხდავად იმისა, რომ ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. ამიტომ საინფორმაციო ბლოკადის გასარღვევად მოგვიწია ორი განცხადების დაბეჭდვა და ხალხში გავრცელება (კოდექსის პირველ და მეორე ვარიანტთან დაკავშირებით) სადაც თავმოყრილი იყო ჩვენი შენიშვნები და დასაბუთებები, მესამე განცხადება კი მიმართვის ფორმისაა. მივმართავთ რეაგირებისათვის საქართველოს პრეზიდენტს, პარლა-

მენტს, მარეგულირებელ კომისიას, სახალხო დამცველს, სამაუწყებლო კომისიებს, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. გარდა ამისა, კოალიციამ მიმართა თხოვნით საქართველოს სამოციქულო ეკლესის წმინდა სინოდს. წმ. სინოდმა თავის განჩინებაში (2008 წლის 27 ივნისი) დიდი ადგილი დაუთმო ამ თემას. ციტატა: „წმ. სინოდის სხდომაზე წაკითხულ იქნა ახალგაზრდული ორგანიზაციების კოალიციის — მოძრაობა ზეობრივი საქართველოსთვის საკონდიციონი საბჭოს მიმართვა წმ. სინოდისადმი, სადაც ისინი თხოვენ მას მხარი დაუჭიროს იმ მოთხოვნებს, რომლებიც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ სრულყოფას ეხება. წმ. სინოდზე აღინიშნა, რომ ტელევიზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის სულიერ-კულტურულ და ზეობრივ ფორმირებაში, რომ ნებსით თუ უნდღიერ ამ მაუწყებლობის საშუალებით ხდება ძალადობის, აღვირახსნილობის, უზნეობის პრპაგანდა და აუცილებელია კანონით აღნიშნული პროცესის აღკვეთა. წმიდა სინოდმა დაადგინა: „მიემართოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და უშუალოდ ტელევიზიების ხელმძღვანელობებს, რათა დაიცვან ჩვენი საზოგადოება უხამსბისა და აგრესისაგან და ხელი შეუწყოს ეროვნული იდეოლოგიის განმტკიცებას!“

საპატრიარქომ ოფიციალურად გამოაქვეყნა თავისი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ცალსახად დაუჭირა მხარი მაღალზეობრივი ნორმების დაცვასა და დაკანონებას სამაუწყებლო სივრცეში. ხოლო უშუალოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია საკვირაო ქადაგებაში საჯაროდ დაუჭირა მხარი კოალიციას და რეაგირებისთვის მიმართა კომუნიკაციების კომისიას, ტელევიზიებს და სახელმწიფო შესაბამის სტრუქტურებს (საკვირაო ქადაგება სამებაში 2008 წლის 20 ივნისი).

თორნიკე პვერიკაძე

P.S. კოალიციამ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, წერილობითი სახით სამჯერ მიმართა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, თავისი შენიშვნებითა და დამატებებით, რომელთაც თან ერთვოდა დასაბუთება. თუმცა კომისიას არაფერ გაუთვალისწინებია და არც დაუსაბუთებია, რატომ არ იღებდა ჩვენს შენიშვნებსა და დამატე-

ბეჭს. დროდადრო კომისაში იხტლებოდა კოდექსის პროექტი, მაგრამ სხდომები ხშირად ქრისტიანული დღესასწაულების დღეებში ინშენებოდა, რათა საზოგადოების ყურადღება სხვა რამეზე ყოფილიყო გადართული. ისეც ხდებოდა, როცა მოსმენა ინშებოდა საღამოს 5 საათზე. კოდექსის საკითხი ერთ-ერთი იყო სხვა განსახლეველ საკითხებთან ერთად, ხოლო საღამოს 6 საათზე სამუშაო დღე მთავრდებოდა და კომისია წყვეტდა მუშაობას. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე კომისაში, კომუნკაციების მარეგუ-

ლირებელი ეროვნული კომისიის ხელმძღვანელმა საჯაროდ განაცხადა, რომ ის საერთოდ არ იცნობდა აღნიშნული პროექტის შინაარსს. თუმცა თავისი ხელმოწერით ამ იურიდიულ დოკუმენტზე (!) მან უნდა დაადასტუროს მისი ძალაში შესვლა (ამ პროექტის ხელფასი დაახლოებით 14000 ლარს შეადგენს). ფაქტობროვად, ბოლო ორი წლის მანძილზე ვერა და ვერ მოხერხდა არა თუ პროექტის საჯარო განხილვა, არამედ ელემენტარული აზრთა გაცვლა-გამოცვლაც კი, ნორმალურ ვითარებაში.

ა ზ ა ჩ ა ნ ც ე ა ს ე ნ დ ა



S O S !

თუ შენ გყავს ახალგაზრდა ვაჟი, აუცილებლად წააკითხე ეს სტატია შენს შვილს და თუ შენ თვითონვე ხარ ახალგაზრდა, მაშინ ეს სტატია შენთვისაა და კითხვა განაგრძე... დამიჯერე, წაგებული არ დარჩები...

აზარტი ფრანგული სიტყვა და რისკსა და თავდავიწყებით გატაცებას ნიშნავს. ამ „სენით“ დაავადებული საქართველოში არც თუ ისე ცოტანი არიან, განსაკუთრებით კი ისინი ჩვენს დედაქალაქ თბილისში ჭარბობენ.

კაზინო, სათამაშო აპარატები იგივე „პოკერები“ (როგორც მათ ხშირად უწოდებენ) ტოტალიზატორი, ბანქო და კიდევ უამრავი რამ, სადაც აზარტული ადამიანი ხშირად სტუმრობს და თავის იღბალს სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებში ექვება.

კაზინოს უამრავი მომხმარებელი ჰყავს, მაგრამ მისით გაბედნიერებული და მით უმეტეს, გამდიდრებული არავის უნახავს, ბევრი შემთხვევა არსებობს, როცა ადამიანები შეშლის ზღვარზე მიდიან, ჯერ ფულს აგებენ, ჯიბე ცარიელდება და შეძლებ უკვე მანქანასა და სახლზე გადადიან... შედეგად კი ცოლ-შვილს ქუჩაში მშეირ-მწყურვალს ტოვებენ — მათი ავტომობილიც და საცხოვრებელი სახლიც უკვე სხვას ეკუთვნის.

შიმშილი, სიცივე ან სხვა გასაჭირი შეიძლება შეგვმთხვეს და თუ ის ბედნიერი ადამიანი ხარ, რომელიც ჯერაც

არ შესულა ამ ავადსახსენებელ ადგილებში, მაშინ გირჩევ მათი კარი არასდროს გაალო.

ამბობენ, თბილისი სიყვარულის ქალაქიაო... მე კი მგონია, რომ იგი ნამდვილად იქცა „პოკერების დედაქალაქად“. ამას ნათლად ვხედავ. სათამაშო აპარატების რიცხვმა კატასტროფული რაოდენობით იმატა დედაქალაქში.

„VIVA LAS VEGAS“, „MEXICO“, „EUROPA“ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ ფურადად განათებულ „ბილ-ბორდებს“ ამ წარწერებით: ეს ავადსახსენებელი „პოკერებია“...

თითქმის ყველგან ერთი და იგივე სიტუაციაა: დაახლოებით, ოცამდე ახალგაზრდა, სიგარეტის საშინელი კვამლი, მოლარე ქალბატონი (კარგ შემთხვევაში სიმპატიური) და დაცვის სამიონთხი თანამშრომელი... დაცვა ფორმალურია, ვინაიდან უბანში მცხოვრები ყოჩები, ან უფრო გასაგები, რომ იყოს „ძველი ბიჭები“, მათ სიტყვას არაფრად აგდებენ და როგორც უნდათ ისე „ბაირამობენ“. ყველა ასეთი დაწესებულების კართან (ან შეიძლება შიგნით) გაყრულია განცხადება: 18 წლამდე არ შეიძლება! მაგრამ ხმამაღლა ვიტყვი: არცერთი „პოკერი“ არ იცავს ზემოთ ნახსენებ წესს და ყველგან შეგიძლია ნახო 14-15 წლის მოთამაშე, რომელიც აზარტულადაა ჩართული თამაშის ციებ-ცხელებაში.

კაზინოსა და პოკერებისგან მკვეთრად განსხვავებული დაწესებულებაა ტოტალიზატორი, თუმცა თამაშის პრინციპი ყველგან ერთია, ან წააგებ ან მოიგებ... რომ დავფიქრდე მინახავს თუ არა გამარჯვებული მოთამაშე,

შეიძლება ამ სტატიის დაწერა ველარ დავასრულო, ამიტომ ჯობია ჩემს საქმეს მივხედო და წერა განვაგრძო...

შესაძლოა მკითხველს კითხვა გაუჩინდეს: შეიძლება თუ არა ტოტალიზატორში 18 წლამდე თაბაში? პასუხი შემდეგია: არა! მაგრამ ეს წესი ისევეა დაცული ტოტალიზატორში, როგორც „პოკერებში“... ფსონების დადება სხვადასხვა სპორტზე შეიძლება — ფეხბურთი, კალათბურთი, ჩიგბურთი, ჰოკი... ფსონის დადება კი ერთი ლარიდან იწყება... თითქოს მარტივია, არაფერი შევდება, რამდენიმე გუნდზე დებ გარკვეულ თანხას, შეიძლება „ბარსამ“ გაგიცუდოს, წააგო და ამით დამთავრდეს, მაგრამ...


ახლა ტოტალიზატორის სხვა, ძალიან რთულ და ზოგისთვის დამღუპველ მხარეზეც ვთქვათ. არსებობენ ადამიანები, რომელთაც ტოტალიზატორი შემოსავლის წყაროდ აქვთ ქცეული, მათ „მაზავშიკებს“ ეძახიან.... თუ შენ ფსონის დადება გინდა ან როგორც ისინი ამბობენ „გამაზვა“ ამისთვის ჯერ უნდა გაეცნო, შემდეგ შენი კოორდინატები ჩააწერინო, უთხრა სასურველი გუნდები... თანხის რაოდენობა და ის რიცხვი, რომელშიც წაგებული ფულს იხდის. მაგ: 20 სექტემბერი. თუ შენ წააგე „გათავნული“ ხარ და თუ არ გადაიხადე და 20 სექტემბრის ლამის თორმეტს გადაცდა, მაშინ შენ „ფუფლო“ ხარ და გაფუჭდი... იმ წრისთვის კი რომელშიც მანამდე ტრიალებდი მიუღებელი ხდები. მოკლედ ამ თამაშს მკაცრი წესები აქვს და გირჩევ არ ითამაშო. ბევრი მინახავს გაცუდებულ-



გაუჭებული, ბევრიც მშობლის გამძარცველი, ზოგი კი თავჩამოკიდებული და ოჯახის შემარცხენელი.

ამ „სენით“ ძირითადად გარდატეხის ასაკში ავადებიან, საკუთარ მეს ექებენ და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებას ცდილობენ. თუმცა ის კი არ იციან, რომ ძლიერ ცდებიან — საზოგადოებას შეიცნობ მაშინ, როცა თამაშს მიატოვებ და იმ საზიზღარ ბუნაგში აღარ შეხვალ, რომელმაც ადრე თუ გვიან შეიძლება ბოლო მოგილოს... მართალია თბილისში უამრავი „პოკერები“ ფუნქციონირებს, მაგრამ შენ შეგიძლია უკეთესი აირჩიო, ისეთი დაწესებულებები, რომლებიც არა მარტო გართობენ, არამედ („პოკერისგან“ განსხვავებით) გამშვიდებენ და შინაარსობრივადაც გამდიდრებენ, ასეთებია: თეატრი, კინო, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გამოფენა, ფილარმონია, ოპერა... დამიჯვერე შენ ბედნიერი და „გამარჯვებული“ ივლი, თუ ცხოვრების ამ გზას აირჩევ და დროის უმეტეს ნაწილს უაზროდ კი არ გაფლანგავ, არამედ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების ხშირი სტუმარი გახდები.

ლაშა პიპილაშვილი



ერთხელ კოლუმბიელმა მწერალმა გაპ-
რიელ გარსია მარკესმა მეტად საინტერესო
და ბრძნული რამ თქვა: „მხოლოდ იმიტ-
ომ, რომ ვინმეს ისე არ უყვარხარ, როგორც
შენ გინდა, არ ნიშნავს, რომ მას არ უყ-
ვარხარ საკუთარ სულზე მეტად“.

ზოგი სიყვარულის გამოხატვის უნარს
მოკლებულია, ზოგსაც კომპლექსი აქვს
ამისა...

მართალია, ჩვენ თქვენდამი სამადლო-
ბელი სიტყვა სათანადოდ ვერ წარ-
მოვთქვით, ძვირფასო მასწავლებლებო, ვერ
გამოვხატეთ თქვენდამი დიდი სიყვარული,
მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ სხვაზე
ნაკლებად გაფასებთ. ალბათ, თქვენც დამეთ-
ანხმებით, რომ ყველაფერი სადლეგრძელოე-
ბის „განსხვავებულით“ სმითა და მაღალ-
ფარდოვანი სიტყვების თქმით არ იწურე-
ბა, მეტიც, სუფრაზე ბახუსნარევმა კაცმა
შეიძლება „ცხრათა უცხოც“ კი ადლეგრძე-
ლოს და მეორე დღეს მისი არსებობის
შესახებაც ვერ გაიხსენოს. ჩვენ გვინდოდა
გაგვემიჯნა თქვენგან მთელი სამყარო და
ამით გამოგვეხატა წრფელი და სათუთი
გრძნობა თქვენდამი. თქვენ განსხვავებულები
უნდა ყოფილიყავით იმ დღეს, რადგანაც
ასეთებივე ხართ.

ჩემო ძვირფასო მასწავლებლებო! ჩვენ-
გან თქვენ „ვეფხისტყაოსნისოდენა“ სამად-
ლობელი სიტყვების ღირსები იყავით, ჩვენ
კი რამდენიმე სიტყვით შემოვიფარგლეთ...

ეს განზრახ გავეთდა, მაგრამ ეს განზრახვა
ყველაზე კეთილი და წმიდა იყო ყოველი
ჩვენგანისათვის.

ჩვენ სხვა პრინციპით ვიმოქმედეთ. ნო-
დარ დუმბაძეს „მე, ბებია, ილიკო და ილ-
არიონში“ აქვს ასეთი ეპიზოდი, როცა
ოლდა ბებია კვდება, ის ეუბნება ზურ-
იელას: „ილიკოს და ილარიონს იმდენი
ამაგი აქვთ შენზე, რომ მის საფასურს შენ
ვერც გადაუხდი და არც ეცადო, უბრალ-
ოდ გიყვარდეს ისე, როგორც მათ უყვარხ-
არ შენო“. დიახაც! ჩვენ არ შევეცადეთ ბევრი
სადლეგრძელოთი მოგვებეზრებინა თქვენ-
თვის თავი, მაგრამ შევცდით.

სიყვარული „რთული“ ცნებაა და ის
ჩვეულებრივი საზომით არ განიზომება.

მოდით, ეს მონოლოგი თავის მართლე-
ბად ჩავთვალოთ ჩემი მხრიდან, რომელიც
ვფიქრობ, ნაკლებად გამოიღებს შედეგს
(რაზეც ძალიან მწყდება გული). ერთხელ
ერთმა ბრძნება თქვა: „თუ პრობლემის მოგ-
ვარება შესაძლებელია, მაშინ ნერვიულობა
არ არის საჭირო, ხოლო თუ შეუძლებე-
ლია, მაშინ ნერვიულობა სისულელეა“. საქმე
ისაა, რომ ადამიანი ხშირად საკუთარ
გრძნობებს ვერ აკონტროლებს და გამოგ-
იტყდებით, მეც ძალიან ვნერვიულობ და
გულდაწყვეტილი ვარ, არა მხოლოდ იმის
გამო, რომ სკოლა დავტოვეთ, არამედ იმის
გამოც, რომ ჩვენი წასვლა არც თუ ისე
ღირსეული გამოდგა. ვფიქრობ, ეს წერ-



ილი, შუამდგომელი იქნება XI^o კლასსა და თქვენს შორის, ვიმედოვნებ, ეს განება „იქ“ სათქმელის მაგივრობას (შეძლებისდაგვარად).

შევწყვეტ თავის მართლებას და შეცდო-მას ვაღიარებ. დიახ! ჩვენ შევცდით. სამად-ლობელი სიტყვა „გამოგვრჩა“, რომელიც რარიგ დაამშვენებდა იმ საღამოს, რომელიც გაჯერებული იყო უამრავი სადღეგრძელოთი და ანსამბლ „ანანურის“ მიერ შესრულებული უამრავი შესანიშნავი სიმღერით.

ჩვენ სამადლობელი სიტყვა „გამოგვრჩა“ ან უნარმოკლებული აღმოვჩნდით მისი გამოთქმის.

მარკესმა თქვა: „შენ არავინ გაგიხსენებს ფარული ფიქრების გამო, შესთხოვე უფალს, მოგცეს ძალა და სიპრძე მათ გამოსახატავად“. სამწუხაროდ, 2007 წლის 30 მაისს ჩვენ საკმარისად ძლიერები და ბრძენები არ აღმოვჩნდით, რათა თქვენდამი უზომო სიყვარული და პატივისცემა გამოგვეხატა. შევთხოვთ უფალს შემდგომში მოგცეს ამის საშუალება.

ღმერთო! ახლა სასწაული რომ მოახდი-ნო და 30 მაისი უკან დაბრუნდეს, ალბათ, ძალიან ბევრს შევცვლიდი იმ საღამოს. ალბათ, თავიდან უკლებლივ ყველა მასწავ-ლებელს ხელზე კოცნით გადაგიხდიდით მადლობას მობრძანებისთვის, შემდეგ კი ძალიან შინაურულად და მხურვალედ ჩაგეხ-უტებოდით ყველას ისე, როგორც 11 წლის მანძილზე გულში გვიხუტებდით თქვენ.

ღმერთო! ის საღამო რომ დაბრუნო,

მე ალბათ, წუთითაც არ მოგ-წყვეტდით თვალს, რათა არ მომეკლო საკუთარი თავისთვის „სინათლის სამოცი წამი“ არცერთ წამს არ დავვარგავ-დი, რომ თქვენთვის არ მეტქ-ვა: მიყვარხართ, გეთაყვა, გმად-ლობთ, მაპატიეთ და ყველა ის სასიყვარულო სიტყვა, რაც ვიცი. ის საღამო რომ დაბრუნ-დებოდეს, ჩვენ დაგანახებდით „გარდარეულ“ სიყვარულს. ბო-ლოს კი გავიდოდი გარეთ და ცრემლებს დავაპკურებდი ვარდებს, რათა მეგრძნო „ეკ-ლების ტკივილი და სისხლიანი კუცნა ვარდის ფურცლისა“. ეს ტკივილი მე იმაში დამეტმარებოდა, რომ შემეგრძნო — მე სკოლას და თქვენ გშორდებით.

ვფიქრობ, რომ ეს წერილი დაგვიანებულია, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არას-დროს“.

მასწავლებლებო! ჩათვალეთ, რომ ეს ის სიტყვებია, რომლებიც ჩვენ იქ, იმ საღამოს „გამოგვრჩა“. ამ სიტყვებს ფიალის გარეშე, სრულიად ფხიზელი დათო გორგილაძე გუბ-ნებათ XI^o კლასის სახელით (უბრალოდ ამ წერილის დაწერის პატივი მე მერგო).

მასწავლებლებო! ყველა საფიცარს გაფი-ცებთ, წამით დახუჭეთ თვალები, გაიხსენეთ ყველა ის თბილი სიტყვა, რაც კი ოდესმე გაგიგონიათ, წარმოიდგინეთ, რომ მთელი XI^o კლასი თქვენს წინაშე დგას ქედმოხრილი და ამ სიტყვებს გეუბნებათ.

„წუ ვიტირებთ იმის გამო, რომ ის დამთავრდა, გავიცნოთ იმიტომ, რომ ის იყო“.

უმორჩილესად გთხოვთ, გულთან რაც შეიძლება ახლოს მიიტანეთ ეს წერილი. ჩათვალეთ, რომ ეს ჩვენი აღსარებაა თქვენს წინაშე. გთხოვთ გიყვარდეთ — ახლა სწორედ ამის დროა!

გვიყვარხართ!

უდიდესი სიყვარულითა და უსაზღვრო პატივისცემით 172-ე სკოლის პედაგოგებს.

დავით გორგილაძე
(XI^o კლასი)



საქართველოს წეს-ჩვეულებები საქართველოს ყუთხეებში

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, წარსულში გავრცელებული იყო გარკვეული საქორწინო წეს-ჩვეულებები, რომელთა ნაწილი დღესაც არის შემორჩენილი. საინტერესოა, გავეცნოთ იმ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც არსებობდა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში — სამცხე-ჯავახეთში.

ქალ-ვაჟის დაქორწინებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა ასაკი. ქალისთვის ეს ასაკი იყო — 13-14 წელი, ხოლო ვაჟისთვის — 19-20.

წარსულში დასაქორწინებელი ახალგაზრდები, ჯვრისწერამდე თუ არა, ნიშნობამდე მაინც ხშირად ერთმანეთს არ იცნობდნენ და შვილთა დაოჯახებაში მშობლებს (განსაკუთრებით მამას) მეტად დიდი უფლებები ენიჭებოდათ. ვაჟის პატრონი ნათესავახლობელთა დახმარებით არჩევდა სარძლოს. მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ ვაჟი შეიიღულებდა ქალს საცოლედ, ახლობლების მეშვეობით მშობლებს შეატყობინებდა და თუ მშობლები ვაჟს დაინუნებდნენ, ვაჟი წინააღმდეგი ვერ წავიდოდა, რადგან შვილთა საქორწინო ურთიერთობის მოგვარებაში მშობელთა გადაწყვეტილება უმთავრესი იყო.

ქალის შერჩევა-შეგულების შემდეგ, იწყებდნენ მისი ჯიშ-ჯილაგის გაყითხვასა და პირადი თვისებების შემოწმებას, რაშიც ნათესავ-ახლობელთა ფართო წრე მონაწილეობდა. დაინტერესებული მხარე პირველ რიგში გაიგებდა ქალის მამის ოჯახისა და გვარის ავკარგიანობას, ღირსება-ნაკლოვანებას. მასზე დადებითი მონაცემების მიღების შემდეგ იწყებოდა მისი დედის ოჯახისა და გვარის ძირძირობამდე გამოვლენას. თუ მასში აღმოჩნდებოდა უარყოფითი ხასიათის რაიმე მეტკვიდრეობითი დაავადება (სიკოჭლე, ჭლექი, სიქაჩლე, ფსიქიკური დაავადება, უზნეობა და ა.შ.) მაშინ ამ ქალის რძლობაზე უარს ამბობდნენ. მართალია, შერჩეული ქალის მამის გვარსაც იკვლევდნენ, მაგრამ არა ისე დაწვრილებით, როგორც დედის მხარეს. მთხოვნელთა მითითებით, ქალს მეტკვიდრეობით დაჰყვება დედის მხრიდან მომავალი ნიშანთვისებები. ახალგაზრდა ქალის დადებით თვისებებად ითვლებოდა საჭმლის და სასმელის მომზადება, ხალიჩის და წინდების ქსოვა, მატყლის დართვა-ჩეჩევა, სისუფთავე, მეურნეობის მოვლა და ა.შ. ასევე მის ღირსებას დიდად ამაღლებდა პატიოსნება და ზრდილობიანი, სიტყვა-პასუხი.



შემდეგ ქალის მშობლები იწყებდნენ ვაჟის ოჯახის გაკითხვას. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ვაჟის მამის „გვარ-ჩამომავლობას“, აგრეთვე ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობას, მეურნეობის ხასიათს, ვაჟის ფიზიკურ ჯანრმთელობას და საოჯახო მეურნეობის გაძლოლის უნარს. თუ ვაჟის ოჯახში, ან გვარში აღმოჩნდებოდა მექვიდრეობითი ხასიათის რაიმე ავადმყოფობა, მაშინ მეორედ მისულ „მოციქულს“ უარს ეუბნებოდნენ. ისეთ შემთხვევაში როცა ოჯახი შთამომავლობით კარგი იყო, მაგრამ ვაჟს პირადი ნაკლი (შეძენილი) გააჩნდა, ეს საქმის მსვლელობას ხელს არ უშლიდა.

ქალის მშობლები, ვაჟის ოჯახის ლირსება-ნაკლოვანებების შემოწებებისას, დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ასევე, მისი სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობას. სამცხიდან ჯავახეთში ქალს იშვიათად ათხოვებდნენ, ჯავახეთიდან სამცხეში კი პირიქით. ოჯახი მუდამ ცდილობდა ქალი სამცხეში „ბარში“ გაეთხოვებინა. მთხოვობელები ამის მიზეზად ასახელებენ ჯავახეთის „უხილ-უვენახობას“ და ამ მხრივ სამცხის „ბარაქიანობას“.

შემდეგ ქალის მშობლები საჭიროდ მიიჩნევდნენ ოჯახის შვილობის გამოკვლევას. „ქალი იჯახიდან უნდა გამოიყვანო, რომ ცხოვრებაში გამოგადგეს“ — ამბოდნენ ძველად.

თანამდროვე ახალგაზრდა მეუღლეს თავისი სურვილით ირჩევს და შემდეგ აცნობს მშობლებს. ამ შემთხვევაში უფროსების აზრს, დადებითია თუ უარყოფითი, დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. თუმცა, ქორწინების საკითხის გადაწყვეტის დროს, მშობლების აზრის გათვალისწინება, მაინც, მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდები, ერთმანეთთან ურთიერთობის დროს, ვერ ამჩნევენ ერთმანეთის უარყოფით მხარეებს, რაც შემდეგ ოჯახში იჩენს თაგს. მშობლების დახმარება და მითითება კი ეხმარება ახალგაზრდებს ერთმანეთის უკეთ გაცნობაში. მშობლებისა და შვილების ამგვარი ზომიერი ურთიერთობა ხელს უწყობს მომავალი ოჯახის სიმტკიცეს.

მასალა თ. იველაშვილი წიგნის „საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში“ მიხედვით მოამზადა მარიამ გელაშვილა

ისტორია

ეთიულეთში კლასიკი

ისტორიული ცივილი

2007 წელს ისტორიულ სიძველეთა ძიებისას, დუშეთის რაიონის სოფელ ჭართალში, ჩიტაურების საოჯახო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინეთ 1710 წელს, ვახტანგ V-ის სტამბაში დაბეჭდილი, ერთ-ერთი პირველი საეკლესიო ხასიათის კრებული — „კონდაკი“, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და მეპატრონის, ნელი ჩიტაურის კეთილ ნებით, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადავეცით.

წიგნი ძლიერად დაზიანებული და რესტავრაციას საჭიროებს. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნი 1873 წელს პირველად დიმიტრი ბაქრაძემ, გურია-აჭარის შემოვლის მიზნით გამგზავრებულმა, ქუთაისში სვიმონ აპაშიძის იჯახაში აღმოაჩინა. 1710 წლის „კონდაკს“ თავისი გაფორმებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეცნიერზე. მართლაც, „კონდაკში“ გამოყენებული შრიფტის მრავალ-

ფეროვნება, მისი შემცულობა და გაფორმება ქართული სასტამბო საქმის წარმატებაზე მეტყველებს.

ქართლის გამგებლის ვახტანგის ინიციატივით, იერუსალიმის პატრიარქის ხელშეწყობითა და ვლახეთში (რუმინეთი) მოღვაწე წმ. ანთიმოზ ივერიელის უშუალო მონაწილეობით თბილისში გამოიგზავნა წმ. ანთიმოზ ივერიელის მონაცე, სასტამბო საქმიანობის მცოდნე, უნგროვლახელი მიხეილ იშტემოვიჩი. 1708-1709 წლებში მან თბილისში პირველი ქართული სტამბა გამართა. 1709 წელს ნუსხა-ხუცური შრიფტით დაიბეჭდა „სახარება“, „დავითინი“ და „სამოციქულო“. თბილისის სტამბის რიგით მეოთხე გამოცემაა ზემოთ ნახსენები 1710 წლის „კონდაკი“, აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი მოგვეპოვება, მიუხედავად ამისა, „კონდაკი“ ბიბლიოგრაფიულ

იშვიათობას წარმოადგენს. გამოცემა, თავ-ფურცლიდან მოყოლებული უკანასკნელ გვერდამდე, ბეჭდვითი ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. წიგნის გაფორმების ტექნიკა დახმარებილია და ცალკეული ადგილები ორნამენტებითა შემცული.

როგორც უკვე აღვნიშნე, და ამას თვით სათაურიც გვამცნობს, კრებული სასულიერო ხასიათისაა, სადაც შესულია სამი დიდი წმიდა მამის იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიონილოსის ლიტურლია და ასევე სამღვდელმასახურო დანიშნულების სხვა ტექსტები.

„კონდაკი“ თავ-ფურცელის ტექსტი საინტერესო ინფორმაციას გვაძლდის ამ წიგნის რაობის, გამოცემის უშუალო მონაბილების, ადგილისა და დროის შესახებ. აյ იხსენიება ხელისუფალი მეფე ქაიხოსრო, მომგებელი ვახტანგ ბატონიშვილი, სარედაქციო საქმის მნარმოებელი მღვდელმონაზონი გერმანე და სტამბის მომწყობი უნგროვლახელი მიხეილ იშტვანოვიჩი. ბოლოში აღნიშნულია დაბეჭდვის ადგილი და თარიღი.

თავფურცელის მეორე გვერდზე ვხვდებით ბაგრატიონთა საგვარეულო გერბს, ხოლო მის ქვემოთ მოთავსებულია ე.წ. „ბეჭდის იგავთა“ არასრული ვერსია ანუ გერბზე გამოსახული სიმბოლური ნიშნების ლექსად გამარტება. აღნიშნულ ლექსში გატარებულია იდეა ბაგრატიონთა დინასტიის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. ტექსტის მიხედვით, ბაგრატიონები ეპრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის ხორციელი შთამომავლები და ღვთისმშობლის ნათესავები არიან.

მომდევნო გვერდზე დართულია ვახტანგ V-ის ანდერძი. აյ ვხვდებით ვახტანგ V-ის, გიორგი X-ის, არჩილის, ლევანის, ვახტანგ ბატონიშვილის დედის — თუთასა და მეუღლის — რუსულდანის სახელებს. ანდერძის მიხედვით, სტამბის მომწყობის რეალური მიზანი იყო, როგორც სულის სასარგებლო, ისე საზოგადოების სწავლა-განათლების საქმეში ხელშეწყობა და წახალისება.

შემდეგ სამ გვერდზე მხედრული შრიფტი-

თაა დაბეჭდილი მიხეილ იშტვანოვიჩი (სტეფანეიშვილი) უნგროვლახელის ანდერძი.

ბოლო გვერდზე ვახტანგ V-ის გრაფიკული პორტრეტია დასტამბული. წიგნში წარმოდგენილია სულთმოფენობისა და ჯვარცმის ეპიზოდები ბიბლიიდან. ასევე გვხვდება წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ დიონილოსის ხატები.

უკანასკნელ გვერდზე მხედრული ასოებით

გადმოცემულია რუმინული ლექსი, ხოლო მის ზემოთ ქართული ვარიანტით წარმოდგენილია მესტამბეთა ლექსი, რომლის ციტირებაში შემდგენ გვერდია: „ვითარცა უცხონი ისარებენ ხილვასა ზედა სამკვიდრებელთასა და ზღვათა შინა მავლნი ხილვასა ზედა ნავთს-

აყუდელთასა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“.

წიგნის ისტორიულ ღირებულებასა და მნიშვნელობას თავის მხრივ განსაზღვრავს აშიებზე შესრულებული კოლოფონები. ერთ-ერთ მინანერში გიორგი X, ვახტანგის მშობლები — ლევანი და თუთა იხსენიებიან. მინანერში გვამცნობს ამ წიგნის გვიანდელი მეპატრონებისა და მათი ოჯახის წევრების ვინაობას. ყველა ტექსტი ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ შესწავლას და ყურადღებას საჭიროებს.

„კონდაკი“ თითქმის 300 წლისაა, ეს ფაქტი კი წიგნის განსაკუთრებულობას აპირობებს. „კონდაკი“ ქართული სასტამბო ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური შედევრია, რომელმაც მეპატრონების, განსაკუთრებით გვიანდელ მესაკუთრეთა, ჩიტაურების დამსახურებით სამ საუკუნოვან დროთა სკლას გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. აღსანიშნავია, რომ „კონდაკთან“ ერთად აღმოჩნდა „კურთხევანი“, რომელიც სავარაუდოდ XX საუკუნეში უნდა იყოს დაბეჭდილი. მეპატრონები წიგნი წილკნის ეპარქიას შესწირა. ვინ იცის კიდევ რამდენ ასეთ ისტორიულ სიძველესა და სიწმიდეს ინახავს და მფარველობს ჩვენი კურთხეული მთა!..

ოქროპირ ჯიქური





ე თ კ ჩემი გადასახურე...

„გვარის ცერილები“

მთაში წასვლის წინა ღამე არასდროს მძინავს. ორ საათს თუ ჩავთვლემ. ჩემთან საგანგებოდ დარჩენილი მეგობარი ნინო, ზუსტად 6 საათზე მაღვიძებს - „მავა, ადექი, გვაგვინდება!“. ამ ფრაზის გამოყორება ნინოს მინიმუმ ათჯერ მაინც უხდება, მერე ძლივს ვახელ თვალებს, თბილი ლოგინიდან ვძვრები და ყოველთვის ასეთ დროს იმაზე ვფიქრობ, ნეტავ ამ ღამეს სად დავიძინებთ-მეტქი. სად დავიძინებთ კი არა, ხშირ შემთხვევაში, ის არ ვიცით, სად მივდივართ. ეს იმიტომ, რომ მნიშვნელობა არ აქვს — ხეესურეთი იქნება, ყაზბეგი, მთა-თუშეთი თუ გუდამაყარი. მთავარია, რომ მივდივართ. მთაში მივდივართ...

როდესაც სავსე ზურგჩანთას ვიკიდებ, ინერციით უკან ვიხრები. მერე დედა მლოცავს და მაფრთხილებს, იცოდე მწვერვალზე არ ახვიდე! მეც ინსტინქტურად ვეთანხმები, მაგრამ მალევე „ვიწვები“ ჩემს გადაწყვეტილებაში, როდესაც დედას დარეკვას ვპირდები იმ შემთხვევაში, თუ მწვერვალზე „მაგთიმ“ დაიჭირა...

მთაში აუცილებლად ძველისძველი ავტობუსებით, „პაზიკებით“ მივდივართ — უსაფრთხოა, ამბობენ. ზურგჩანთებს ერთმანეთზე ვყრით. „სამეფო ადგილზე“ კი ის მოხვდება, ვინც მოასწრებს, ზურგჩანთებზე აბობლდება, „აბვიაზკას“ ჩაიცვამს და „პაზიკის“ ჭერს დაეკიდება. ბაზალე-

თის ქუჩაზე ავუხვევთ თუ არა, უკვე მთაში გვგონია თავი, უკვე აღარავინ ვიცავთ „ჩემი-შენის“ ცნებას, ყველაფერი საერთო ხდება.

გზა უსასრულო ჩანს, ერთფეროვანი და ძალიან ნაცნობი. „ამ ხიდს გადავივლით და მივალთ“, მაგრამ გზა არ მთავრდება, უფროდაუფრო მაღლა ავდივართ.

ჩავალთ თუ არა, მაშინვე ვშლით კარავს. მისი გაშლის ბევრი წესი არსებობს, რომელიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. იგი ქარის საწინააღმდეგოდ, პირით დალმართისკენ უნდა დაიდგას (თორემ შეიძლება დილით კარავში წყლის შხუილმა გაგალვიძოთ, ან, თუნდაც, იმ მთის ძირას აღმოჩნდეთ, რომელზე ასვლასაც წინა დღით 3 საათი დაახარჯეთ). კარვების გაშლის შემდეგ ბიჭები შეშაზე მიდიან. ჩვენ კი „შავი დღის“ ჩანთებს ვხსნით და თავშეკავებულად ვალაგებთ საკვებს.

მთაში შეიძლება ორი რამ დაგაკლდეთ ყველაზე მეტად: მშრალი ტანსაცმელი და სასმელი. ამ უკანასწერების გარეშე, მთაში წასვლა არც ღირს. აქ მთა, ბატონი, ძვლები თუ არ გაითბე, მოგრძელების სიცივე... მითუმეტეს თუ ალპურ ზონაში იმყოფები, იქ სამადლოდ ერთ ხეს ვერ იპოვი.

ჩვენი კარავი ორადგილიანია, მაგრამ სამიც მშვენივრად ვეტევით, მე, ნინო და თამთა. ადგილიც კი გვრჩება და თუ სიცივეშ ძალიან აგვიტანა რომელიმე ჩვენს მეგობარს შემოვიწვენთ ხოლმე.

სასიამოვნო ემოციებით გადატვირთული და, ამავდროულად, დამქანცველი დღის შემდეგ, იწყება საყვარელი პროცესი — დასაძინებლად სამზადისი. ლოცვას წაიკითხავ, ამოიკრავ საძილე ტომარას, ზურგჩანთას და „ბათინკებს“ ფეხებზე ამოიწყობ, თბილ სვიტერს — თავებებს, ცოტას ილაბარაკებ, და დაღლილს ჩაგეძინება. ტკბილად არასდროს არ მძინავს, ღამე რამდენჯერმე ვიღვიძებთ, რიგრიგობით ვამოწმებთ, ხომ არ დავსველდით, ერთმანეთს დაცხედავთ, ხომ არ გავიგუდეთ დაკუტილ კარავში და ვაგრძელებთ ძილს. ხელში აუცილებლად გვიჭირავს ფარანი (ერთხელ, ჩემს მეგობარს ისტერიკაც კი დაემართა, ფარანი რომ ვერ იპოვა).

დილით ძალიან ადრე, 7 საათზე გველვიძება. სუსხის ბრალია, თორემ თბილისში გვიანობამდე თვალს ვერ ვახელთ.

ყველაზე უსიამოვნო პროცესი ადგომაა, მითურებელს მისთვის, ვინც პირველი დგება. ამიტომ მორიგეობას ვაწესებთ: პირველ დღეს — მე ვდგები პირველი, მეორე დღეს — ნინო, მესამე დღეს — თამთა. მაგრამ მანამდე სხვებს უნდა დაუძახო, რომ კარავს ცელოფანი გადახსნან. მერე უნდა ამოძვრე საძილედან, ბათინკები ჩაიცვა და კარვის ელვა გახსნა. გარედან შემოვარდნილი სუსხი ადგილზე გაშეშებს, იმ მომენტში მთას კი არა, რას არ დავთმობ თბილისში ყოფნისთვის. ეს ყველაფერი ხომ კარგია, მაგრამ გაყინულ მდინარეში პირის დაბანა და კბილების გამოხეხვა, უკეთესია... ძირითადად, ამ პროცედურის ჩასატარებლად ერთად მივდივართ. სასოწარკვეთილი ხავილი — ეს არის ზუსტი ეპითეტი იმისა, რაც ჩვენ მდინარესთან გვემართება. ზამთარ-ზაფხულ მდინარე თითქმის ერთი ტემპერატურისაა.

ცხელი ჩაი მთაში „ცხონებაა!“ გაყინულ სხეულში ცხელი ჩაის ჩასვლა, ჩაბეჭდებულ ოთახში სინათლის ანთებას ჰგავს. და აი, დაბანილი, გამთბარი, დგახარ კარვის წინ და ცას უყურებ! ყოველთვის იმას ვიძახით, ვიჩქაროთ, თორემ ცუდი ამინდი მოგვისწრებს-თქო. მთაში ამინდი არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება. ამიტომ, შეხდავ ცას, შავ ღრუბელს დაინახავ, ე.ი. იწვიმებს. ნერვებს ვაჟას სიტყვებით ვიმშეიდებთ „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა...“

ჰოდა, იმას ვამბობდი, გვეჩარება-მეთქი. რაც შეიძლება თხლად ვიცვამთ, კარავს დავშლით და გადავინანილებთ, ავიკრავთ გუდა-ნაბადს, მოვიკიდებთ ზურგჩანთებს და მივდივართ მწვერვალისაკენ. იმ ადგილას, სადაც ჩვენ უნდა დავბანაკდეთ „ზედა ნაჩოვეკას“ ვეძახით.

გზა, როგორც ყოველთვის, უსასრულოა. ნელ-ნელა ზაფხულიდან ზამთარში გადავდივართ, ზამთრიდან — კიდევ უფრო სუსხიან ზამთარში. ადამიანი თუ შეგვხდება ფოტოა-

პარატით ვხვდებით. გამარჯობა და მშვიდობის სურვილი — წესია მთაში და უცნობს, თუ ნაცნობს, ყველას ვესალმებით.

სიარულის დროს არც ლაპარაკი ვარგა, არც ხშირად დასვერება. და მაშინ, როცა გვგონია, რომ ენერგიისგან დაცლისა და აჩქარებული გულისცემისგან დავეცემით, რაღაც „გვეხსნება“, და, თითქოს, ეს ყველაფერი, არც ყოფილაო, ისე ვაგრძელებთ გზას. ამას „მეორე სუნთქვა“ ჰქვია. ლაპარაკი კი ძალ-ღონეს გვაცლის. და რამ უნდა დაგამყებინოს ლაპარაკი ამ „სიკეთის უას“ თუ არა შემშილმა. და იწყება... ვის რა საჭმელი უყვარს, ვის რა უნდა, რომ სახლში დაბრუნებულს დაახვედრონ. მაგრამ თემას, შეძლებისდაგვარად, მალე ვხურავთ, რადგან თუ „ბუნება თავის მონაა“, ჩვენ ყველანი „კუჭის მონები“ ვართ. პირადად მე სიარულის დროს, ქართულ ფოლკლორს ვუსმენ, თუშური, ხევსურული, მთიულური ჰანგები ძალიან მიმსუბუქებენ 25 კილოგრამიან ზურგჩანთას და გასავლელ 35 კილომეტრს. ბანაკის ადგილამდე, გვინია, სული ალარ მიგვყება, მაგრამ მისვლისთანავე ძალაც გვიბრუნდება, ხალისიც და კარავს დიდი შემართებით ვშლით. მზე ჩავა თუ არა, ვიძინებთ, მეორე დღეს მწვერვალზე უნდა ავიდეთ, რომელიც თავზე წამოგვუდებია.

დილის 5 საათზე იწყება ყველაზე უსიამოვნო პროცესი — ადგომა. ჯერ კიდევ ბენელა, რომ ვდგებით ხოლმე, ნათებას ზურგჩანთამოკიდებული ვუცდით და გავდივართ. მწვერვალამდე მინიმუმ 8 საათი უნდა ვიაროთ. ჯერ ჩვეულებრივი ნიადაგია, შემდეგ ნაშალი, შემდეგ თოვლი, შემდეგ საცოცი კედელიც გვხდება. ენერგიას მხოლოდ ლიმონი გვაძლევს. ისეთი ურეაქციონები ვართ, ლიმონის სიმჟავე სახეზე არც გვეტყობა. ასვლას არანაირი სიმოვნება არ მოაქვს. თუ გაგვიმართლა და ნის-



ლი არ დაგვხვდა, ხელის გულივით ჩანს კავკა-სიონის მთათა სისტემა, ჭიქუხები... თუ არა და, ერთმანეთს ვერ დაინახავთ, ისეთი ნისლი იქნება. ხელის ცეცებით ერილს ვეძებთ, ჩვენც წერ-ილს ვტოვებთ, პირჯვარს ვიწერთ და ვეშვე-ბით. დაშვება გაცილებით საშიშია, ამიტომ ერთმანეთს მხოლოდ ჩამოსვლის შემდეგ ვუ-ლოცავთ „მწვერვალის გაკეთებას“. ენერგია-დაცლილმა შეიძლება, სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინო და საბედისწერო შეცდომა დაუშვა. დაშვებას ორჯერ ნაკლები დრო სჭირდება. უკვე მშვიდობით ჩამოსული, კარავთან აგდიხარ (ამ სიტყვის სრული მნიშ-ვნელობით) და გასცემრი მინიდან ამოტყორც-ნილი მასივის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მწვერ-ვალს და არ გვერა, რომ იქ იყავით.

ვიძინებთ, მაგრამ ამ მდგომარეობას ძილი არ ჰქვია, უფრო „თიშია“. მეორე დღეს ადრე ასადგომები არ ვართ. ქვემოთ უნდა დავვი-ვათ, მაგრამ არსად გვეჩერება, ამიტომ მზეს კარგად ამოსვლას ვაცლით და იგივე ჰანგები ყურში, იგივე წონის ზურგჩანთა და იგივე მანძილი ქვევით გასავლელი. პირველ ბანაკში რამდენი ხანიც გინდა, იმდენი ხანი დარჩი, მაგრამ ათი დღის შემდეგ ყველას მასობრივი დეპრესია გვეწყება — ყველას სახლში გვინდა. თბილი ლოგინი, ცხელი შხაპი, გერიელი საჭ-მელი გვენატრება. და ეს იმიტომ კი არა, რომ მთა გვეზრდება, უბრალოდ, ადამიანები ვართ და ცივილიზაციას ამდენი ხანი რომ ვწყდებ-ით, ესეც გმირობაა ჩვენთვის.

თბილისში ჩამოსულებს ხან მერი გვხვდება გადამდგარი, ხან რომელიმე მინისტრი, ან ახ-ალი ტერაქტი...

დავიბანთ, შევჭამთ, დავიძინებთ, ჭრილობებს მოვიშუშებთ. მეორე დღეს ერთმანეთს შექვდებით და შემდეგ „წასვლაზე“ შევთანხმდებით...

P.S. ეს მთაში ყოფნის დროს დაწერილი დღიურია. აქ ბევრი ფაქტია და ცოტა განცდა. რადგან, იმ მომენტში „ნე დო ეტოვო“. იქიდან ემოციებით დატვირთული ჩამოდიხარ, თბილის-ში ამოალაგებ შენს ემოციებს, შთაბეჭდილებებს და მეგობარს იმდენად ძლიერად მოუყვები განცდილს, იმდენად დაარწმუნებ, რომ შენ-თან იყო, შენთან ერთად დასხამ კოცონის პი-რას, შენთან ერთად აიყან და ჩამოიყან მწვერ-ვალზე, რომ წნევის ცვალებადობას იგრძნობს და თავი ასტყივდება...

თქვენ მკითხავთ, რაც აქ აღნერე, განა ამას მოაქვს სიამოგრება? არა, მთაში სიარული სია-მოგრება არაა. ეს უკიდურესი ბედნიერების განცდაა, როდესაც დაძლევ ერთი შეხედვით დაუძლეველს, საკუთარ თავზე გამარჯვების ბედნიერება! საკუ-თარ თავზე გამარჯვება, კი ნებისმიერ მტერზე, ნებისმიერ ომში გამარჯვებაზე ძლიერი განცდაა.

სიამოგრება კი მცირება, როდესაც ფოტოზე ან ფირზე გადაღებულ შენს თავგადასაცალს ისსენებ ან როდესაც, სულ სხვა მხრიდან, სულ სხვა თვალით უყურებ მწვერვალს. მეონდა ერთი შემთხ-ვევა, როდესაც ჩემ მიერ დაპყრობილ მწვერვალს სხვა მხრიდან, სხვა ხეობიდან შევხედე და გამ-აურულა ისეთი ბუმბერაზი და მიუკარებელი მეჩვენა]. მთაში უამრავ რამეს იძენ და კარგავ, ერთდროულად. იძენ გამოცდილებას, შენს სულიერებას ამდიდრებ, მოვლენებს უფრო ღრ-მად აღიქვამ, უფრო მიზანსწრაფული, უფრო მზრუნველი ხდები, ინმინდები, ამპარტავებასაც ივიწყეს, სიამოყვაც თავის განირვას სწავლობ, მეგობრის მხარში დგომას ეჩვევი, მას უფრო აფასებ. ხდები თავისუფლები! ზოგი სად ექცს მას, ზოგიც სად. მე ჩემი წილი თავისუფლება მთაში ვიპოვე. როგორც კარმენი ამპობდა „მხ-ოლოდ მთაშია თავისუფლება“. ქალაქის გარყვ-ნილება შორს არის მთისგან, ყოველდღიურ, დამ-ღლელ რუტინას, ბრძოლა გადარჩენისთვის ცვ-ლის. იქ ყოფნა იმხელა გამოცდილებას და სიც-ოცხლისუნარიანობას გძენს, რომ აქაურ ყოფი-თობას იოლად უმკლავდები. მოვლედ, მთა იმას გავიწყებს, რაც გლუბავს და იმას გძენს, რაც გაკლია. სულიერად გავსებს. ხანდახან, მთიდან ჩამოსულს მგონია, რომ ჩემი სული 12 გრამს კი არა, სხეულის 50 %-ს ინონის... (სული, მეცნიერების მიხედვით ყველაზე მსუბუქია, არადა, ჩემი აზრით, ყველაზე მძიმეა ადამიანი).

მთას ერთი უცნაური თვისება აქვს. ადამი-ანები ერთნაირ მოვლენებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. მაგრამ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც მთას ჩემგან განსხვავებულად აღიქ-ვამს, თუ მთაში ნამყოფია, რა თქმა უნდა. მთას იმდენად დიდი განცდა ახლავს, რომ ეს განცდა ყველას ეხვევა გარს, ზოგს ნაკლებად, მაგრამ ყველას განაცდევინებს, თავიდან ბოლომდე შე-გრძნობინებს, მთის სიკეთეს.

ჩემს შვილს აუცილებლად ვატარებ მთაში, რადგან სიკეთე და ბოროტება იქ უფრო კარგად ჩანს და განა ცხოვრების დედა-აზრი სიკეთისა და ბოროტების გარჩევა არ არის?! მაგრამ სხვა დედებზე მეტად ვინერვიულებ, რადგან მეცოდ-ინება, რომ ჩემი შვილი დავარდნამდე დაღლილია, ჩემს შვილს გონების დაკარგვამდე ცივა, გუ-ლის ნასვლამდე ცხელა, ტკივილამდე შია, გულის გაჩერებამდე სიმშვენიერეს უყურებს, წყაროსთან იჩოქებს და წყურვილს იოკებს, მთებში მიკარ-გულ ყოველ სალოცავთან პირჯვარს ინერს... მც-უნვარ მზე მოშივლებულ მხრებს სწავს, მძიმე ზურგჩანთა ხერხემალს ტკენს, ძალდაქანცული მუხლები უკანკალებს, ტკივილისაგან ჭიანჭველა-საგით მოხრილი დადის, წონასწორობის დაკარ-გვამდე ეხვევა თავბრუ, მაგრამ მეცოდინება, რომ ის საკუთარ თავზე იმარჯვებს! თუმცა, საბ-ოლოო გამარჯვება, საკუთარ მანკიერებებთან ბრძოლაში მიიღწევა...

მაას ჩინჩალაძი



(ინტერვიუ გარდაცვალების შემდეგ)

შემოქმედი ადამიანები სამყაროს სხვა თვალით უყურებენ და თავიათ გრძნობებს თავისუბურად გადმოგვცემენ. ასეთები კი ხშირად არ იძალებინ. მათი ცხოვნება ჩვენსას არ ჰგავს. ის იძღვნად საინტერესოა, რომ ხშირად ექცევიან ფურადლების ცენტრში. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო გოდერძი ჩოხელი. ზოგი მას ვაჟა-ფშაველასაც ადარებდა, ზოგს მისი საგნებისა და მოვლენებისადმი უცნაური სედვა აკვირებდა. მისი ლექსები თუ მოთხოვბები გულწრფელი ემოციებითაა საქსე, სიყვარულითა და სიკეთით გაჯერებული.

შემოქმედი ადამიანები არ ჰყდებიან. ისინ სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს.

ჩვენ, ახალგაზრდები, ვკლილობთ მიწის ვდეთ რაღაც დიდს, ძვირფასს, გამოიუთქმეს და საერთოდ, მიუწვდომელს და ხშირად გვავიზყდება, რომ უკეთესია უძრალოდ, თბილად, გრძნობით გადმოვცეთ, ან გავაკეთოთ რამე. ის კი ამას ისეთი გულაბდილობით ახერხებდა, თუნდაც ყველაზე დიდ ტკივილს ისე გვიმზელდა, არ გვეშინოდა მისი წაკითხვისა — ეს ხომ გოდერძი ჩოხელია!

როცა მის ნაწარმოებებს ვკითხულობთ, კითხვები თავისთავად გვებადება:

— ბატონი გოდერძი, თქვენი ყველა მოთხოვნა გუდამაყარზეა. ეს ამ კუთხის დიდ სიყვარულზე მეტყველებს. როგორ ახერხებთ ასეთი გრძნობით საუბარს?

— არ ვიცი, რას მივაწერო. ყველა ადამიანი მოთხოვნა მგონია და ყველა მათგანს სათაურს ვუძებნი. თავდაპირველად მარტო გუდამაყრელები მეჩვენებოდნენ მოთხოვნებად, ახლა, ვინც უნდა იყოს, და რა ეროვნებისაც უნდა იყოს, მოთხოვნა მგონია. თუ აქამდე გუდამაყრის ხეობა იყო უცნაური მოთხოვნებით სავსე წიგნი, ახლა მგონია, რომ დადამინა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხოვნა დადის.

— თქვენი აზრით, ვინ წერს ამ „ცოცხალ მოთხოვნებს“?

— ნეტავ მეცოდინა, სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც იწერება ეს დიდი წიგნი. ან დასაწყისი სადა აქვს ამ წიგნს, ან დასასრული. ან იქნებ, არც ერთი აქვს და არც მეორე... დედამიწა სამყაროს ერთი ფურცელია, გუდამაყრის ხეობა კი, ალბათ, სხვა უამრავი მცირე მოთხოვნების ქვესათაურია.

— თქვენი სოფლის გახსენებისას, ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

— პირველ კურსზე ვსწავლობდი. თავი
მომწონდა, რომ თეატრალური ინსტიტუტის
სტუდენტი ვიყავი. ბებიას უპოვია ჩემი დახ-
ეჭული წინდები. იცი როგორ დამიკვერა? ქუ-
სლები გამოაჭრა — თეთრი მიტკალი გამო-
აყერა, კოჭები გამოაჭრა — თეთრი მიტკალი
გამოაკერა, ცერა თითის ადგილიც გამოაჭრა
და მიტკალი გამოაკერა. შინ რომ ავედი, გა-
მომიტანა: „აი, შვილო, დაგიკემსე წინდები,
დახეულით გივლია ბარში“-ო. ვიუკადრისე
— მაგას როგორ ჩავიცმევ-თქო. გული ძალიან
დასწყდა. შვილო, ეგრე კარგად დაგიკემსე
და რატომ არ ჩაიცმევო? რა იყო, ბებიას
დასანახად ჩამეცვა, მერე წავსულიყავი და
გამეხადა... როგორ ვატკინე გული. დღემდე
ურ მიპატიებია ჩემი თავისთვის.


— პაპას რაღაც უცნაური მეტსახელი ერქვა?

— სიზმარივით მახსოვეს პაპაჩემი. მეტსახ-
ელად ცივქედას ეძახდნენ. ბურსაგჭირში ცხ-
ოვრობდა. ერთი ქედია, იქ უყვარდა წამოწო-
ლა. ამბობდა თურმე — ოჰ, რა კარგი ცივი
ქედიაო. სიცხეში წამოგორდებოდა ამ ქედზე.
ამიტომაც დაარკვეს ცივქედა. სასმელი უყ-
ვარდა პაპას. ბეტიას სკივრში დაუმალავს უიპ-
იტაური და ჯაჭვით ჩაუკეტია. ისე იყო, რომ
ხელის ჩაყოფა შეიძლებოდა, მაგრამ ბოთლს
ვერ ამოაძვრენდა. პაპას მოუწყვეტია გრძელი
ბალახის მარსლი, რომელსაც გული ფუღუ-
რო აქვს. გადაუყვია სკივრში, უიპიტაურის
ბოთლში და კოქტეილივით ამოუწრუპია. მოვიდა ბეტია და გაიკირვა, სად იპოვა კაცმა
სასმელიო. სკივრი დაუტილი იყო, და...

— რას განიცდით, როცა თქვენივე
მოთხოვდების კითხულობა?

— თქვენს ნაწარმოებებში მთლიანად ჩვენი ქვეყნის სიყვარულია დახატული, როგორ ნარმოდგიდგენიათ ჩვენი ქვეყნის ისტორია, ასე რით განსხვავდება სხვა ხალხთა ისტორიისაგან?

— ზოგი ხალხის ისტორია ნისლივითაა, შიგნით არაფერი არ ჩანს, მხოლოდ აქა-იქ გამოჩენდება ხოლმე მწვერვალები და ისინიც ისე უმნიშვნელონი, იმავე წამს ნისლით იძურებიან. ზოგი ქარს ჰგავს, თითქოს გარ-



დასული წინაპრების სული იყოს აბობო-
ქრებული. ზოგი თოვლს ჰგავს, ანდა ბელ
ღამეში მბრწყინავ ციცინათელას. ჩემი ქვეყ-
ნის ისტორია კი დედის თვალებიდან ჩამოგ-
ორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს.

— „ჩვენს ქვეყანაში“, როგორც ამბობენ,
არის რალაც ისეთი, რისიც არ გვერათ?

— რამდენიც არ უნდა ამისხსნა, რამდენიც არ უნდა მიმტკიცო, რამდენიც არ უნდა მელაპარაკო, მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ერთხელაც აღარ იქნება ჩვენი დედამიწა. ამის დაუჯერებლობა იმიტომ კი არ მინდა, რომ ვერ ვხედავ, რაც ხდება გარშემო. არა, მომავალზე რომ ალარაფვრი ვთქვა, ამ მინის უბეში ხომ იმდენი წინაპარი გვყავს ჩასვენებული, როგორ, რა გულით დავიჯერო, რომ ერთხელაც იქნება...

— ასეთ დროს რას ნატრობთ ხოლმე?

— მე რომ ისეთი დიდი ვიყვე... მართლა, რომ ისეთი დიდი ვიყვე... ღმერთმა რომ თავის ძალა მომცეს, რას ვიზამდი იცი? ავიყვანდი და ხელისგულზე დავისვამდი დედამიწას.

— ၃၁၈၂

— ამდენს რომ ბრუნავს, ერთი წამით
დავასცენებდი!

კითხვები ისევ გრძელდება, დაუსრულებლად. გოდერძი ჩოხელი კი კვლავაც აგრძელებს პასუხების გაცემას — ისევ ნაწარმოებებით, როგორც აზლა, სიკვდილის მერყე...

„ვინაც იწამა ღმერთი — იპოვა სიხარული და გაიარა ჟამი აღვსილმა სიყვარულით!“

სოფტური განვითარების ცენტრი

საქართველოს საპატიოარქესთან არსებული ახალგაზრდობის
სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის
ახალგაზრდული მოძრაობა

«დაჯითიანი»

აცხადებს ფოტო-კონკურსს

საქართველო ლაპარა

1. ქართული სახე;
2. ქართული ტრადიცია (ხასიათი)
3. ხუროთმოძღვრული ძეგლი;
4. საქართველოს ისტორია;
5. საქართველოს ბუნება

სპეციალური ნომინაცია: „ცხოვრება ნარკოტიკების გარეშე“

(არ უნდა იყოს წარმოდგენილი ნარკოტიკული საშუალებების ფოტოები).
კონკურსის | ეტაპისთვის ხურათების მოწოდების ბოლო ვადაა 25 დეკემბერი.
ელექტრონული მისამართზე: davitianni.photo@gmail.com

უმორჩილესად გოხოვთ, მოთიქმულ ელექტრონულ ფოსტაზე არ იქნას გამოგზავნილი
პირატული ფოტოები. გამოგზავნილ სურათს თან მიუთითეთ სახელი, გვარი და
საკონტაქტო რეპარატური (ე-მაილ და ტელეფონი).

